

გიორგი აღნიაშვილი

ქოთხოვთ
კვიპრის და იუსტიცია
(რითმული პროზა)

თბილისი 2014

რედაქტორი: გიორგი ლუდუშვილი

ტექნიკური

რედაქტორი: ილაკლი გელთაძე

© გიორგი აღნიაშვილი



გამოცემლობა მრიცვი

ISBN 978-9941-449-32-1

მოცული

- მიხავ, ჰაი მიხავ
- ო ო ო ო ო
- რა „ო“ კაცო? აქეთ მაიხედე.
- რა გინდა დედაკაცო?
- როგორ შევაძერდით ერთმანათსა, აგერ ოცდათხუტეტი წელია უღელსა ერთად ვენევით.
- ქალო, ამ შუა ლამისას, თანაც ივლისში, რა უღელი და ქანცის წყვეტა აგიტყდა?
- გახსოვ რა კარგი გოგო ვიყავ?
- ოხ შენი, მაინც არ ამცდა ოფლის ლვრა, მაინი ჩემსკენა ყვაილოო.
- რამ გაგაგიუა კაცო? რა ხელებს მიფათურებ?
- ქალო შენა აცეტებული ხომ არ ხარ?
- რათა ქააა?
- მაშ შენი გოგობა რათ გაგახსენდა? მოდი ჩემთანა ჩემო ქუჩქუჩხააა
- იქით გაინი ქააა, რაღა დროის ჩვენი ეგეთებია? ვერა ხედამ ვპერდებით, ანი დაძმანივით უნდა ვიცხოვროთ.
- ეეე, შენა იგრე ურაკუნებ დაქალები უფრო ვიქნებით
- უი, შენ კი გახმი
- ჰოდა დედიშენისამ ჩირად შამინახავ აი.
- ეეეჲ.
- რა მოგივიდა? რათა ოხავ?
- რაფერიც არ მომივიდა, ვოცნებობ და ვნატრულობ...
- რას ოცნებობ? ან სანატრელი რა გაქვს?
- ბიჭო მიხავ ვერა ხედავ რომ მარტონი დავრჩით? ბალლები დაიზარდნენ, ქალაქში ცხოვრობენ, აქეთ არც კი იხედებიან, ხანდახან ტელეფონზე დაგვირეკავენ და მორჩია.
- რას იზამ? ცხოვრება თავისას შვრება, ალბათ არა

სცალიათ...

— იცი, დღეს სურათებს ვათვალიერებდი, მერე კარა-დას მივადექი, ვიფიქრე ტანსაცმელს გამოვიტან გავამზიურებ მეთქი და იცი რა ვნახე?

— რა გატირებს ქალო? იგეთი რა ნახე?

— აქ იყავ, ახლავე მოვიტან და გაჩვენებ.

ცოტა ხანში მარუსა ძალო პატარა ყუთით ხელში დაბრუნდა.

— ნახე მიხავ რა გაჩვენო

მარუსა ძალომ ყუთს თავი ახადა, გაზეთებში გახვეული რამოდენიმე ნივთი ამოილო და ერთმანეთის მიყოლებით საბანზე რუდუნებით დაალაგა, შემდეგ სათითაოდ გახსნას შეუდგა. პატარა პერანგი დაასვენა მეუღლის თვალწინ

— მიხავ გახსოვს ეს პერანგი?

— როგორ არ მახსოვს, წითელი ლაშას ეცვა სამშობიაროდან რომ გამოვიყვანეთ, თეთრი კიდევა გურამის

— ხო, ეგრე იყო, აგერ მათი საფენებიც კი მქონია შენახული, შეხედე მათი წინდები, რა პანაწინებია, ესე-ცა ბაჩაჩები, რა დრო გასულა და ვერც კი გავიგეთ ისე გვესტუმრა სიბერე. მიხავ ამ კოლოფში იცი რა დევს?

— აბა საიდან უნდა ვიცოდე? გახსენი და მაჩვენე...

— აბა თუ მიხვდები? გამოიცანი ქააა.

— ??????????????????

— შიბაქებია ბიჭო, აკვანში რომა ჰქონდათ.

— მამა ენაცვალოთ ჩემს კრანტიანებსა.

— აქა კიდევა ბალლობის თმები მაქვს შენახული, ორივეს როგორი ქერა კუკულები ჰქონიათ...

— ოქროსთმიანი ბიჭები იყვნენ ორთავე, გახსოვს ლაშა რა ონბაზი იყო? გურამი კიდევა... ოოო დადადა.

ბალიშს მიეყრდნო მამა, ფიქრით შვილებს მისწვდა,

ლიმილი და ცრემლი ერთმანეთს ეპუებოდნენ სახეზე. შემდეგ მეუღლეს გადახედა, ნაჯაფარი მარჯვენა მოხვია ცოლს, მკერდზე მიიხუტა.

– მიყვარხარ მარუს – თითქმის ჩურჩულით წარმოთქვა მიხამ.

– მეც ... მეც მიყვარხარ.

მზის სხივებმა შემოანათეს მშობლების საწოლ ოთახში, ტკბილი ძილით ეძინათ მოხუცებს.

იყო და... იყო (ზღაპარი)

იყო ერთ დროს მრავალმკითხველიანი ბიბლიოთეკა. სოფელში ყველაზე დაფასებული და გავლენიანი ხალხი იკრიბებოდა მის დარბაზში, არა, წიგნების წასაკითხად კი არა, არამედ, საზოგადოებაში თავის გამოჩენის მიზნით და ახალგაზრდების მაგალითის საჩვენებლად „აი, რატომ ვართ ჩვენ უფრო ჭკვიანნი, იმიტომ რომ წიგნი ჩვენი მეგობარიაო“.

მერე, მერე ის რომ სოფელში სხვა ქარმა დაბერა. „ჭკვიანები“ მოგონებად იქცნენ და „ყოჩაღები“ გადიდკაცდნენ. ამბობდნენ „ჭკუა წიგნის კითხვაში კი არა, ფულის შოვნაშიაო“. ყველამ დაივიწყა ბიბლიოთეკა, კარები გამოკეტეს და ჰეე...

შემთხვევით ჩემს მეზობელს აღმოაჩნდა იმ ბოქლომის ერთ-ერთი გასაღები, რომლითაც ბიბლიოთეკის კარები საიმედოდ ჩაერაზათ. სიყმანვილის მოგონებები წამომე-შალნენ იმ დღეს, „ბიბლიოთეკაში შევისეირნებ, ვნახავ რა ხდება შიგნით“ მეთქი.

საშინელი სუნი იდგა დარბაზში. ობობის ქსელით და-

ფარული წიგნები საცოდავად შემომეგებნენ „ეგებ ხელში
მაინც აგვიღო და გადაგვშალო, თუ გინდა ნუ წაგვიკითხავ
მხოლოდ ჩვენს ჩაყვითლებულ და გაცრეცილ ყდას მაინც
შეეხე და ადამიანის სითბო მაინც გვაგრძნობინეო“.

დავდიოდი მაგიდებს შორის, ბავშვობა მახსენდებოდა,
ბიბლიოთეკარი დეიდა ირინე გამახსენდა, „ვაჲ დრონი
დრონი“, ძველ მაგიდასთან ჩამოვჯექი, ოდესლაც გა-
ნათების ფლაგმანი სანთლები შევნიშნე, სარქმლის ქვეშ
ტაბურეტზე იდო, შანდალიც ახლოსვე დაედოთ. ხუთივე
სანთელი ავანთე, ფიქრებს მივეცი თავი და...

– ვინ ხარ შენ თუ იცი? – უსაშველო იმერული მომესმა
ზურგს უკან – არ გესმის ბიჭო, შენეე? აქანა ბიძია პა-
ტივცემული ხალხი იკრიბება და შენ რამ მოგაბოდიალა
აქანა თქვა?

– მეე ბატონო? – დავიბენი ცოტა, ალბათ მოულოდნ-
ელობისაგან – მე ბატონო ჩემო? სტუმარი ვარ აქოურო-
ბას, უკაცრავად პასუხია და თქვენ ვინ ბრძანდებით?

– მე ჭინჭრაქა ვარ, გაგიგია ჩემი სახელი?

– რა ბრძანეთ? ვინ ვარო?

– უყურე ამ აბდალას – ჩაუგურულა ჭინჭრაქამ – რავა
ბალნობიზა ზღაპარს არავინ გიყვებოდა შვილო?

„შევეცოდე ალბათ“.

– კი მარა აქანა თუ გნახავდი არ მეგონა.

– შენ ქვე შენი ჭირიმე ნამეტანი კაი ბოშიუნა ჩანხარ –
ახლა ჩამირაჭულა ჩემმა მოპასუხემ.

– უკაცრავად, თქვენ საიდან ბრძანდებით, რომელი
სოფლიდან?

– ჯო, მე ყველა სოფლიდან ვარ გაიგე? ჩემ სოფელ
ქვეყანასა საქართველო ჰქვია, მიხთი?

„ახლა კახური აჭარულით მიპასუხა ჭინჭრაქამ.

– გადავირევი ნამდვილად.

– შენ გადარევა ახლ უნდა ნახო

„აუ სვანურიც გაურია“

- კაი გამარჯობა თქვენი – ვიღაც მოგვესალმა კიდევ.
- თქვენ ვინ ბრძანდებით, ბატონი?
- მე ნაცარქექია ვარ, პატივცემულო.
- მე მგონი ზღაპარში ვარ.
- ბიჭი ჭინჭრაქა, აი ბლარი კაი ყმაი ჩანს და წევიყვანოთ ჩვენებთან, ჩვენ ჩვენი უთხრათ ამან თვისი და გავიართ ამ ღამეს როგორმე ჰა, რას იტყვი, წამოხვალ ძამა?“

- კი
- ხოდა თუ კი, წევედით აბა ჰე.

ჭინჭრაქამ და ნაცარქექიამ ისე უცბად გამაქანეს სადღაც, დაყვირება კი არა პირის გაღებაც ვერ მოვასნარი, რომ...

დევი – ვა, ნაცარქექიას გაუმარჯოს!

ნაცარქექია – რავა ხარ ბიჭო? რას შობი? რავა გაჭალარავებულხარ ჩემი არ იყოს.

დევი – ეჸ, ამ სიბერეში რაცხა კისერი მტკივა, გახსოვს, სადგისი რომ ჩამარჭე? ხოდა მას მერე მტკივა.

ხუთკუნჭულა – კი მარა ექიმთან იყავი?

დევი – ვიყავი, ექიმ აიბოლიტს გავესინჯე და თურმანიდის მალამო დამინიშნა.

ჭინჭრაქა – დევო, შენი ძმა ცხრათავიანი დევი სად არის? რამდენი ხანია არ მინახავს, რავა აღარ გვკადრულობს?

დევი – მოვა საცაა, მეორე და მეექვსე თავში წნევა ჰქონდა და აბანცალებს ჰაწას.

უცბათ სად იყო და სად არა ცხრათავიანი დევიც მომაჯბაჯდა.

ცხრათავიანი დევი – ვაა, კამპანიას გაუმარჯოს. რავა ხართ, ბიჭებო, თქვენ შემოგევლოთ ჩემი თავი.

ჭინჭრაქა – რა იყო ბიჭო, სმა ხომ არ დაიწყე, რა დროს შენი წნევაა?

ცხრათავიანი დევი – იმდენი უმი ხორცი მაჭამეს ამ უღმერთო მეზღაპრეებმა, რომ ეტყობა ქოლესტერინმა ამინია.

ნაცარქექია – რამ აგინია?

დევი – მაგას მაინც ვერ გეიგებ, ჩემო ნაცარქექია და ტყვილა ნუ დეილლი ტვინს.

ხუთკუნჭულა – ე ბიჭო, სტუმრები მოვლიერ მალე. სუ-ფრა გავშალოთ თვარა მოგვეჭრება თავი.

ჭინჭრაქა – ჯერა ხმიადით გავიდეთ იოლას, ღვინო კიდენა გვაქვს.

დევი – კაცო, ეს ვინ მოგიყვანიათ?

ნაცარქექია – ადამიანია, ვერ ხედავ?

ცხრათავიანი დევი – კი, მარა, შენ ჩემო ძმაო, მკითხველი ხარ თუ მელანქოლისტი?

მე – მე ჩემო ბატონო, აგერ ბატონმა ჭინჭრაქამ და ნაცარქექიამ მომიპატიუეს თქვენს საზოგადოებაში და მეც მოვედი (მორიდებით ავლაპარაკდი)

ხუთკუნჭულა – მობრძანდი, დაბრძანდი, რა ხდება ქვეყანაზე ახალი?

მე – რა ვიცი, ცხოვრება წინ მიდის, ქვეყანა ვითარდება...

დევი – კი მარა უწიგნოდ როგორ ვითარდება?

ხუთკუნჭულა – მაგენს წიგნი არ სჭირდება, ახლა კომპიუტერი აქვთ.

ცხრათავიანი დევი – მაი რაა ძამა?

ჭინჭრაქა – რა და ელექტრო გამომთვლელი მანქანა. შიგნით წერია ყოლიფერი ქვეყნიერებაზე.

დევი – და ამ კომპიუტერში რას ეძებენ ნეტავი თუ კითხვა არ იციან?

ნაცარქექია – ალბათ, ნაცნობ ასოებს.

მე – არა. თქვენ სცდებით იქ...

დევი – არ ვცდებით, ჩემო ძმაო, ჩვენ კი ვართ ადამ

კუკუს დროინდელები, მარა გამოთაყვანებულები კი არ ვართ.

მე – ეს მე არ მიკადრებია, ჩემო ბატონო.

ცხრათავიანი დევი – შენ არა, მარა შენმა თანამოძეებმა კი....

მე – რას გულისხმობთ, ბატონო?

ნაცარქექია – ბოქლომს, ჰო, იმ უანგიან ბოქლომს კარზე რომ დაკიდეს ერთ დროს.

ჭინჭრაქა – ... და მის მერე არავის გავხსენებივართ.

ხუთკუნჭულა – აბა სანამ სტუმრები მოვლენ თითო ჭიქით წინ წავინიოთ, რას იტყვით?

დევი – „დავაი“.

ნაცარქექია – ადამიანო, მიირთვი ღვინო, ეს ჩვენებური ხალხური, ნატურალური და თანაც ჯადოსნური, თქვენნაირი „პაროშკოვი“ ხომ არ გგონია?

ნაცარქექია – ხო ასეა ,ახლა იყენებენ პარაშოკს, სპირტს და წყალს და... ვსო“.

დევი – თამადად ვინ ავირჩიოთ?

ხუთკუნჭულა – ცხრათავიანი დევი. როგორც ყოველთვის, ცხრა კუჭი შენ გაქვს ძმაო და შენ ვინ შეგედრება თუ იცი?

ცხრათავიანი დევი – კაცო, წნევა მქონდა თქო, არ გესმის?

ხუთკუნჭულა – მერე რომელ თავშიც არ გქონდა წნევა იმით დალიე, გესწავლება?

ცხრათავიანი დევი – აბა შეავსეთ სასმისები.

მადლიანი „ზღაპრული“ რაკრაკით ავსებდა ფიალებს, ძველი ტოლიძაშები ქართულ-ხალხურ პურმარილს იწყებდნენ.

ცხრათავიანი დევი – ამით, იმ კაცს გაუმარჯოს, ვინაც ჩვენს მოგვიგონა, ვინც თაობას გადასცა ჩვენი ამბები და ჩვენით ასწავლა მოყვასსა მტერ-მოყვასის გარჩევა.

ნაცარქექია – იმ მეზღაპრეს გაუმარჯვოს პატარა ბალ-ლის სასთუმალთან ზღაპრის გუდას პირს რომ მოხსნიდა.

ჭინჭრაქა – ეს იმ ბალლს გაუმარჯვოს სიკეთის ბოროტე-ბაზე გამარჯვება რომ ახარებდა.

დევი – ეს იმ ერისკაცს გაუმარჯვოს, ჩვენი ამბები რომ ერთად შეკრიბა და თაობებს გადასცა.

ხუთკუნჭულა – ეს იმ კაცს გაუმარჯვოს, პურ-ლვინის მადლი რომ შეაწია ქართულ სიტყვასა.

ცხრათავიანი დევი – შენ რაღას გვეტყვი, სტუმარო?

მე – თქვენ გაგიმარჯოთ, ბედნიერი ვარ თქვენი გაც-ნობით.

ნაცარქექია – ლიტონ სიტყვას დაგინუნებ სტუმარო, ვიცი, თავაზი არ გაკლია, მარა უგულოდა სიტყვას ნუ გვეტყვი, არ მოუხდება ქართულ სიბრძნეს.

მე – იცით ცოტა დაბნეული ვარ და მომიტევეთ.

ჭინჭრაქა – დაბნეული ფეტვი იყოს.

დევი – კაცო, მართლა კონკია სად არის?

ხუთკუნჭულა – გათხოვდა, დაგავიწყდა? ეხლა მაგასა ჩვენთან ალარ სცალია.

ნაცარქექია – კაცო, ყველამ არ იპოვა თავის გზაა, ამის დედა ვატირე.

ცხრათავიანი დევი – ჩვენც ვიპოვეთ ჩვენი გზა.

ხუთკუნჭულა – რომელი გზა? აბა გზა?

ცხრათავიანი დევი – მოგონებებში.

ჭინჭრაქა – რომელ მოგონებებში? ჟანგიანი ბოქლომი რომ ადევს?

დევი – ადამიანო, როგორ გგონია, ჩვენ რომ ერთმანე-თი გვძულდეს, აი ამ ხალხზე გეუბნები, ერთ სუფრაზე ვიქნებით დღესა?

მე – ალბათ არა.

ნაცარქექია – ჰოდა, იცოდე, ჩვენა ყველა ერთად ვართ, მართალია, სხვადასხვა ზღაპარში, მაგრამ ერთ საქმეში.

მე – რომელ საქმეში?

ცხრათავიანი დევი – ადამიანო, ჩვენ ხალხიდან მოვე-დით, თითოეული ჩვენთაგანი ბრძენკაცმა მოიგონა. ჩვენი ზღაპრისეული სახე ბევრი თქვენთაგანის მსგავსია. ზოგი დევია, ზოგი ხუთკუნჭულა და ასე შემდეგ...

მე – კი, მაგრამ, ჩვენ რომ ადამიანის ხორცს არ ვჭამთ?

ნაცარქექია – ვინ გითხრა, რომ არ ჭამთ?

ჭინჭრაქა – აბა, კაცო.

დევი – თქვენა ალბათ გსმენიათ ეგეთი გამოთქმა „ალეგორია?“

მე – რასა კვირველია.

დევი – თითოეული ზღაპარი ადამიანთა ცხოვრების ალეგორიაა, გაიგე?

მე – მგონი, კი.

ხუთკუნჭულა – ვაი, თაო, მარტო რომ „მგონი-კი“.

ჭინჭრაქა – ხო მართლა, ყავა გვაქვს?

დევი – რა ყავა, კაცო? რომელ ზღაპარში გინახავს ვინმე ყავას სვამდეს?

ნაცარქექია – ბიჭო, შენა დაგავიწყდა, რომ სტუმრებში მანდილოსნებიც ურევიან? რომ მაითხოვონ მერე რა ვქნათ?

ცხრათავიანი დევი – ოხ ამ კოლუმბს... ასეც და ისეც. რას მიეთრეოდა ამსიშორეს. მომინდომეს აქ „კოფეპიტიე“

მე – რატომ? ფინჯან ყავასთან ერთად საუბარი უფრო ინტიმურია.

ჭინჭრაქა – ლოთიანად, ეს ინტიმური რა არის?

ცხრათავიანი დევი – ეგა, როგორ გითხრა. ეს არის, როცა ინტელიგენტურად უსექსავენ ერთმანეთსა ტვინს. მიხვდი?

ჭინჭრაქა – ოოო...

ნაცარქექია – ბიჭო, ეგრე გაგიჭირდათ, კაცო ადამი-ანებსა, რო ტვინებზე გადახვედით?

მე – თქვენ ვერ გამიგეთ. ინტიმური ურთიერთობები ეს ძალდაუტანებელი, მშვიდი და გულითადი საუბარია.

ხუთკუნძულა – ეხლა ვინმე გეკიდება კაცო?

დევი – მოკლეთა ეს ყავა თუ რაღაცა გვაქვს?

ნაცარქექია – არა.

ჭინჭრაქა – იქნება. ჩემს გვერდზე მე-2 თაროზე ბალზაკს ეგებ ჰქონდეს?

ცხრათავიანი დევი – Oh, эти дамы, обаятельные головные боли.

ხუთკუნძულა – მარა ეგეცა ხოა, „მოდი გავაკეთოთ რამე ჩქარა,

მოდი, აინიე კაბა, მალე,

მოდი დაგახურავ საბანს მალე“.

მე – ყოჩალ, ხუთკუნძულა. შენ თანამედროვე ქართულ ესტრადაშიც ერკვევი თურმე.

ცხრათავიანი დევი – ვაი თქვენს პატრონს. ასეთ სიმღერებს თქვენ თუ ესტრადას უძახით, მაშინ ჩვენი ზღაპრები სოფოკლეს ტრაგედიები ყოფილა.

ჭინჭრაქა – ვიშოვეე...

ნაცარქექია – რა იშოვე?

ჭინჭრაქა – ყავა ვიშოვე. ონორესგან ვისესხე.

ხუთკუნძულა – ბიჭო, ნავა ეხლა თითების ტუკვაი შიგნით, გულის გახსნები, გზებისა და ტრასების ძებნა.

ცხრათავიანი დევი – ვაი, შე გოიმო შენა. კაცო სამართალი არ არის? ეს ჭკვიანი უნდა იყოს და მე, ისა რა ჰქვიან? ხო, „სილა ესტ, უმა ნე ნადო“. სამართალია ესა კაცო?

ჭინჭრაქა – რა იყო ცხრათავიანო? ეხლა შენა ტვინსა ნუ გვიინტიმურებ, გაიგე?

დევი – აი, ასეა რა, ტრადიციებში პროგრესის ინტერვენციის შედეგად მიღებული, ინტელექტური დეგრადაციის ნათელი მაგალითი.

ნაცარქექია – ისე ბატონო ადამიანო, ერთი შეკითხვა
მაქვს.

მე – ბრძანეთ.

ნაცარქექია – ე ბიჭო, ამ ყავას რო სვამენ, ლაქა ხომ
რჩება და მერე მკითხაობენ, ხო?

მე – კი.

ნაცარქექია – ხოდა, მაწონში რატომ არ მკითხაო-
ბენ, რავა მაწვნის ლაქები აფერისტობენ, თუ რავაა მანდ
საქმე?

მე – ალბათ ტრადიცაა, რომ შეიძლება იმკითხაო მხ-
ოლოდ ყავაზე.

ცხრათავიანი დევი – ოხ კოლუმბს...

ხუთკუნძულა – კაი ხო, ნუ გაგიუდი და ნუ იქნევ მაგ
ხელებს. რა გინდა თქვი.

ცხრათავიანი დევი – რა და ადრე რომ აღმოეჩინა
ამერიკა, მეც ხო დავლევდი ყავას?

ჭინჭრაქა – ხოდა გექნებოდა ახლა ცხრავე თავში წნე-
ვა.

ცხრათავიანი დევი – ეს ყველაფერი კარგი, მარა ყავას
ვინ მოადუღებს?

მე – თუ ჯეზვე გაქვთ, მე ვითავებ ამ საქმეს.

დევი – კი, მარა ცეცხლი?

ხუთკუნძულა – ბიჭო, ზმეი გარინიჩი აქ იყოს და ყავა
ვერ მოვადუღოთ?

ნაცარქექია – დევო, შე კაცო, დროზე გა-
შალე სუფრა, თვარა ჩემი მადა ნამეტანი ინტიმურ
ად ეპყრობა ჩემს კუჭსა.

ნაცარქექია – ჯოო, სტუმრები მოიდნენ, შევეგებოთ,
ხალხნო.

ცხრათავიანი დევი – ვაა, ამათ ვის ვხედავ, როგორა
ბრძანდებით, ზმეი გარილიჩ?

ზმეი გარილიჩი – თქვენ როგორ გიკითხოთ, დევო

ბატონო, ხომ კარგად, ისე ჩემი არ იყოს, ხნე თქვენც
შეგტყობიათ.

ცხრათავიანი დევი – «Мои года моё богатство»

კაშეი ბესმერტნი – მშვიდობა თქვენდა.

ჭინჭრაქა – კაშეი ბატონს ვახლავართ, კაცო, რავა ბი-
ჭაბატკანივით გამოიყურება, შეხედე ერთი, ჰა.

კაშეი-ბესმერტნი – აბა რავა, შე კაცო. ნება მიბოძეთ,
ჩემი მეუღლე ვასილისა პრეკრასნაია წარმოგიდგინოთ.

ჭინჭრაქა – ქალბატონო ვასილისა, ბატონო კაშეი, მო-
ბრძანდით. გთხოვთ. დაგვეწვიეთ ჩვენს სუფრაზე.

ჭინჭრაქა – ბიჭო, ჩერნამორ, მართლა შენ ხარ, თუ
თვალები მატყუებს.

ჩერნამორი – როგორ ხარ, კაცო? ბიჭო, ჩვენი ამ-
ბების ბოლო გამოცემისას რომ გნახე, მას მერე სულ არ
შეცვლილხარ. „Вот тебе крест, эй богу правда“.

ცხრათავიანი დევი – ბატონო ჩერნამორ, თქვენი თან-
მხლები ქალბატონის ვინაობას ხომ ვერ გაამხელდით.

ჩერნამორი – ვერ იცანი ეს ხომ...

ბაბა იაგა – ცხრათავიანო, ასე რავა დაბერდი, რომ
ცხრავე თავში სკლეროზი დაგემართა.

ცხრათავიანი დევი – ვაიმე დედა, ბოშო, იაგა შენ ხარ,
ქალო?

იაგა – დიახაც მე ვარ.

ნაცარქექია – ისე ქალბატონო იაგა, საზღაპრეთში სი-
ლამაზის კონკურსი რომ ჩატარდეს, სილამაზის დედო-
ფლად „ასიანი“ თქვენ დაგასახელებდნენ.

იაგა – Я полщена

კაშეი ბესმერტნი – ერთი ჰკითხეთ, რა არის მისი მშვე-
ნიერების საიდუმლო.

ხუთკუნჭულა – ალბათ ჯადოსნობა.

იაგა – არავითარი, всё натурально, უნგრეთში ვიყა-
ვი სხეულის კორექციისთვის პროფესორ გრაფ დრაკუ-

ლასთან და მის კლინიკაში ჯერ სისხლი გავიწმინდე და შემდეგ კბილებიც ჩავისვი, შესაბამისად სხეულის კორე-ქციაც ჩავიტარე...

მე – მართლა რა ლამაზია ეს შეჩვენებული ჰა, რას იტყვი დევო?

დევი – აბა, ბიჭო. ქალბატონო იაგა, მოხიბლული ვარ თქვენით.

იაგა – Ну конечно.

დევი – თქვენ ხომ რუსეთის დედოფლობა დაგშვენდე-ბოდა

დაგშვენდებოდა, ეს რა რიგად დაგშვენდებოდა,

შენ ერთ სიტყვაზე „დუმელები“ დაიშლებოდნენ

და დაიწყებდა ტაიგაში შრიალს პალმები.

ზმეი გარინიჩი – ვაიმე...

ნაცარქექია – შენთვის სადგისი კი არა ოყნა უნდა გამეკეთებინა, ისიც ბრონეულის.

იაგა – Ну мужчины, какая нечесть.

ზმეი გარინიჩი – კი მარა, რა გითხარი ასეთი, შე ქალო?

იაგა – заткнись ты всероссийская автогенбашка.

ზმეი გარინიჩი – მე ვარ ავტოგენბაშვა? შე მართლა კაშმარ ხანუმო შენა.

ცხრათავიანი დევი – ბატონებო და ქალბატონებო, გთხოვთ სუფრასთან დაბრძანდით, უკეთ მოეწყვეთ. გთხოვთ, ქალბატონო ვასილისა.

ვასილისა – ბატონო, ცხრათავიანო, მხოლოდ თქვენ იცით მშვენიერების ფასი და თაყვანისცემა.

დევი – რატომ მხოლოდ თაყვანისცემა? ჩვენ სხვა...

ჭინჭრაქა – თამადა ბატონო, სასმისები შევსებულია.

ჩერნამორი – ბატონებო, მე თქვენს რიგებში ახალ სახ-ეს ვხედავ. იქნებ გაგვეცნო ერთმანეთი (და მთელი შინა-განი პოეტურობით მე შემომხედა)

ჭინჭრაქა – ეგი ბატონო ადამიანია.

იაგა – А он ничего, что скажешь, Василиса?

ვასილისა – Ну что сказать, я ведь уже замужем.

ზმეი გარინიჩი – ბატონო თამადა, Я весь в внимания.

ცხრათავიანი დევი – ამ ყანნით ჩემო ძვირფასო სტუ-
მარო, მე მინდა დღევანდელი დღე დავლოცო. ჩვენ ურთ-
იერთგაგებას გაუმარჯოს, ჩვენ მეგობრობას დავლოცავ
იქ შორეულ ევროპაში და აზიაში. ალავერდი შენთან ვარ,
გარინიჩ.

ზმეი გარინიჩი – ალავერდის მადლი შეგეწიოს, თამა-
და ბატონო. ჩვენ ხომ, ადამიანთა ფანტაზიის შედეგად
გავჩნდით ამ ქვეყანაზე. ჩვენი დედა ხომ ხალხია და სული
კი ბავშვთა ოცნება. ამის მადლი ნუ მოგიშალოს პეჩორის
ლავრამ.

ჭინჭრაქა – გამცვდარვარ, დავუანგებულვარ,
ჩვენო ფარნო და შიმშერნო.

ო, როგორ დავბერებულვართ

რა გიყოთ, როგორ გიშველოთ?

ხუთკუნჭულა – თქვენთან რუსეთში როგორ გეპურო-
ბიან? უფრო სწორედ, ახსოვთ კიდევ ბავშვებს?

ჩერნამორი – აბა რა გითხრა, ჩემო ხუთკუნჭულა.
დღეს ყველას მიკი-მაუსი მოსწონს, ან ტომი და ჯერი.
ჩვენც ვახსოვართ ოღონდ ხანდახან.

ვასილისა პრეკრასნაია – იცით, ხანდახან მგონია,
რომ ადამიანებმა თავიანთ მომავალ თაობას ბავშვობა
წაართვეს.

იაგა – არა, ბავშვობა კი არ წაართვეს, არამედ გააპრიმ-
იტივეს. ჩვენ ცხოვრებას ვასწავლიდით. ჩვენ განცდა
გვქონდა, ჩვენ სიყვარულით ვცხოვრობდით, მიუხედავად
იმისა ვინ რა როლს ვასრულებდით ზღაპარში.

ნაცარქექია – ვეთანხმები მოსაზრებას და მეტადრე
ბავშვებს ყველა პირობა შეუქმნეს ადამიანებმა, რომ
ბავშვმა მხოლოდ იცინოს. ის კი დაავიწყდა, რომ ადამი-

ანი კი არ უნდა ძერწო, უნდა გამოკვერო.

ჭინჭრაქა – ეგრეა, თორე შვილის სიყვარული ქათამ-მაც იცის. მთავარია კაცად გაზარდო, კაცად რომ გაიზ-არდოს, ეროვნულ ტრადიციას უნდა შეასისხლხორცო.

ზმეი გარიბიჩი – თქვენებისგან გამიგია, ვინც წარსულს ივიწყებს, მომავალზე უფლებას კარგავსო.

ჩერნამორი – წავა ჩვენი სიყვარული,

წავა ჩვენი მწუხარება,

წავა ცრემლი, სიხარული და იქნება მდუმარება.

იაგა – გაიგე ადამიანო, ნუ გაზრდი ბავშვს კერპად, თორემ გაიზრდება და თაყვანისცემას მოგთხოვს.

ჭინჭრაქა – ადამიანო, აღზარდე ბავშვი წესიერად, ესაა ქვეყნის ბედნიერი სიბერე, ცუდად თუ აღზრდი, ერის მო-მავალი მწუხარება და თქვენი ცრემლი.

ცხრათავიანი დევი – ფორმა უშინაარსოდ უენო ზარია მხოლოდ.

დევი – თუ სწორად აღზრდი, შვილები იმ ტაძრებს დაემსგავსებიან, პირველნი რომ ეგებებიან მზის სხივებს.

მე – თქვენ მხოლოდ ზღაპრის გმირები მეგონეთ. თქვენ კი ბრძენთა მთელი კრებული ჰყოფილხართ.

ცხრათავიანი დევი – ცდები, ჩვენ ხალხური სიბრძნის ანარეკლნი ვართ.

ნაცარქექია – ადამიანი ვენახს ჰეგავს. აკი თქმულა „ვაზო შვილივით ნაზარდოო“. თუ ვაზს დროულად გასხ-ლავ, მოაშორებ უვარგის ტოტსა და დროულად შეწამლავ მავნებელი რომ ვერ მიეკაროს, მაშინ რთველიც უხვია და ღვინოც რიგიანი დგება.

ხუთკუნჭულა – კარგი ღვინო კი სიცოცხლეა და ერის ტრადიციის ლაზათი.

იაგა – ადამიანო, ბიბლიოთეკა გამოკეტეთ, გულგრი-ლობით და ამბიციებით კი სიცარიელეს ხატავთ, ეს კი უიმედო ხელოვნებაა იცოდეთ.

დევი – ბრძენ კაცმა სთქვა: „შექმნა – ნიშნავს გნამ-დეს“.

ცხრათავიანი დევი – იქნებ შევცვალოთ თემა?

იაგა – გეთანხმები, ჩემო ფუმფულა. გაკოცებდი, მარა არ ვიცი, რომელ ლოყაზე გეამბორო.

ცხრათავიანი დევი – ქალბატონო იაგა, უხერხულია, გვიყურებენ.

იაგა – რას მეჩურჩულები ნეტავ? «Любовь первая кажется что последная, а любовь последняя кажется что первая».

ცხრათავიანი დევი – მე რომელი ვარ, первый тუ последныий?

იაგა – მათ შორის, ჩემო ღაბუა.

ჩერნამორი – თამადა ბატონო, ნუ უსმენთ მაგ გადა-რეულს, იცით, რა უქნა გრაფ დრაკულას? კაცი სისხლს რომ ხედავს, გული მისდის.

ჭინჭრაქა – Не можн бытъ.

ვასილისა – რატომ, ბატონო? ჩვენს ზლაპარში ჩემი და კაშეს ურთიერთობა გახსოვთ?

კაშეი – ოხ, რეზისორის დედა ვატირე, არ გამომიყვანა ვიღაც არამზადა!

ვასილისა – კაი, ნუ ნერვიულობ, ხომ იცი შენი ნერვიულობა არ შეიძლება.

ჭინჭრაქა – ზმეი გარინიჩი შენ შემოგევლე. შენი დახ-მარება გვჭირდება. (გვერდზე გაჲყავს)

გარინიჩი – მოგიკვდეს ჩემი სამივე თავი.

ნაცარქექია – ე ბიჭო, ყავა გვაქვს მოსადულებელი და გაზი ქე დაგვრჩა

გარინიჩი – კაი შე კაცო.

ნაცარქექია – ამ ქვევრში მოვამზადოთ, მარა შაქარი გვაქვს ცოტა.

დევი – კი მარა რითი უნდა მიართვათ სტუმრებს?

ხუთკუნძულა – ფიალებით.

გარინიჩი – რა პრობლემაა?

დევი – შაქარი?

ხუთკუნძულა – იაგას ჩავაყოფინოთ ენა.

გარინიჩი – და ისეთს გახდის კავკასიონზე მიჯაჭვულ
ამირანს სტრასბურგამდე ღრიალით არბენინებს.

ხუთკუნძულა – აბა რა ვქნათ?

დევი – ე ბიჭო მურაბა...

გარინიჩი – კაცო, ცოტა გაზის „დავლენიე“ დაეცა და
ეტყობა ახალი „ხამუტიც“ უშვებს.

კაშეი (გაიგონებს) – რა იყო, გაზპრომში ვერ დაგი-
პაჩინკეს?

ჩერნამორი – გარინიჩ, ხომ გითხარი, ეტყობა წყლის
და ცეცხლის გამანანილებელი კოლექტორები გაქვს გა-
მოსაცვლელი.

გარინიჩი – მე ახლა ყავას მოვადულებ და მერე
დაგელაპარაკებით.

იაგა – ყავა? რა ბედნიერებაა.

ვასილისა – Да. Да.

დევი – დიახ, ეს ჩვენს ურთიერთობას მეტ ინტიმს შეჰ-
მატებს.

იაგა – ინტიმი? Ну какой прелесть.

ცხრათავიანი დევი – რას იზამ, დრონი მეფობენ და
არა მეფენი. ქართულმა სუფრამაც განიცადა ტრანსფორ-
მაცია.

ჩერნამორი – კაია, ასე თუა. მიტო რომე ჩვენთან ყვე-
ლაფერმა დეგრადაცია განიცადა და თქვენთან თუ მხ-
ოლოდ ტრანსფორმაცია, რას ერჩი, კაია მე და ჩემმა
წვერმა.

უცბათ

ჭინჭრაქა – ე ბიჭო გარინიჩ წყლის ვენტილი მოგვიძ-
ვრა.

გარინიჩი – ე ბიჭო, კლაპანი გადაწიე.

დევი – რავა შადრევანივით ასხამს წყალს.

ნაცარქექია – გევიწუნეთ ყველანი.

დევი – სტუმარო, მე ამომეფარე, გაიგე, ადამიანო?

თვარა თლად გალუმპულხარ და გაცივდები...

ვასილისა – Мамааа, Моя прическа...

ჩერნომორი – ნუ სწუხარ, ძვირფასოო. Ух, Гориныч. Ну ты старая развалина.

ცხრათავიანი დევი – რა მოხდა, თქვე კაი ხალხო. ნუ გეწყინებათ გარინიჩ, კაცო, პირდაპირ ყანწებით დავიწყეთ და ეტყობა, სიმთვრალე შეეპარა კაცს. ვეღარ გაერკვევა ამ კოლექტორ-კლაპანებში, რა მოხდა მერე?

ხუთკუნჭულა – ქალბატონო ვასილისა, ინებეთ, ნამდვილი ქართული, ზღაპრული ყავაა.

ჭინჭრაქა – თქვენი ნებართვით, ქალბატონო იაგა.
იაგა – შესანიშნავია, თანაც რა ორიგინალურია, ღვინის ფიალაში ყავა.

ვასილისა – ბრაზილიურია?

ნაცარქექია – არა, ფრანგული.

ჩერნამორი – აუ დაიწყებენ ახლა მკითხაობას, ახლა რამხელაა ეს ფიალა, კაცო! სანამ ესენი იპოვიან გზას და ხიდს გადავლენ...

კაშეი – აბა თქვენ იცით, ქალბატონებო. იქნებ მაგ ფიალაში მაინც იპოვოთ ის სცენარისტი, დრამატურგი და რეჟისორი, რომელიც ერთხელ კიდევ აღგვადგენს მკვდრეთით.

ცხრათავიანი დევი – ახლა ზღაპრები ვიღას სჭირდება.

დევი – დღეს მოდაშია ვესტერნი, განგსტერები, მაფია...

ხუთკუნჭულა – და სერიალები.

მე – ბატონებო, თანამედროვე კინემატოგრაფიაში საკმაოდ არის უხარისხო, დაბალგემოვნებიანი ფილმე-

ბი, მაგრამ იქმნება შედევრებიც. ასე, რომ ნუ გაგვაკრიტიკებთ. ხოლო რაც შეეხება ზღაპრებს, ჩვენ გვაქვს „ბეტმენი“, „ადამიანი ობობა“, სხვა შესანიშნავი საბავშვო ფილმები. იქაც სიკეთისა და ბოროტების მუდმივი ჭიდილია, სადაც სიკეთე იმარჯვებს.

ჭინჭრაქა – ადამიანო, შეიძლება მართალიც ხარ. ალბათ, ძველი ფასეულობები გადაფასდა, ახლით შეიცვალა. ალბათ ეს სწორია, შეიძლება ასეცაა საჭირო, მაგრამ ჩვენი დავიწყებაც არ იქნება გამართლებული.

დევი – თქვენთან, თქვენს ახალ სამყაროში ახალი გმირები გაჩნდნენ. ეს გასაგებია. თქვენ ხომ უფრო მაღალ საფეხურებს იძყრობთ. ალბათ მალე იგივე მიკი-მაუსი, დონალდი და სხვა ზღაპრის გმირები ისევე მიეცემიან დავიწყებას, როგორც ჩვენ დღეს.

იაგა – არ გვინდა სენტიმენტები. ჩვენ ბაზისი ვიყავით შთაგონების. ეხლა უკვე „ისტორია“ ვართ.

ზმეი გარინიჩი – მზე ჩადის, მთვარე ამოდის. ბატონებო, ჩემი წასვლის დროა. ჩემს ზღაპარში უნდა დავბრუნდე. შეიძლება ვინმეს გავახსენდე და ჩემი ამბის მოყოლა განიზრახოს პატარებისთვის ძილის წინ.

კამეი – მართალი ხარ. იქნებ ჩვენც გვერგოს ეგ ბედნიერება. თუმცა ეჭვი მეპარება.

ცხრათავიანი დევი – ბატონებო, ჯერ ძალიან ადრეა. რა დროს დაშლაა, კაცო. ქეიფი ახლა ხურდება, აბა შევავსოთ.

ვასილისა – ჩემო მეგობარო, იცით, რა არის თქვენში მართლაც შესანიშნავი? ის, რომ ჩვენს ზღაპრებში თითქმის ყველაფერი ჯადოსნობაზეა დამყარებული, ხოლო თქვენთან ტრადიციაზე, სუფრაზე, სტუმართმოყვარეობაზე და ოცნებაზე. მე თქვენ მიყვარხართ ცხრათავიანო.

ჭინჭრაქა – ე ბიჭო, გზას მაინც დაგილოცავთ, ასე

რავა გაგიშვებთ.

ჩენამორი – აბა ჩვენს ძმობას დავლოცავ. მადლობთ თამადა ბატონო მასპინძლობისათვის. ნეტა თქვენც ასე გესმოდეთ ადამიანებო, როგორც ჩვენ გვესმის ეთმანეთის.

ჭინჭრაქა – ნუ დაგვივიწყებთ, ხშირად გვესტუმრეთ.

კაშეი – ადამიანო, ჩვენ ხომ თქვენი ოცნების შედეგ-ნი ვართ. თქვენ ხომ ჩვენით წარმოსახეთ ბოროტებაზე სიკეთით გამარჯვება და რატომ გიჭირთ თქვენვე ადამი-ანებს რეალურ ცხოვრებაში სიკეთის ქმნა? იქნებ, სიკე-თეც ზღაპრის წილხვედრი გახადეთ?

ნაცარქექია – იაგა, რა ლამაზი ხარ. ერთს გაკოცებ რაა...

იაგა – წმინდა პორფირეზე ხომ არ დაგაფიცო ერ-თაოზივით?

ხუთკუნჭულა – ისე მაგაზე არც მე ვიტყოდი უარს.

ვასილისა – მომავალ შეხვედრამდე, კარგად.

ზმეი გარინიჩი – ბედნიერად მენახეთ. მშვიდობით, ადამიანო.

დევი – ცხრათავიანო, სუფრა განვაგრძოთ, სტუმრები წავიდნენ, მაგრამ ჩვენ გავაგრძელოთ ქეიფი.

ცხრათავიანი დევი – აგრე იყოს, ჭინჭრაქავ. აბა, ერთი მადლიანი შემომძახე.

ჭინჭრაქა – სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ...

ნაცარქექია – და მისროლია ისარი.

ხუთკუნჭულა – სად მამა პაპა მეგულვის...

დევი – იმათი კუბოს ფიცარი.

ცხრათავიანი დევი – ადამიანო, ჩვენი სამშობლო იქ არის.

მე – თითქოს შემცივდა. რა მემართება...

თვალები გავახილე. უკანასკნელი სანთელი ბუუტავ-და სასანთლეში უხეიროდ. მზის სხივები ობობას ქსელად ქცეულ სამკითხველოი დარბაზს ვერცხლისფრად აელვა-

რებდა. ბიბლიოთეკის კარები ჭრიალით გაიღო, ბაბუაჩე-
მი ზესა გამოჩნდა ზღურბლზე.

ზესა – სიჭაბუკე მოგენატრა, შვილო?

მე – არ ვიცი. ეტობა, დავიღალე და ჩამეძინა.

ზესა – იცოდე, ესეც ტაძარია, შვილო, თითოეული
წიგნი მარადიული ლამპარია ცოდნის. გაუფრთხილდი.

მე – საოცარი სიზმარი ვნახე.

ზეზე ავდექი. ერთი ხეირიანად გავიზმორე. თაროებს
თვალი შევავლე, წიგნების სიმძიმით თუ ასაკოვნებით რომ
ჩაზნექილიყვნენ. ობობებს უზრუნიათ ადამიანთა მაგიერ
და თხელი ფარდა დაუკიდიათ თაროებზე აბლაბუდისა,
თითქოს იცავენო ადამიანის ძეთა სიბრძნეს მათივე ხე-
ლყოფისაგანო. თაროსკენ დავიძარი, აბლაბუდების მო-
შორება მინდოდა და წიგნის ხელში აღება მომინდა, უც-
ბათ.

ზესა – ხელი არ ახლო თაროებს.

მე – რატომ, ბაბუა?

ზესა – ღირსი არა ხარ, „ყოვლისმცოდნე“, სულცარი-
ელო. მაგის უფლება მხოლოდ ბალლსა აქვს. თქვენ კი
ეს ბოქლომი სამსხვერპლოზე მიიტანეთ როგორც თქვენი¹
სამარადჟამო სირცხვილი მოყვასის წინაშე. კარი კი ღია
დატოვე, კლიტედაუდებელი.

მე – ბოდიში, ბაბუა, მობილურზე მირეკავენ.

ზესა – ვაი, საცოდაო საქართველო.

ტყეში

(საუბარი საუბარ თავთან №2)

– ... ახლა ჩვენში დარჩეს და ვითომ ეს ჩვენი სოფლის
უფროსობა იზრუნებს ჩვენზე? კაი ახლა, ვინ იჯავრებს

ჩვენზე შე კაცო? ბუჭას ბიჭი მამამის პურზე არ ეგზავნებოდა და ახლა ჩვენთვის გაიქცევა შაბიაბანიზა? კაცო იმ კაბინეტებში რომ შეიძურწებიან და დეიდგავენ ცხრა-ცხრა ტელეფონს, მერე შენ ხარ ჩემი ბატონი და გეიყრონტებიან ამ ჰალსტუხებში, ... სკოლაში ნორმალურად არ სწავლობდნენ და ყანა სადანა ჰქონდათ მამებს არ იცოდნენ... კაცო მაგნებს ისე უყვართ თოხი რომ უკანალში რომ გუკვეხო გამოსაღებად ხელსაც არ მოჰკიდებდნენ. გადირევა კაცი ამათი შემხედვარე. ხოდა იმას ვამბობდი, ბალანა თუ არ სწავლობს, ოჯახიზა არ ვარგია, შრომაში ერთი გაოფლილი პერანგი არ გამოუცვლია, წიგნია არ წაუკითხავს ზღაპრების გარდა, იმ კაცს შეიძლება რაიმე ანდო? აგერ ბეჟანას ბადიში პოლიციეს უფროსი გახდა და მაი კი არ მწყინს მე, მაგრამ მატყუარა და უმეზობლო კაცი, ვის ოჯახშიც მეზობელს არ უქეიფია გაიგებს სიმართლის ფასს? ისე მშრომელი კაციზა არავინ არი. მილიონები რომ უწყვიათ იგინი ვერ ძლებიან და კიდო მეტი უნდებიან და ეს ჯიბე გაფხეკილები რომ მიუშვეს ბაგაზე მაგენი სხვას დოუტმობენ ლუკმას?

რა იყო წალდო? რომ აყუდებულხარ მაქანა? არ გჯერა ხომ ჩემი? ნეტაი მართლა ვაბდლობდე და ამ ქვეყანას ეშველებოდეს რაიმე. ხვალე გერვასის ბიჭის ქორწილია, კაი ქეიფი იქნება ალბათ, მარა რა მიკვირს იცი, სკოლა სადანა იყო არ იცოდა, თბილისში რომ გაგზავნეს სასწავლებლად რაცხა კაცობა ჰქონდა იგიც დაკარგა, მერე გერმანიაში სწავლობსო იძახდნენ და იქიდა პანლურის რტყმევით გამოგდებულ კაცს დღეს რომ სოფლის თავკაცი ჰქვია ამაზე რას მეტყვი წალდო? ბეჟანა მიყვებოდა ამასწინად, შენ ხომ იცი ბეჟანა მაღაზია რომ აქვს ცენტრში? ხოდა ერთხელ ბალანა მისულა მასთან და „სამსახური მინდაო“ უთხრობია. ბეჟანას უთქვამს „რაი იცი ბიძია ჯერ ის მითხარიო“ ამდგარა ის ბალანა დიპლომე-

ბის მთთელი შეკვრა მუტანია და უთქვამს „სრული კურსი მაქვს გავლილიო“. გაგიუებულა კაცი „ეს ვინ ყიფილაო“, რომ დულაგებია წლები რაც დასჭირდებოდა ამდენი სასწავლებლის დამთავრებას გამოვიდა რომ ამ ბალანსას ჩასახვამდე დუწყის სწავლა. გაგიუებულა ბეჟანა და გოუგდია ის ბალანს გარეთ, თურმე ერთ კვირიან სემინარების დიპლომებით იწონებდა თავს ბიჭი. ასეა ჩემო ძამია, ადრე კაცი თანამდებობაზე ცოდნის გარეშე ვერ მოხვდებოდა და ახლა გაქვს უცხოური დიპლომი და კაცი ხარ უკვე. გვეყოფა უქმად ყოფნა წალდო უნდა ვიმუშოთ ჩვენი ლუკმიზა, მიტო რომე უდიპლომოები ვართ ორ-თავე. აბა ჰე დავინწყოთ შრომა.

კახელები

- ბიჯოოო, გვეყოფა კაცოო, პური ვჭამოთ, ეე ფანტო, ნიკო, კოლა მოდით ჯო დავისვენოთ, საქმე მგელი არ არის ტყეში რომ გაიქცეს, ხვალაც ამ თვისაა.
- სუფრაც გაგიშლია, ეს ჩვენი უფროსობა იგეთი პატრიოტი რომ იყოს ქვეყნისა როგორც შენ კუჭისა ხომ ავშენდებოდით კაცოო – ხითხითებდა კოლა.
- ხო ბიჯო, როგორც შენ იტყვი
- კაით! გეყოფათ! პური გავტეხოთ. მიხავ რო წამოწოლილხარ მუხრანბატონივით ღვინო ჩამოასხი – აჯაჯლან-და ფანტო.
- მადლიანი კახური რუკრუკით ავსებდა ჭიქებს. ძველი ტოლიბაშები ქეიფს იწყებდნენ.
- თამადა მე ვიქნები, – განაცხადა მიხამ – იმიტომა რომა მე ეგრე მინდა, თუ გინდათ კენჭი ვყაროთ.
- ამ სიბერეში ქვების სროლა გინდა რო დამაწყებინო?

- გაიკვირვა კოლამ.
 - ჯო, იყოს თამადა, სვანის რამაზე აწყობილი კახელია
 - განმარტა თამადის გენეალოგია ფანტომ.
 - ჰომიდა თუ თამადა ხარ სადღერძელოც გვითხარ – შეუძახა ნიკომ.
- მიხამ ჯერ თანამეინახეებს თვალი გადაავლო, აქაოდა მისმენენ თუ არაო და ჭიქა ასწია.
- ამ სასმისითა ჩვენს ვენახს გაუმარჯოს, ეგ არის ჩვენი ჭირ-ვარამისა და ჭირნახულის ჭირისუფალი, ამ ზვრების მადლი ჩვენს ოჯახებსა კურთხევად მისვლოდეთ, ამინ – დაილოცა მიხა.
 - ეგრე იყოს, წმინდა ნინოსეული ვაზის ჯვრის მადლი შეგვეენიოს – და ჭიქა ნიკომაც გამოსცალა.
 - ეგრე იყოს – ერთხმად აპყვნენ დანარჩენებიც.
 - კაცო კოლა, ი შენი მეზობელი როა კიტრიტოლა კასკით რად დადის? უკვე ჰყავანან... – საუბარი წამოიწყო ნიკომ.
 - აბა რავიცი, ეხლა ხომ გოგოს ათხოვებს, ჰომიდა სიძე რაგბისტი ყოფილა, ქორწილის მერე ერთი კვირა ცოლეურსა რჩება...
 - მერე... – ჩაეკიტხა ფანტო.
 - რაი მერე ჯორო, პირველ ღამესა რომ „შაერკინება“, ხომ ჩამოექცა კაცსა ჭერი თავზე – უპასუხა კოლამ.
 - ეგ რა არი, მაი ანგარიშამ რა უნდა ჰქინას? ოთხი გოგო ჰყავს... – ჩაიხითხითა მიხამ
 - აბა ბიჭო, ოთხივე სიძემ ერთ ღამესა რომ მოინდომოს ჭიპხახუნაი ჭერის დაქცევა მერე ნახე. – ხითხითებდა კოლა.
 - ვაი ჩემო თავოოო – წამოიძახა ფანტომ.
 - რა იყო კაცო? – შეეკოთხა ნიკო.
 - რა იყო და ანგარიშა ხომ ჩემი მეზობელია.
 - მერე? – გაუკვირდა კოლას.

- რა მერე ბერიკაცო 12 ბალიანი მიწისძვრის ეპიცენტრი გვერდზე მქონია და არ ვიცოდი – უპასუხა ფანტომ.
- რათა 12 ბალიანისა კაცო – იკითხა ნიკომ.
- რას ამბობ კაცო ? თითო სიძე 3 ბალსა ვერ გაქაჩივს? – დაუსაბუთა კოლამ.
- დიდ ხიფათში ჰყოფილხარ ფანტომ ძმაო – გაელიმა ნიკოს.
- აბა ჭიქები შევავსოთ – ბრძანა თამადამ და განაგრძო
- ამ ჭიქითა ჩვენს ოჯახებს გაუმარჯოს ბიჭებო, სიკეთე და ბედნიერება ნუ მოგველებოდეს, ნეკრესის მადლი შეენიოს ჩვენს ოჯახებსა, დაილოცა მისი სახელი, პურ ღვინის მადლი შეგვენიოს
- ეგრე იყოს – განაგრძო კოლამ – იჯახში ბალლთა სიმრავლე არ მოგველებოდეს, სტუმრის მიღება არ გვშინებოდეს, შესაწირი და გასაცემი ბევრი გვქონდეს.
- დედა ბოძს სიმკვიდრეს დაგილოცავთ ხალხო – ჭიქა ასწია ნიკომ.
- ისე ამ ქვეყნის უკულმართობა რა ვთქვი – სიტყვა გააგრძელა ფანტომ – კახეთში, ოჯახს სტუმრის მიღება რომ შეეშინდება, ასაა ცხოვრება? ხვალ ბალლს რა ვაჭამოო, დარდი რომ გულს გიჭამს ამას რა ჰქვია? დალოცვილ ვაზის მადლსა ლომონათის ფასი რომ ექნება საქმეა ეგა?
- რა იყოთ? სუფრა რად დააგლოვეთ? – ამხედრდა ნიკო – მიხავ ჩამოვასხა? მერიქიფობას მე ვიღებ ჩემს თავზე.
- მიდი ძმაო ჩამაასხი ეგ დალოცვილი ეგა – ამოიხრა კოლამ.
- კაცოოო, არ ვიცი ტყუილია თუ მართალი – ღიმილით წამოიწყო ნიკომ – ეს ჩვენი ექიმი რომ არის დინგაანთ დათო მაგაზე მომიყვნენ. თურმე ერთხელა პაციენტი მისულა ყვარლიდანა „მუცელი მტკივაო და მიშველეო“ უთქვამს, დათოსა ხო იცი რა ფინთი ენა აქვს, ჰომდა

უთქვამს „ფეხმძიმედა ხარ, მალე მშობიარობა დაგეწყება და რომ არ შერცხვე აქ დარჩი გამშობიარებ და გაგიშვებო“

- რაორ? – ყურებს არ უჯერებდა ფანტო
- რაო და ეგრეო, თურმე ერთი უპატრონო ბალლი ჰყოლიათ დედას მიუტოვებია საავადმყოფოში, მოკლეთა იმ კაცსა დაუჯერებია და დათანხმებულა, დააძინეს კიდევაცა და რომ გაიღვიძა ის ბალლი მიუყვანიათ „შენი შვილიაო“ და სახლში გამოისტუმრეს. ოჯახში რომ მისულა ცოლს უკითხია ეეე ბალლი ვისია? დედა ვინ არისო? ამას კი უთქვამს „დედა კი ვიცი ვინც არის, მაგრამ მამა თუ გავიგე ვინ არის დედა ვუტირებო“.

მიხა ჩაბჟირდა, ფანტო გულწასულივით დაემხო მინაზე სიცილისგან გაგუდულები გულალმა ეყარნენ მიწაზე ჭარმაგი ონბაზები.

- ბიჯოო, ეგ საიდან მაიგონე შე ბემურაზო შენა – სიცილისგან აცრემლებული ალულლულდა კოლა.

– კაცო ეს ჩვენი სვანი მეზობელი რომ არის – თხრობა დაიწყო ნიკომ – ამასწინათა გზაში შემხვდა, შუბლი ჰქონდა გახეთქილი, ვკითხე „ეგ რა მოგვსლია-მეთქი“ იცი რა მიპასუხა? „პავაროტში დიდი სიჩქართ შევედი და ხეს შავასკდიო“ მე უთხარ „მანქანა ძალიან დაიმტვრეოდა თქო“ ეგრე მითხრა „ფეხით ვიყავიო“.

კოლა სიცილისგან გაგუდული გაგორდა მიწაზე, ლამის კიოდა კაცი. თავად მოსასულიერებელი ფანტო მიხას ასულიერებდა.

- მიხავ სადლეგრძელო თქვი თორემა ესენი სულს ამომართმევენ სიცილითა – ამოიკვნესა კოლამ.
- რათა კაცოო? ეგრე იყო დააა – ღიმილით უპასუხა ნიკომ.
- აბა ერთიცა ვთქვათ და გასამდება. ამ ჭიქითა ვინც

დრევანდელ დღის გათენებას ვერ მოესწრო იმათ გაუმარჯოთ, გამარჯვება იმიტომა ვთქვი რომა მათი სახელი მანამ იქნება ცოცხალი ვიდრე ამ ამ ქვეყნად მომგონებელი ჰყავს ამ ქვეყნიდანა ვალმოხდილი წავიდა. გაუმარჯოთ – სასმისი სულმოუთქმელად გამოსცალა თამადამ.

– ნათელი დაადგეთ იმ ქვეყანასა – ჭიქა ასწია კოლამ – ერთი რამეა საწყენი, ბევრი ჯეელი მიდის ამ ქვეყნიდანა, ზოგი თანატოლისგან გამატებელი უგულოთა, ზოგიცა ამ წყეული ნარკოტიკებით დამარცხებული, ეჭ რას იზამ, ღმერთმა შეუნდოთ.

– ნათელი დადგეთ – ერთხმად შემოუძახეს დანარჩენებმა.

– ამ სადლეგრძელოზე ნუ გავჩერდებით, შევავსოთ სასმისები ძმები – თამადამ ჭიქა ასწია – ამ ჭიქითა ყველა ბალლს გაუმარჯოს, რავი კაცოო ამ ხალხისა ვერა გავიგერა, ეს ინგლისურიო, კომპიუტერიო, ესო ისო, ბალდები სწორი ქართულით ველარა საუბრობენ. კაცო ილია ჭავჭავაძე სახელი ქუჩის სახელის გამო რომ იციან და მამაპაპეული ისტორიის არმცოდნე ჭკუის გამრიგედა რომ ზის მე მგონი არ არის სწორი. ამერიკელებსა ვბაძავთო იძახიან, ისინი საკუთარ დროშაზე ლოცულობენ და სტირიან, ჩვენა კიდევა საკუთარს თავსლაფს ვასხამთ და ჩვენი ცუდი გარეთ გაგვაქვს მშობელი ხალხის შესარცხვენადა. ის ვიღაცები საზღვარგარეთა მხარს გვიჭრენო ამბობენ, დაგიჭერს მხარსა მაშ რა, მისი რა მიდის? ციხე საქართვლოში გარედან არავის აულია ყოველთვის შიგნიდანა ტყდებოდა. ჰოოდა ჯერ ჩვენს შვილებს ქართული ვასწავლოთ და თუ რაიმე კარგს მაიტანენ უცხო ქვეყნიდანა მაგას რა ჯობია კაცოო? ბალდებს გაუმარჯოთ, ალავერდი შენთანა ვარ კოლა.

– ალავერდის მადლი შეგენიოთ – მხარი გამართა კოლამ – ჩვენა ერთმანეთის გამწარებაში ვართ მაგრები

თორემა უცხო თესლის მტერსა, ჩვენივე მიწაზე გაზრდილს კი ვეფერებით. ის კიდევ გვირტყავს, გვაგინებს და სხვის ხელს შემყურენი პასუხის გაცემასა ვერა ვბედავთ. ალბათ მალე მოეგებიან გონის, ჩვენ ჩვენს შვილებს მივხედოთ

– თორემ სხვისი შემყურენი ფესვ წართმეულ ხეს არ დაემსგავსონ ჩვენივე ქართველები რომ ჰყიდიან სტამბოლის ბაზარზე. გაუმარჯოთ ბალლებსა, ალავერდი შენთან ვიქნები ნიკო.

– მართალი ხართ ძმებო, ქართული მრავალუამიერის დამვიწყებელს და უცხო პანგებზე მომლერალ-მოხტუნავეებს ლამის დღეგრძელობა დაგვიმოკლდება. შაჰ-აბასის წყევლა ეხლა გვიხდება, მაგრამ ღვთით კურთხეული ჩვენი მიწა ღვთისმშობლის წილხვედრია, ესე იგი უფლის დედულეთია და უცხო ვერ მოგვერევა. ბალებს გაუმარჯოთ.

– დიდი ხანი საბრიყვეთში ვცხოვრობდით – წამოიწყო ფანტომ – მაგრამ მაშინ, კაცობა ფასობდა, სიტყვა ფასობდა, შრომა დააფასებული იყო და ნამუს ნამუსი ერქვა, ეხელა ეს ყველაფერი ფულია. თუ ფული არ გაქვს შენი ცოდნა, ხშირად ნიჭიერება და კაცობა მხოლოდ შენთან რჩება და არავის სჭირდება. ახალგაზრდობის აღმზრდელი პედაგოგიც რომ მშიერი გიკვდება და პატივს აპყრი როგორი თაობა უნდა გაზარდოს?

– წინათა თბილისელობა – სიტყვა გამართა მიხამ – მთელს კავშირში სიმართლის და კაცობის სიმბოლო იყო, ქართველობა კიდევა მამულიშვილთან იყო გაიგივებული, დღესა არც ერთია და არც მეორე, იმიტომ რომ ძალლი და მამაძალლი ქართველობას ჩემულობდა და ჩვენც ხელს უწყობდით სხვადასხვაგვარადა, ჩვენებმაც არ დააკლეს ხელი. თუ რამდენ სიბინძურე იყო ჩვენში ერთიანად გამოვაჩინეთ, იმაზე არავის უფიქრია რომ ამით მომავალ

თაობას დავაზარალებდით და შვილებს გზას დაუმოკლებდით. შვილებს გაუმარჯოსო ვიძახით, ბალლი მაშინ იქნება გამარჯვებული თუ ოჯახში კაცად და ქართველად გაზრდი. შენ ამბობ რომ ყველაფერი ფულიაო, ეგრეა არ არის საქმე. სად გინახავს რომ კარგად გასხლულ და დროულად შენამლულ ვენახს ცუდი მოსავალი მოეცეს? ეგეთი ჯერ არ ჰყოფილა. ბავშვიც აღზრდაც ეგრეა.

სუფრაზე სიჩუმე ჩამოვარდა.

— ეჭ რაც არის არის, სასმისები შევავსოთ — უილაჯოდ ბრძანა თამადამ — ამ ჭიქითა მშობლებს გაუმარჯოთ, ნიკო, შენ ყველაზე ბედნიერი კაცი ხარ ჩვენს შორის იმიტომა რომა დედა გვერდში გყავს, დედაშენი თინა კარგად გიმყოფოს ღმერთმა, ბედნიერი ხარ რომ ამ ხნის კაცმა კიდევ შეგიძლია დედას მოუზმო, კიდევ შეიგრძნო დედის ხელის სითბო. ჩვენი მშობლებისა კი მოგონება იყოს, ნათელი დაადგეთ, ამინ.

— ეგრე იყოს, მშობლებს გაუმარჯოთ, ამ სიტყვის უკან დიდი ვალდებულება დევს ერის და ქვეყნის წინაშე, მშობლის ბედნიერება შვილთა სიმრავლე და მათი სიხარულია, არ ენახოთ შვილების ცუდი და არც ერთ მშობელს არ გაეცილობინოს შვილი მოუსავლეთში თავიზე წინ — სიტყვა დაასრულა ფანტომ.

— ეექ მთვარემაც ამოანათა — ცას ახედა კოლამ.

— ეს მაინცა გვყავს გზის გამნათებელი, აბა ავდექით, გვიანობის დრო მოგვპარვია — დასძინა კოლამ.

— მაიცა კაცო ერთი სიმღერა მაინც გვეთქვა და თანაც ყოვლად წმიდის სადღეგრძელო რომ არ შეგვისვამს? — მიხა ფეხზე წამოდგა მუხლი გამართა საკუთარი ხელით შეავსო სასმისი და ბრძანა — ღმერთო დალოცე ყველა ქალ-ვაჟი, ყველა დედას დაულოცე შვილი, ყველა ავადმყოფს კურნება უბოძე, შვილთა სიმრავლით ბედნიერებას ნუ მოაკლებ ამ ჩვენს ქვეყანასა, გასაცემ-შესანირის სი-

უხვეს ნუ მოაკლებ ოჯახებსა. ყოვლად წმიდაო ღვთისმ-შობელო დალოცე და შეეწიე საქართველოსა.

- ამინ – ერთხმად შეუძახეს დანარჩენებმა
- აბა ფაანტო შენ დაიწყე და ჩვენც აგყვებით...
- წიიინ წყაროოო ჩამოვიარეე წინწყაროოოო...

შემლილი

– მე შეშლილი ვარ, ხა, ხა, ხა და თქვენ კი ჭკვიანნი? და იცით რატომ? ჩემი პიროვნება მიუღებელია თქვენთვის და ჩემი აზროვნება თქვენს დოგმებს არ შეესაბამება. მე ვაკეთებ იმას რაც მინდა, რასაც ჩემი „მე“ მკარნახობს, თქვენ მოქმედებას კი საზოგადოებრივი ეტიკეტი განსაზღვრავს. ჩემთვის კანონი არ არსებობს, თქვენთვის კი საზოგადოებრივი, მარალური, ქურდული, ბოზური, საერთაშორისო ანგრევენთ თქვენს თვითმყოფადობას. აი შენ გცხელა, შეგიძლია ტრუსების ამარა ქუჩაში იარო? არა! და იცი რატომ? იმიტომ რომ საზოგადოებრივი ქცევის ნორმების და ეტიკეტის ტყვე ხარ, იფიქერბენ შენზე „გაგიუებულაონ“ და ავტორიტეტს დაკარგავ. მეძავი რომ მეძავია ისიც კანონს ექვემდებარება, მათაც გააჩნიათ ბოზური ეტიკეტი და ქცევის ნორმები რომლის დარღვევა მათთვის მკრეხელობაა. ყველა ფორმაცია რომელიც კი ცივილიზაციამ შეჰქმნა ლოგიკურია და თავისი მსაზღვრელი გააჩნია, საზოგადოებრივ კანონებს და წესებს დღეს თქვენ ჰქმნით, იმიტომ რომ თქვენ შინაგანი შეზღუდვის საფუძველი გქონდეთ, თქვენ მოიგონეთ სისხლის სამართალი, კოდექსი, სინდისის პატიმარი და ათასი სხვა დოგმა, იმისთვის რომ საზოგადოება მართული ყოფილიყო, სხვადასხვა რელიგია სხვადასხვაგვარად სწყვეტს ამ

საკითხებს, მაგალითად მუსლიმანურ ქვეყნებში ქურდს მკლავს სჭრიდნენ ან ნეხვით სავსე კასრსში სვავდნენ და ასე დაატარებდნენ ქუჩა ქუჩა, ხოლო უკან მდგარი იანი-ჩარი დრო და დრო ხმალს მოუქნევდა, კასრსში მყოფს არჩევანი ჰქონდა ან თავი უნდა მოეკვეთა მისთვის ხმალს ან ნეხვში უნდა ჩაეყო თავი, ხა, ხა, ხა შესანიშნავია არა? მეძავი მუღებელია თქვენთვის, ის უღირს ადამიანად მი-გაჩნიათ, იმიტომ რომ ადამიანთა წესიერების კოდექსით მისი საქციელი მიუღებელი საზოგადოებისთვის. მაგრამ რატომ? როცა პოლიტიკოსები ცრუობენ, ერს ატყუ-ებენ, პირადი ამბიციების დაკმაყოფილები მიზნით ლა-მის უკანალი მიართვან მავანთ, ერთმანეთის დასმენით, ყვარყვარეობით აღწევენ საწადელს და როცა თანამდე-ბობას და გამვლენას მოიპოვებს უცებ დიდ კაცად გა-დაიქცევა. და მე გეკითხებით თქვენ, ვინ არის მეძავი? ის ვინც საკუთარი თავის დამცირების ფასად ლუკმა-პურს შოულობს, თუ ის ვინც კაბინეტს მიღმა სულით-ხორცამ-დე მრუშობს? ამ ადამიანებისთვის მორალი არ არსებობს, არსებობს შიში მდგომარეობის დაკარგვისა. გინახავთ ერისკაცი? ვინც თვითო ჰქმნის იმ ფასეულობებს რო-მელსაც ყოველი საზოგადოებრივი ფორმაცია ენდობა? ესეთები ცოტანი არიან, ისინ ზნემაღალი რიალსტები არიან. მათი კანონები კი მკაცრია და ტრანსფორმაციას არ ექვემდებრებიან, ამ ადამიანებს არ სჭირდება სხვის ხელებში ყურება და საზოგადოებისთვის რიალურ ფასეუ-ლობებს წარმოადგენენ, მათ ერის ინტელეტუალური ელ-იტა ჰქვიათ. თქვენი საზოგადოების ელიტის მნიშვნელო-ვან ნაწილს კი ტოლერანტ მეძავთა ლეგიონები შეადგენენ აღზავებას მოწყურებულნი. დიდკაცთა და ერისკაცთა ოდეზლაც დაშვებული შეცდომის გახმაურებით ცდილო-ბენ საზოგადოების იერარქიულ კიბეზე აივანი გაიკეთონ რათა ტრიბუნა მიეცეთ ქონდრისკაცთ, რომ უხვსიტყ-

ვაობით თვითკმაყოფილების ნირვანაში ჩაიძირონ, რათა ცახის ცინობერის მსგავსად ერთჯერადი აღზავება მაინც განიცადონ...

– შეწყვიტეთ – ბრძანების ტოლფასი იყო ეს სიტყვა – სანიტრებს ვთხოვ პალატაში გაიყვანოთ ავადმყოფი.

პროფესორ შალვა მალლაფერიძეს სიმშვიდე დაუბრუნდა, სათვალე შეისწორა და კოლეგებს მიმართა.

– ბატონებო, ჩემო კოლეგებო ალბათ დარწმუნდით რომ ავადმყოფ გურამ მირიანაშვილის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა, დასმულ დიაგნოზში ლაფსუსი გამორიცხულია. არსებობს გარემოება რომელიც ართულებს ავადმყოფის მკურნალობას, მე მისი აკადემიური განათლება მაქვს მხედველობაში. იგი ბრწყინვალე ლიტერატორი, ისტორიკოსი, და ორატორი იყო, დიახ იყო რადგან თავად დარწმუნდით ავადმყოფობის სიმძიმეში. მე იმედს გამოვთქვამ რომ იგი დაექვემდებარება მკურნალობას. მადლობათ ყურადღებისთვის.

ბატონი შალვა ჩქარი ნაბიჯით მიემართებოდა კაბინეტისკენ

„ვიგინდარა – ფიქრობდა პროფესორი – მომიწყო აქ შოუ, სანამ თანამდებობაზე იყო გაზდიოდა, ახლა ჩემი ხარ ღრმად პატივცემულო გურამ მირიანაშვილო, ამ კედლებიდან მოგიწყობ გასვენებას“.

პროფესორმა კაბინეტის კარი გააღო, შევიდა და ზურგს უკან კარი მძლავრად მიიჯახუნა.

– გამარჯვობათ ქალბატონო, მე ლადო ტაბიძე გახლავართ, ასპირანტი – მორიდებით მიმართა ახალ მოსულმა პროფესორის მდივანს – ბატონ შალვასთან მაქვს დანიშნული შეხვედრა, გთხოვთ აცნობოთ ბატონ პროფესორს.

მდივანმა ქალმა მძიმედ ახედა მოსულს, გამხდარი, საშუალო სიმაღლის, მოხდენილად შემოსილი ახალგაზრდა

ესაუბრებოდა მდივანს. სოლიდურობისთვის კეისი ეპყრა ხელთ მოსულს.

– პროფესორი დაკავებულია, ჩაეწერეთ მიღებაზე და ხვალ მობრძანდით.

– იქნებ ეს წერილი გადასცეთ ბატონ შალვას, ეს ჩემი რეკომენდაციაა და პროფესორისთვისაა განკუთვნილი – ხმაში სიამაყე დაეტყო ასპირანტს.

ჩაკურატებული მდივანი თეძოების ჰარმონიული თახ-თახით გაემართა პროფესორის კაბინეტისკენ და კარს მიღმა მიიმალა. ორიოდ წუთში თავად ბატონი შალვა გა-მობრძანდა სტუმრის მისალებად.

– გამარჯობათ ახალგაზრდავ, მობრძანდით, გთხოვთ
– მლიქვნელური ღიმილი დასთამაშებდა თვითდაჯერე-
ბულ სახეზე პროფესორს.

კაბინეტში განმარტოვდნენ ორნი.

– გისმენთ ყმაწვილო, რით შემიძლია გემსახუროთ –
სიჩუმე დაარღვია პროფესორმა.

– ბატონი შალვა – მორიდებით ალაპარაკდა ასპირან-
ტი – ჩემი სადისერტაციო ნამუშევრის სრულყოფისთვის
თქვენდამი დაქვემდებარებულ საავადმყოფოში კვლევე-
ბის წარმოება უაცილებელი პირობაა. გთხოვთ დამრთოთ
ნება რომ ვანარმოო შესაბამისი დაკვირვება ავადმყოფე-
ბზე. მაპატიეთ ოდნავ ვლელავ, მე ხომ პირველად მაქვს
პატივი ვესაუბრო თქვენი დონის მეცნიერს.

– არაფერია, მე დარწმუნებული ვარ რომ ჩვენ შეს-
ანიშნავად ვითანამშრომლებთ. ხო მართლა მამათქვენი
როგორ ბრძანდება? ერთხელაც კი ვერ მოვიცალეთ ერთ-
მანეთისთვის, რას იზამ, ამ არა სტაბილურ დროში ჩვენ
ყველანი ვითარების მარიონეტებად ვიქეცით. მე გაგაც-
ნობთ ჩვენს ერთერთ წარმატებულ სპეციალისტს, ექიმ
თინათინ კასრაძეს, შესანიშნავი გოგონაა. თუ არ ვცდები
თქვენი მამები საკმაოდ კარგი მეგობრები არიან, ყოველ

შემთხვევაში ჩემთვის ასეა ცნობილი.

პროფესორმა მდივანი გამოიძახა.

– თინათინ კასრაძე მომიძებნეთ სასწრაფოდ – გასცა ბრძანება პროფესორმა.

– ახლავე ბატონო შალვა.

უხერხული დუმილი ჩამოვარდა. სიჩუმე ასპირანტმა დაარღვია.

– ბატონო შალვა, მინდა მადლობა გადაგიხადოთ გულისხმიერებისთვის.

– რას ბრძანებთ. ჩვენ ხომ ექიმები ვართ, თანაც მეცნიერები და არ ვიღაც მატრაკვეცები პოპულიზმით რომ ცდილობენ ადგილის დამკვიდრებას საზოგადოებაში. ჩვენი შრომა არ სჩანს, ბიუჯეტს კი ყოველ წლიურად გვიკვეცავენ, თუ ასე გაგრძელდა ალბათ სახლიდან მოგვიწევს ავადმყოფებისთვის საკვების მოტანა. ეს რა იზამ, ალბათ ვერ შევძელით თანამედროვე მოთხოვნებისთვის ფეხის აწყობა ...

კარზე მსუბუქი კაკუნი გაისმა.

– მობრძანდით.

– შეიძლება ბატონო შალვა? – კაბინეტში თეთრ ხალათში გამოწყობილი მომხიბლელი გოგონა შემოვიდა.

– მობრძანდი თინათინ, ნება მიბოძე წარმოგინო ახალგაზრდა ასპირანტი ლადო ტაბიძე, ჩვენთან არის მოვლენილი, იმედი მაქვს დაეხმარები.

– რითაც შემიძლია... სიამოვნებით – თავდაჭერილი ღიმილით დაეთანხმა ექიმი

– თინათინ, გთხოვთ გაეცნოთ ასპირანტ ტაბიძის სადისერტაციო თემას და შესაბამისი დახმარება აღმოუჩინოთ ახალგაზრდა მეცნიერს, თქვენ კი ბატონო ლადო წარმატებებს გისურვებთ, მე თქვენ საიმედო ხელში გტოვებთ. გაქვთ შეკითხვები? – დასძინა პროფესორმა და გამომცდელი მზერა მიაპყრო ახალგაზრდებს.

- არა ბატონი შალვა, მადლობთ ყურადღებისთვის – ზრდილობიანად უპასუხა ასპირანტმა
 - ახალგაზრდებმა პროფესორის კაბინეტი დატოვეს
 - მაშ ასე, მე თინიკო მქვია, ვიცნობდეთ
 - სასიამოვნოა, მაქვს პატივი ლადო ტაბიძე, კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა
 - ბატონი ლადო, დავიწყოთ იქიდან, რომ იქნებ მითხ-რათ რა თემაზე გვიწევს მუშაობა და შემდგომ დავსახოთ თანამშრომლობის გეგმები, თანახმა ხართ?
 - რასაკვირველია, მინდა მოგახსენოთ რომ...
 - მოდით შენობით ვილაპარაკოთ, არა მგონია ჩვენს შორის დიდი ასკობრივი სხვაობა იყოს, მეთანხმებით?
 - კი ბატონო, ჩემი თემა შეურაცხადთა ქცევის თა-ვისებურებებს შესწავლას მოიცავს. ჩემთვის ცნობილია რომ საავადმყოფოში მკურნალობის კურს გადის გურამ მირიანაშვილი და თუ შესაძლებელია იქნებ ჩემი კვლევე-ბის ამოსავალ წერტილად ბატონი გურამი გახდეს.
 - თქვენი თხოვნის შესრულებას მხოლოდ ბატონი შალ-ვა თუ შეძლებს, ისიც ჯანდაცვის სამინისტროს სპეციალ-ური ნებართვის საფუძველზე, ასე რომ...
 - კარგით ჩემი თხოვნა დროებით დავივიწყით, მხო-ლოდ დროებით, ნება მიბოძეთ მოგიწვიოთ...
 - ოოო არა საკმაოდ დაკავებული ვარ რომ...
 - ... საავადმყოფოს ბუფეტში, თანაც უკვე შესვენების დროა.
 - რადგან ასეა თანახმა ვარ.
 - და ქალური სიამაყის მთელი დასტა გადმოარცქვია გაშინარების მცდელ ახალგაზრდა კაცზე.
 - ბუფეტში თითქმის არავინ იყო. წყვილმა ორი ფინჯანი ყავა და ბუტერბროტი შეუკვეთა.
 - „ – მშვენიერი გოგოა – ფიქრობდა ასპირანტი – მხე-დენილი, ლამაზი, მაგრამ ქალური ამბიცია უხვად აქვს

მოძალებული. არა უშავრს, ასეთები მომითვინიერებია. მაცალეთ მოწყალეო ქალბატონო, მე თქვენ ტელესკოპებიანი მეცნიერი ხომ არ გვივართ?“

„საკმაოდ დიდი ხარ აღსაზრდელად მეცნიერუშვა, გატყობ ჩემით დაინტერესდი. არა მგონია შენი დისერტაცია მართლა გადარდებდეს. რაო ჯიგარო გონებაში ალბათ უკვე გამხადე არა?“ – სერიოზული სახით ფიქრობდა თინიკო.

– საუბრის დასაწყებად პირველი სიტყვის მოძებნა მიჭირს ... – დუმილი დაარღვია ლადონ.

– გამოსავალს გთავაზობთ, მეორე სიტყვით დაიწყეთ – კეკლუცად გადაიკისკისა თინიკომ.

– ვერასადროს წარმოვიდგენდი რომ ჩემი ფეხით მოვიდოდი ფსიქიატრიულში.

– რატომ? ადამიანმა ყოფელთვის რომ იფიქროს ცხოვრებაზე ამ საავადმყოფოს პაციენტობა არ ასცდება, ხანდახან სიგიურ აუცილებელია.

– ალბათ მართალი ხართ.

– ჩვენ ხომ შევთანხმდით რომ „შენობით“ ვისაუბრებდით?

– თქვენ ერთით ნულს მიგებთ, უკაცრავად შენ მიგებ.

– გსურთ ანგარიშის გათანაბრების შანსი მოგცეთ?

– შევთანხმდით, გთხოვ ზედმეტ სითამამეში ნუ ჩამომართმევ და მინდა ჯაზფესტივალზე დაგპატიურ, დღეს იხსნება. პატივს დამდებ?

– ... პრინციპი „გაიტანეთ რამდენიც შეგიძლიათ ,გაგიტანთ რამდენიც გვინდა“ ...

– დაახლოვებით ასეა, ჩემი თქვენდამი პატივისცემის გარანტად ჩვენი მამების მეგობრობა მომიცია, შევთანხმდით?

– შევთანხმდით.

– ნება მიბოძე კაბინეტამდე მიგაცილო.

მობილური ტელეფონის ზარმა შეაწყვეტინა საუბარი ლადოს.

– „ხო მამა, გისმენ... კარგი მოვდივარ“.

მამის კაბინეტში მორიდებით შევიდა ლადო, ბატონი არჩილ ტაბიძე მომნუსხველი მზერით კითხულობდა რაღაც დოკუმენტებს.

– მამა გამარჯობა.

– ოო, როგორც იქნა მოხვედი, შემოდი რას დაყუდებულხარ კარებთან. დაჯექი.

ლადო მაგიდას მიუჯდა.

– როგორ შეგხვდა მაღლაფერიძე? – აგდებულად იკითხა მამამ – გრიგოლის გოგომ დამირეკა, თინიკომ, გაგიცვნიათ ერთმანეთი და კარგი შთაბეჭდილებაც მოგიხდენია მასზე. შენს „მივლინებასთან“ დაკავშირებით შეკითხვები ხომ არ გაქვს?

– მაქვს...

– ხო, ვიცი, მაცნობეს... – უხალისოდ ამეტყველდა ფუნქციონერი – შენი შეხვედრა მირიანაშვილთან დავი-ჯერო აუცილებელია?

– აუცილებელია! მე არ მჯერა რომ ის კაცი შეშლილია.

– შეურაცხადი ხომ? გეთანხმები, ის სავსებით ჯან-მრთელია. საქმე იმაში მდგომარეობს რომ თანამედროვე მედიცინა, კერძოდ ფსიქოტროპული პრეპარატები ისე დაიხვეწა რომ ბნელ ოთახში ხუთ კატას დაგაჭერინებს მაშინ როცა იქ არცერთი არ არის.

– ესე იგი...

– ხო ლადო „ესე იგი“ მისი იქ ყოფნა ჯერჯერობით აუცილებელია. მერე ვნახოთ... არსებობს რებილიტაცია, განკურნება, სამედიცინო შეცდომა, პოლიტიკური შანტაჟი და სხვა თემები. ამას დროის მანქანა გვიჩვენებს რომელი ბერკეტის გამოყენება იქნება საჭირო, შეიძლება არც ერთის და იცი...

— კი, მაგრამ მამა სად არის ჰუმანიზმი, კაცომიყვარეობა რომელსაც ბავშვობიდან მასწავლიდი? ის იდიალები რითაც მზრდიდი სად გაქრა მამა?

ლადოს ხმა აუკანკალდა.

ბატონ არჩილს დამცინავმა ლიმილმა გადაურბინა სახეზე.

— გთხოვ მამა მიპასუხე, სად არის ის ფასეულობები?

— ... კინოში, თეატრში, წიგნებში — მოკლედ მოუჭრა მამამ — სახელმწიფო ინტერესები იდიალიზმის დონეზე არ განიხილება. აქ პრაგმატული აზროვნებაა მთავარი. რიალიზმი, აი ეს არის ამოსავალი წერტილი თვითოული ჩვენთაგანისთვის. მინისტრები ინიშნებიან და იხსნებიან თანამდებობებიდან, დეპუტატები იმუნიტეტს ჰკარგავენ, დღევანდელი პირველი პირები ქრებიან საზოგადოებრივი ან პოლიტიკური ასპარეზიდან. ჩვენ ვრჩებით, რადგან არ გვაქვს პოლიტიკური ამბიცია, არ ვიზიარებთ არცერთი პარტიის პოზიციებს, არ ვდგებით სხვათა პოლიტიკურ პლატფორმაზე. ჩვენ სახელმწიფო ინტერესებს ვიცავთ და ვზრდით ჩვენს შემდგომ კადრს. თუნდაც ისეთ როგორიც შენ ხარ. — ბატონი არჩილი გაწუმდა.

პაუზა დიდ ხანს გაგრძელდა. დუმილი ისევ მამამ დაარღვია.

— ლადო, როგორი გოგონაა თინიკო? შენი კვალიფიკაციის მქონე კაცი არ შეცდება.

— კარგი გოგოა, მაგრამ შენ ვერ ამიხსენი ის რისი გაგებაც მსურს, კერძოდ ...

— კარგი! გეყოფა! მომისმინე. ოდითგანვე წებისმიერ სახელმწიფოში, როგორი მოწყობისაც არ უნდა ყოფილიყო იგი მართვის ძირითად ბირთვს პოლიტიკური ოლიგარქები წარმოადგენდნენ. ამ ფენომენის გაშიფრვა შორს წაგვიყვანს და მომავალში მიხვდები ამ ტერმინის დედააზრს. ისინი თავიანთი სიძლირის შენარჩუნებას და-

მოყვრებაში ხედავდნენ. ყოველ ასეთ შემთხვევას პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა. მე დაინტერესებული ვარ შენი და თინიკოს შეუძლებით, ანალოგიური ინტერესები აქვთ კასრაძეებსაც. ეს ფაქტი გთხოვ გაითვალისწინე. რაც შეეხება მირიანაშვილს, გეტყვი და კარგად მომისმინე, შემდეგ გადაწყვიტე ღირს მასთან შეხვედრა თუ არა. პიროვნებას რომელსაც საზოგადოებაში მაღალი მდგომარეობა უჭირავს, მისი მოქმედება მისაბაძი ხდება, ხოლო თუ იგი ზნემაღალი და ამავე ღირს მაღალი ინტელექტის, გონიერის და ერუდიციის მატარებელია, თან ორატორის ნიჭითაც არის დაჯილდოვებული „ერკემალის“ სტატუსით სარგებლობს მასებში. ეს ყველაფერი გარკვეული დოზით დასამვებია, მაგრამ არსებობს პიროვნული მოთხოვნილება „მას უსმინდნენ“. ამ შემთხვევაში იგი პერსონალურ პასუხისმგებლობას იღებს იმ ფრაზებზე რომელსაც წარმოთქვამს და ამ მხრივ მისი საჯარო გამოსვლები დელეკატურობის უხვ დოზას უნდა შეიცავდს. ბრძენკაცის სიტყვა ლოზუნგის ტოლფასია, ხშირად კი საზოგადოების, მეტადრე პიროვნების ცხოვრების დევიზად გადაიქცევა. ბრძენკაცობა დღეს გარდა განათლებისა, ერუდიციისა, ორატორობისა და დიდი მსოფლედველობისა საზოგადოებრივ ამფიბიად გადაქცევასაც გულისხმობს. იცი რა მაქვს მხედველობაში? პიროვნება რომელიც მყარად დგას მინაზე მისი ნაფეხური მინას მყაფიოდ აჩნია და ამ ანაბეჭდს კომპასის თვისება აქვს, განსაკუთრებით მაშინ თუ პიროვნება ყოელთვის სიმართლეს ამბობს და ფაქტების ზუსტ კონსტატაციას ახდენს, რასაკვირველია ფაქტები რომელზეც საუბრობ მთელი სიზუსტით უნდა წარმოჩნდეს, მაგრამ არსებობს მოვლენები რომელზეც საუბარიც კი დაუშვებელია. თუ ერთ ასეთ ფაქტს მაინც ექნა ადგილი და თან თუ საზოგადოების განხილვის საგნად გადაიქცა ეს უკვე წუნია. წარმოიდგინე მცენარე, რომელიც

ნიადაგიდან იკვებება, რაც უფრო ნაყოფიერია მიწა მით უფრო სწრაფია მცენარის ზრდა-განვითარების პროცესი, ხშირად სასუქსაც უყრიან გარკვეული დოზით. და იცი ფესვებამდე როგორ უნდა მიაღწიოს ამ ყველაფერმა? წყლის საშუალებით, წყლის და მხოლოდ წყლის საშუალებით. აქედან გამომდინარე ეს საოცარი სითხე არ მარტო მცენარისთვის არამედ საზოგადოების განვითარებისთვისაცაა აუცილებელი. იმ შემთხვევაში თუ სასუქი ბევრი მოგივა ან მცენარეს გაახმობ ან მის გარშემო სარეველას გაამრავლებ, ორივე შემთხვევაში მცენარე დაიჩაგრება. წყლის მოთხოვნილება ადამიანს დიდი დოზით აქვს. თუ არ ვცდები ადამიანის ორგანიზმში 70% წყალია და არა ხორცი. რაც შეეხება ნაფეხურებს უდიდესი რეპტილიები გადაშენდნენ, მათი არსებობის დასტურად ქანებზე მათი ფეხის ანაბეჭდები და ჩონჩხი დარჩა რომელსაც სიამოვნებით ათვალიერებენ ტურისტები. ჩვენი საზოგადოების უდიდესი რეპტილია მორიანაშვილია. იგი ის დინოზავრია რომელიც მხოლოდ მცენარეებით იკვებებოდა და მისი ძალისა და სიდიდის მუხედავად ხორცის მჭამელთა მსხვერპლი გახდა. რაც გითხარი თუ გაიგე ხომ კარგი, თუ არა და გლობალზაციას შეწირული, ამნეზირებული საზოგადოებისთვის შენი „სტერილიზირება“ „ვ პორიადკე ვეშჩეი“ იქნება. შენს პიროვნებას შემოდებენ მტვრით თაროზე და მხოლოდ ახლოლებს გაახსენდები, ან უკეთეს შემთხვევაში იდიალს მოკლებული ობივატელისთვის ხატად გადაიქცევი. ორივე შემთხვევაში წარსულის საკუთრება გახდები, გაიგე? ასეა ჩემო კარგო, მე ამ თანამდებობაზე 30 წლის წინ მოვედი, მრავალი ხელმძღვანელი გამოვიცვალე, მე კი აქ ვარ „ყოველთვის საჭირო კაცი“. მე ჩემი სათქმელი გითხარი. ახლა შენ იცი. აგერ მირიანაშვილთან კონტაქტის ნებართვა.

მამამ შვილს ტიტულოვან ფურცელზე დაბეჭდილი ნე-

ბართვა გაუწოდა.

— ახლა კი წადი, ვიცი დღეს შენ და თინიკო ჯაზფეს-ტივალის გახსნაზე მიდიხართ, ნეტა რა მოგწონთ მაგრახარუებში.

ლადო ქუჩაში გამოვიდა, წვიმდა, მანქანაში ჩაჯდა, ძრავი ჩართო, ცოტა ხნით ჩაფიქრებული გაჰყურებდა სივრცეს. მანქანა დასძრა. თინიკოსთან მიეჩქარებოდა ასპირანტ ლადო ტაბიძეს.

ჯალათი

ღამის წყველიადში ციხესიმაგრის მხოლოდ ერთი სარკ-მლიდან იღვენთებოდა სიბნელეში სინათლე. სიჩუმის მეუფების ღამისეულ ტახტს მეციხოვნეთა გადაძახილი თუ შეურყევდა სიმაგრეს. მთვარის შუქი უმწეო ნათელს ჰქონდა გარემოს და ციხესიმაგრის გოროზ გუმბათთა ჩრდილს ანარცხებდა ქვადეცეულ ეზოს.

ადამიანმა თავისი ხელით ააგო ეს საპყრობილე თვი-სივე თვისტომთა შესაპყრობათ და დასასჯელად. ადამი-ანთა კანონის მიმართ, ადამიანთა ვნების და სიჯიუტის დასამარცხებლად. ციხის კედლებში მსჯავრდებულნი რკინის კარებით გამოეკეტათ, არც ეს აკმარეს მათ ცოდ-ვის ტირილს და თითო კაცად საკნებს მიჰვარეს მარტო-სულნი.

არ სძინავს ციხის ჯალათს. მას ბოლო მსაჯულს, მას კაცის მკვლელსა და მკვლელად არათქმულს. მისი სენ-აკიდან ავბედითად უღერს ნაჯახის ლესვა, ხან კი მახ-ვილის, ხანაც გოდება სასჯელ მისჯილის, ხანაც კვნე-სა-კივილი სძრავს იდუმალ კედლებს.

ამ ღამით სიჩუმეს დაუსადგურებია ჯალათის მოზრ-

დილ სენაკში. კედლებს შეხიზნული ჩირალდნებიც ჩუმად კიაფობდნენ თითქოს თავიანთი გულქვა ბატონის მრისხ-ანებისა ეშინიათო. ცული იქვე აეყუდებინა კედელზე და ყოველლამეულ ლესვის რიტუალს მონატრებული ალმა-სის პირით ცეცხლისგან ნასროლ ალს ირეკლავდა იქნებ გავახსენდეო პატრონს აქ უქმად მყოფი. მდუმარედ იდგა სიკვდილის ჩარხიც, ბასრი ნემსები ჩუმად ჟიოდნენ, სისხლს მოწყურებული მუხის ჩარჩოსაც უსაქმურობით ჩასძინებოდა....

ჯალათი მდუმარედ წამოდგა, გადახედა თავის საუ-ფლოს, რამდენი გრაფი, ჰერცოგი თუ უბრალო მოქალაქე გამხდარა მისი მსხვერპლი, ან ვინ მოსთვლის დიდგ-ვაროვნ ქალთაგან რამდნი გამხდარა მისი თოჯინა ადამი-ანთა კანონის ძალით პატივაყრილი. ფულსაც უხვად უხ-დიდნენ საიქიოს კარის ამ ხორციელ მცველს, რომ მისი მსხვერპლისთვის უცბათ მოეკვეთა თავი ან საწამლავი მიეცა კოცონზე ასვლის წინ მსაჯულთა ნებით დასჯილს და ბრბოსთვის თავშესაქცევად ქცეულ მსხვერპლს.

მძღავრი ხელები აბურძგნულ თავზე გადაისვა, თვალს მოწყვეტილი ცრემლები მკერდამდე დაცემულ წვერზე მისრიალებდნენ, მისი ხარისხებრი კისერი ველარ იჭერ-და ჯალათის გოლიათურ თავს. მხრები უცახცახებდა, ტიროდა ჯალათი.

დილით თავისი ხელოვნება საკუთარ შვილზე უნდა გა-მოეცადა.

ინკვიზიციამ თავისი უზენაესი კანონთა რისხვა დაა-ტეხა მეჯინიბეს „რად ხედნი შავ მერანს მისი უდიდ-ულებისთვის თუ შავ ძალასთან არ ხარო წილნაყარი?“, „რად გიჯერებსო და რად ხდება შენს ხელში ცხენი თვინ-იერი თუ ჯადოქრობის ხელოვნებას არ ფლობო?“, „რად გებმის ენა თუ ბნელ ძალასთან არ ხარო ერთსული?“, „იქნებ მისი უდიდებულესობის მომთობა გსურსო შავი

მერანის წყალობით?“.

დასჯის წინა დღეს უამრავი ფიჩხი მოზიდეს მოედანზე, ცენტრში აღმართულ ბაქანის ქვეშ და გარშემო დაყარეს. ცეცხლის ენების უხვად ნალოკი, ადამიანის ტყავმიმნვარი მრავალტანჯული ბორკილი ბაქანზე აღმართულ ძელზე მიამაგრეს.

ამაღამ სიკვდილმისჯილი უნდა ეზიაროს, წმინდა მა- მას უნდა შეხვდეს ალსარებისთვის, შემდეგ კი ჯალათს. ეს იცის ჯალათმა, იცის მამამ, რომელიც უკანასკნელად უნდა შეხვდეს შვილს.

სენაკის კარებზე მოკრძალებული კაკუნი გაისმა, ფიქრებისგან გამოერკვა, მძიმედ წამოდგა და დარკინუ- ლი კარი გაულო მოსულს.

– ჯალათო მოძღვარნი გაშორდნენ პატიმარს ,თქვენ- თან შეხვედრას ლამობსო მეჯინიბე – მოახსენა მეციხ- ოვნემ და დაამატა – ნება მიბოძეთ მიგაცილოთ ტუსა- ლის საკნამდე, რამეთუ არავინ უწყის რა უდევს გულში განკვეთილს....

ჯალათი უსიტყვოდ დაჰყვა მოსულის ნებას.

მეციხოვნემ დიდრონი გასაღები მოარგო საკნის ვეება ბოქლომს, კარი ამპარტავანი ჭრიალით გაიღო, თითქოს ენანებაო საკნის წიაღმი ეულად მყოფი მეჯინიბესთვის სიმყუდროვის დარღვევა.

– თქვენ ცოტა დრო გაქვთ ჯალათო – მიმართა მე- ციხოვნემ. შემდეგ შებრუნდა, ზღურბლზე გადააბიჯა და კარები მოიხურა.

საშინელ განცდებს დაეტანჯა მეჯინიბეს ნათელი სახე. ცხოვრების უგნურობას ჩაექრო მგზნებარე თვალთა კი- აფი, წელში მოედრიკა ამაყი მეჯინიბე მსაჯულთა განაჩე- ნის მძიმე დარტყმებს, თითქოს დასტირის უდროოდ უამ- მოწეულ სიცოცხლით გაუმაძღარ საკუთარ თავს.

უსიტყვოდ შეჰყურებდნენ ერთმანეთს მამა ჯალათი და

შვილი მეჯინიბე. მამის მოდრეკილ მხრებს უსუსურად აჰ-კვროდნენ უზარმაზარი მკლავები. შიშნარევი შეჰყურებდა შვილის ცრემლით დატბორილი დიდრონი შავი თვალები. ბაგენი უცახცახებდა მეჯინიბეს.

– როგორ მოგმართოთ? როგორც მამას თუ როგორც ჯალათს? – ჩახლეჩილი ხმით ამეტყველდა ტუსალი, ადროვა მამას და დინჯად განაგრძო – მომისმინე მამა, გთხოვ მომეცი სანამლავი, რადგან შენც აიცილო განგების მეაცრი მსჯავრი, იყო შვილის ჯალათი და მე კი, უზენაეს ხატებს ამოფარებული გონებაჩარლვეულ მსაჯულთა მსჯავრის ცოცხლად გამზიარებელი. მშვიდობით მამა, ნუ-რასოდეს შეაჩვენებთ საკუთარ თავს ჩემს გამო, ერთს გთხოვ მხოლოდ, ის ქალი მე მიყვარს, ის ფეხმძიმედაა, მე შვილის დაბადებას ველოდებოდი მამა. ბოშა ქალმა მითხრა ვაჟი გეყოლებაო, გთხოვთ გიყვარდეთ ისინი როგორც ღვიძლი შვილები. – მეჯინიბემ ერთი ამოიხრა და ქვის საწოლზე ჩამოჯდა – გთხოვთ, მოილეთ მოწყალება და ჩემი სურვილი აასრულეთ მამა. მე განწირული ვარ, არც შენდობას გთხოვთ ცოდვებისგან სულდამძიმებულს – მეჯინიბეს ხმა აუკანკალდა, უცბად მოსწყდა ადგილი-დან და მამას მოეხვია.

მამაის ხელები ჯალათისთვის უჩვეულო სინაზით ეფერებოდნენ შვლის ზურგს, თავს, თავის პირმშოს ჰკოცნიდა და გულში იხუტებდა სულჩარლვეული.

– ღმერთო მომიტევე ჩემი ცოდვებისთვის ,თუმცა მაქვს კი თხოვნის უფლება უფალო? – ალმოხდა ჯალათს – მე არ მივცემ ინკვიზიტორთ რომ ცოცხლად დაგწვან, მისჯილი თუ მსჯავრის აღსრულებამდე გარდაიცვლება მას აღარ დასწვავენ და შენ ჩემი იქნები სამარადეამოთ – გამოსავალნაპოვნი კაცივით გაეხადა ჯალათს, ჯიბიდან პატარა ბოთლი ამოილო და შვილს მიაწოდა...

– მართლა მწარე ყოფილა სიცოცხლე, იცი შიში

გამიქრა, ამაოება ყოფილა სიცოცხლე, ყოველი დიდება და პატივი, იცი მამა ...

დილით დიდ ტომარაში ჩაასვენეს მეჯინიბეს სხეული და ინკვიზიციის წინაშე დამსახურების სანაცვლოდ მამას გადასცს პატივისცემის ნიშნად.

გზად მიმავალმა მექარავნებმა პატარა ბორცვი შენიშნეს ტყის პირას, მინდვრის ყვავილებით მორთული. მხოლოდ ადამიანის გოლიათური სხეული გადაფარებოდა ზემოდან თითქო საუნჯეს იცავსო უცხოთა ხელყოფისა-გან. ერთი მექარავნე მიუახლოვდა ბორცვს, ამხანაგები-სგან მაცნედ გამოგზავნილი, სულგაყრილ სხეულს დააკ-ვირდა და ციხის ჯალათი შეიცნო მექარავნემ, ბედნიერი ღიმილი შეჰყინვოდა სახეზე მიცვალებულს. მექარავნემ პირჯვარი გდაინერა და შეშინებული გაშორდა უცხო სა-მარეს და მის ღიმილმჩენ მცველს.

... და მაინც ეს სიმართლეა ...

უცნაური ის იყო, რომ ჩემი რესპოდენტი, კაცი რომელ-ზეც უურნალისტთა „არმია ნადირობდა“ თავად დამირეკა რედაქციაში და შეხვედრა მთხოვა. თავი სიზმარში მეგო-ნი ბატონი ზესა საკუთარ სახლში მეპატიურებოდა.

კარი დარბაისელმა ქალბატონმა გამიღო.

- მოპრძანდით ბატონო, გთხოვთ.
- გამარჯობათ, მე გაზეთ „კაბადონის“ რედაქციიდან გახლავართ, ბატონმა ზასამ დამდო პატივი და მომიწვია...
- უხვსიტყვა ბრძანებულხარ შვილო, ზესა კაბინეტში გელით, მხოლოდ თხოვნა მაქვს თქვენთან, ნუ დაღლით.
- გასაგებია ქალბატონო.
- მაშინ გთხოვთ.

ბატონი ზესას კაბინეტისამკითხველო დარბაზს ჰგავდა. ოთხივე კედელი წიგნებით სავსე თაროებით იყო დახუნდული. იქვე კუთხეში მოზრდილ მაგიდაზე რუქების და ატლასების გროვა იყო. საწერ მაგიდასთან ოჯახის უფროსი სავარძელში მოკალათებულიყო და გამომცდელი თვალებით მიმზირდა.

- გამარჯობათ ბატონო ზესა.
- მოპრძანდით ჩემო ბატონო. დაპრძანდით გთხოვთ.
- ხელი თავის ასაკთან შედარებით ძალუმად ჩამომართვა.

- თქვენი სახელი შვილო?
- ირაკლი, ირაკლი მაისურაძე, გაზეთ „კაბადონის“ უურნალისტი გახლავართ.
- ბატონო ირაკლი თქვენმა რედაქტორმა მთხოვა ინტერვიუ მომეცა თქვენი გაზეთისთვის. ისე ნამეტანი თხოვნა შესძლებია თქვენს რედაქტორს. დღე ერთი იყო და ათჯერ მირეკავდა. აბა გისმენთ ჩემო ბატონო.
- მადლობთ რომ ინტერვიუზე დაგვთანხმდით, პირველ რიგში მინდა გკითხოთ, ჯანმრთელობით როგორ ბრძანდებით?
- ჩემს ასაკში ადამიანი ან კარგად უნდა იყო ან კარგა ხნის მკვდარი.
- ღმერთმა კარგად გამყოფოთ.
- იცოცხლე შვილო.
- პირველი შეკითხვა მინდა დაგისვათ.
- გისმენთ.

- თქვენს სტატიაში „არმაგედონის“ საკმაოდ უცნაურ ფორმულირებასთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ...
- უცნაური მანდ არაფერია, სიტყვა არმაგედონი სამი სიტყვისგან შედგება „არმ“, „მაგ“ და „დემონ“. პირველი „არმ“ ძალას, არმიას, იძულებით დისწიპლინას ნიშნავს,

მეორე „მაგ“, „არმ“-ზე დაფუძნებული პოლიტიკას ნიშნავს, რელიგიათა შორის ომს, ფასულოვათა გადაფასებას, მსოფლიო იძულებით წესრიგს და „დემონ“ მსოფლიო იძულებითი წესრიგის დასაცავად შექმნილ ტირანიას.

— ესე იგი „არმაგედონი“-ს თქვენებული ვერსია გამორიცხავს მითს მეტეორის ან კომეტის შესახებ?

— კითხვა არასწორედაა დასმული შვილო, კომეტა ან მეტეორი ეს ალეგორიაა, ვინც მტრის ცას ფლობს მიწაზეც ისაა ბატონი. ძველმა ხალხმა არაფერი უწყოდა რაკეტების და თვითმფრინავების შესახებ, მათ ის იკოდნენ რომ ცის და მიწის თავისუფლება დამოუკიდებლობის სიმბოლოა შვილო.

— გამოდის რომ კოსმოსიდან საფრთხე არ გვემუქრება?

— საფრთხე ყოველთვის არსებობს და იარსებებს სანამ იარსებებს „მონადირის სინდრომი“.

— ... და რას ნიშნავს ეს ...

— ცხოველი ნადირობს რათა იარსებოს, ქურდი ნადირობს სხვის საკუთრების მითვისებისთვის, ბიზნესმენი ნადირობს სხვისი ფულის მიტაცებაზე, პოლიტიკოსები ელექტორატზე, ქვეყნები ერთმანეთის ტერიტორიების და სიმდიდრების მიტაცებაზე და ასე შემდეგ, ყველა ნადირობს, უბრალოდ ნანადირევი და გამოყენებული იარაღია სხვადასხვა.

— ესე იგი, მთელი მსოფლიო ერთ დიდ კრაზიანის ბუდეს ჰგავს?

— სამწუხაროდ ასეა.

— ისევ „არმაგედონს“ დაუბრუნდეთ.

— ბრძანეთ ბატონი.

— თქვენ ამტკიცებთ რომ „არმაგედონი“ სოციალურ-პოლიტიკური ფენომენია და არავითარი კავშირი არ აქვს კოსმოსთან, და როდის მოევლინება „არმაგედონი“

კაცობრიობას?

– ის უკვე მოევლინა როცა ადამიანთა ერთმა ჯგუფმა ირალი აღმართა და მეორე ჯგუფი დაიპყრო, როცა კაენმა აბელი მოჰკლა, უბრალოდ მკლელობის და ომის ფილო-სოფია დაიხვეწადა დღემდე სრულქმნილი სახით მოვიდა „ომი მშვიდობის შესანარჩუნებლად“. მანამდე კაცობრიობას აპოვალიფსი, ანუ წყლით განწმენდა ელის.

- ბატონო ზესა მეორე შეკითხვას დაგისვამთ.
- პირველი უკვე ამოვწურეთ? იყოს ნება თქვენი.
- მინდა დაგისვათ შეკითხვა თქვენი წიგნიდან „სამყაროს სათავეებთან“.
- თქვენს პირველ და მეორე შეკითხას შორის დიდი მანძილია შვილო, ანი და ჰო ...
- შეძლება, და მინდა გკითხოთ თქვენი კვლევების შესახებ ატლანტებთან დაკავშირებით.
- ატლანტები დედამიწის ცივილიზაციის პირველი თაობაა, მეორე თაობა ჩვენ ვართ და მესამე თაობას ჩვენ შევქმნით.
- საიდან იცით რომ ატლანტები დედამიწის მცხოვრებ-თა პირველი თაობა? ამის დასაბუთება შეგიძლიათ?
- საბედნიეროდ, ჯერჯერობით ვერავინ ახერხებს ატლანტების საიდუმლოების ამოხსნას. იმათ ვისაც ჩვენ ატლანტებს უწოდებთ ისინი ადამიანები იყვნენ და მათ წინა-ლამდეგ ჯერ კიდევ ძველმა ბერძნებმა აღმართეს იარალი. ნამდვილი ატლანტები კი ადამიანები არ იყვნენ. ისინი მეზობელი პლანეტის მკვიდრნი იყვნენ. მათი ყოფნა დადა-მინაზე ჩემი აზრით ადამიანთა ევოლუციის შესწავლით შეიძლება აიხსნას. თუმცა იმასაც დავამატებ რომ ბევრი რამ ადამიანებმა ატლანტებისგან ისწავლეს.
- კი მაგრამ, სად არიან ახლა ატლანტები?
- ნაწილი დედამიწაზე დარჩა, ნაწილმა კი დედამიწა დატოვა. ატლანტიდა კი გაანადგურეს.

- როგორ?
- თუ გსმენიათ ანტი მატერიის შესახებ?
- კი, სამეცნიერო უურნალში წამიკითხავს...
- ანტი მატერიის წყალობით ატლანტემა ააფეთქეს „ატლანტიდა“, პირველი ლაბორატორია დედამიწაზე.
- და რისთვის ჩაიდინეს ეს?
- საჭირო აღარ იყო, მათი ექსპერიმენტი უკვე ჩვენ ,ადამიანები ვიყავით.
- უკაცრავად, თქვენ ამბობთ რომ, ჩვენ ადამიანები ატლანტებისთვის ლაპარატორიული ვირთხები ვიყავით?
- ნუ ცხარობ შვილო...
- კარგით, ვთქვათ ისინი მართლა არსებობდნენ, მათი არსებობის რაიმე დადასტურებელი თუნდაც ერთი ფაქტი, თუნდაც ერთი მოვლენა შეგიძლიათ დამისახელოთ?
- გსმენიათ რაემე მაიას ტომის კალენდარზე? ან თუნდაც ეგვიპტის პირამიდები ავილოთ, ატლანტების დედამიწაზე ყოფნის მრავალი საბუთი არსებობს, მათი მოპოვება შეიძლება ჩინეთში, ინდოეთში, ირანში, საპერძეთში, ჩრდილო და სამხრეთ პოლუსებზე. მოკლედ ყველა იმ ადგილას სადაც დედამიწის ენერგეტიკა საკმაოდ მაღალია.
- გასაგებია, კიდევ ერთი შეკითხვა მსურს დაგისვათ, რაც შეეხება მაიას ტომის კალენდარს, ამაზე მეცნიერები ამბობენ რომ მაიას ტომმა თვითონ შექმნა საკუთარი ობსერვატორიებიდან დაკვირვების შედეგად და...
- შვილო, ხალხს რომლებსაც ობსერვატორიები გააჩნიათ და რომლებსაც შეუძლიათ უზუსტესი მატემატიკური გათვლები ანარმონ, ააგონ გენიალური ნაგებობები, შესძლებდნენ შეექმნათ ისეთი იარაღი რომლითაც კორტესის არმიას გაუმჯობესდებოდა?
- ალბათ, კი.
- ან იქნებ ამიხსნათ როგორ შექმნეს არაპეტმა ალგე-

ბრა?

- იცით, შეიძლება ჩემი შეკითხვა უკვე განვლილ თე-მასთან ასოცირდებოდეს..
- ნუ დელავ შვილო, მე თქვენს ნებისმიერ შეკითხვას უპასუხებ.
- თქვენ ახსენეთ მეზობელი პლანეტა, სად მდებარეობს იგი?
- მზის სისტემაში.
- ალბათ მარსი ან დაუშვათ მთვარე ან რომელიმე სხვა პლანეტა.
- არა, ის იმავე ორბიტაზე ბრუნავს რომელზეც დედამიწა. იმ განსხვავებით რომ, ის პლანეტა დედამიწის ზუსტად საპირისპირო მხარესაა და ისიც მზის გარშემო ბრუნავს.
- და ატლანტები იმ პლანეტიდან არიან?
- დიახ. უბრალოდ ის პლანეტა სხვა სივრცულ განზომილებაშია.
- ერთი წუთით, ჩემთვის ცნობილია რომ დედამიწა და სხვა პლანეტები დიდი კოსმოსური აფეთქების შედეგად წარმოიქმნენ და რომ...
- და რომ აფეთქების შედეგად ჩემო შვილო სხეულები ისეთ გეომეტრიულ ფორმას არ დებულობენ, მე მხედვ-ელობაში მაქვს ოვალი და სფერო. იქნებ ფიქრობთ რომ კომეტებმა და ასტეროიდებმა შეასრულეს ქვისმთლე-ლის ფუნქცია? ან იქნებ ვულკანები წარმოადგენდნენ დედამიწის არქიტექტორებს მხოლოდ? გეტყვი შვილო, მზის სისტემა კოსმოსში შექმნილი თითქმის ხელოვნური მოდელია ან უფრო სწორედ რომ ვთქვათ წარმოებული სისტემური მატრიცა.
- იქნებ ამიხსნათ, რას წარმოადგენს დედამიწა?
- ველოდი ამ შეკითხვას, მხოლოდ თქვენი ნებართვით ცოტა შორიდან დავიწყებ.

- გისმენთ ბატონი.
- რატომ არის მთვარე უსიცოცხლი?
- იქ არ არის ატმოსფერო, წყალი, და სხვა სიცოცხლისთვის აუცილებელი პირობები.
- ცდები, თუ არსებობს მატერია, არსებობს მისი შემქმნელი და შემადგენელი ცოცხალი ორგანიზმები. მეორე, მთვარეზე დაბალი გრავიტაციაა, გრავიტაციის წარმომქმნელი მთვარეზე შეიძლება იყოს მხოლოდ სითბური ენერგია, ანალოგიურად დედამიწის გრავიტაციას სითბური ენერგია უზრუნველყოფს. მთვარეზე გრავიტაციის შესაქმნელად საჭიროა მთვარის „გულის“ დანთება. რაც შეეხება დედამიწას, ვულკანებმა და ტექტონიკურმა ძვრებმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს დედამიწის ფორმირებაში, რადგან პლანეტა „დანთების“ პერიოდში იყო ნახევრად პლაზმურ მდგომარეობაში. შეიძლება ტერმინი „პლაზმა“ უჩვეულოდ მოგეჩვენოთ, წარმოიდგინეთ სივრცეში წყლის წვეთი, იგი მკაცრად განსაზღვრული გეომეტრიულ ფიგურას წარმოადგენს, ის ან ოვალია ან სფერო, „მატრიციდან“ დედამიწის განცალკევების შედეგად, მე მხედველობაში მაქვს პერიოდი როდესაც დედამიწა პლაზმურ მდგომარეობაში იყო, კოსმოსში გაცივდა და მიიღო მკაცრი გეომეტრიული ფორმა. ატლანტებმა კი დედამიწა „დაანთეს“. შემდეგ წარმოიშვა ცოცხალი პლანეტა დედამიწა.

– ბატონ ზესა თქვენ ბრძანეთ რომ დედამიწა წარმოიშვა რომელიღაც „პლაზმიდან“. ეს „პლაზმის წვეთი“ სახელად დედამიწა რომელი „სხეულის“ შემადგენელი ნაწილი იყო?

– მზის სისტემა ერთიან სხეულს წარმოადგენდა. ამ სხეულის გული დღევანდელი მზე იყო. გარეშე ძალის ზემოქმედებით მოხდა ამ სხეულის „დაშლა“ და ამ „დაშლის“ შედეგად წარმოიშვა დღევანდელი მზის სისტემა. მზე

როგორ ასეთი წარმოადგენს ერთგვარ თერმობირთვულ რეაქტორს...

– ესე იგი, თქვენ ამტკიცებთ რომ დღემდე არსებული სამეცნიერო დასკვნები დედამინის წარმოშვებასთან დაკავშირებით აბსურდია?

– არა, დასკვნები არ არსებობს, არსებობს ჰიპოტეზები.

– ბატონო ზესა, ისევ ეგვიპტის პირამიდებთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ.

– შეკითხვების წყობას გინუნებ შვილო, დასვით შეკითხვა.

– თქვენ ბრძანეთ რომ ეგვიპტური პირამიდები ატლანტების ნახელავია ...

– წორედ ვერ გამიგეთ შვილო, ატლანტებმა ეგვიპტელებს და სხვა ხალხებს ასწავლეს არქიტექტურა, მშენებლობა და ბევრი სხვა რამ. რაც შეეხება „ქვებს“ რითაც პირამიდების უმეტესობა აიგო ეს ქვიშის, დამსხვრეული ქვის, წყლის და ჩვენთვის უცნობი დანამატის ნაერთია. რაც შეეხება იმ ფაქტს რომ ბლოკებს თითქმის იდეალური ზედაპირი აქვთ რომ დანის წვერიც კი ვერ შედის ბლოკებს შორის, იმიტომ რომ მათი ჩამოსხმა ხდებოდა შენების პროცესში, ბლოკს ბლოკზე ასხამდნენ ყალიბების მეშვეობით.

– და ფორმა? რატომ პირამიდა?

– პირამიდა სასიცოცხლო პოტენციალის შენარჩუნების კუცმიური ფორმაა. პირამიდის შიგნით ენერგეტიკა ერთგვარ ოაზის წარმოადგენს ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმისთვის.

– ეხლა მინდა საქართველოსთან დაკავშირებით დაგისვათ შეკითხვა. როგორი ფენომენია საქართველო?

– ეს ყველაზე რთული შეკითხვაა და ამავე დროს საშიში.

– რატომ?

– ისტორია გავყოთ აიეტამდე და აიეტის შემდგომ პერიოდებად. ალბათ მოგეხსენებათ მითი ოქროს საწმის სის შესახებ. ოქროს საწმისი ეს არ იყო ცხვრის ტყავი. ეს კოლხეთში დაცულ ინტელექტუალურ საგანძურს წარმოადგენდა, კერძოდ თანამედროვე ენაზე მას ნოუ-ჰაუ ეწოდება. იმ შრომებში დაცული იყო ლითონის მოპოვების და წარმოების ექნოლოგიები, საბუნებისმეტყველო და ასტრონომული გამოკვლევები, სამედიცინო და სხვა ნაშრომები. პრაქტიკულად ყველაფერი რაც საშუალებას მისცემდა კაცობრიობას განვითარების ახალ ეტაპზე გადასულიყო. მედეა აიეტის ასული, ქურუმი იყო. ისევე როგორც მამამისი. მაშინ არსებობდა ორი რელიგიური მიმდევრობა რომელთა უზენაეს ღვთაებას ერთ შემთხვევაში მზე წარმოადგენდა მეორე შემთხვევაში მთვარე.

– მზის ტაძრის ქურუმი ქალი უნდა ყოფილიყო მთვარის ტაძრის კი მამაკაცი. უზენაესი ქურუმები აუცილებლად სამეფო ოჯახიდან უნდა ყოფილიყვნენ, რადგან რელიგიურ ნიადაგზე არ დაეშვათ შიდა სახელმწიფოებრივი კომფლიქტი. მედეა მზის ტაძრის უზენაესი ქურუმის ტიტულს ატარებდა. ტაძარში ასწავლიდნენ მედიცინას, მაგიას, ვნებათა ფლობას, ოკულტიზმს, მათ შესანიშნავად იცოდნენ ფლორის საიდუმლოებები. მზის ტაძრის ქურუმებს ეკრძალებოდათ ხორცის ჭამა გარდა თევზისა, ისინი პრაქტიკულად ვეგეტარიანელები იყვნენ. მუდმივი მარხვით და ასკეტიზმით პრაქტიკულად შეუვალნი ხდებოდნენ. მზის ქურუმებს შესანიშნავად ესმიდათ რას ნიშნავდა დედოფალი ქურუმი, ამიტომ ისინი მეფის ოჯახის წევრებს ასწავლიდნენ ვნებათა ფლობას რათა გათხოვების შემდგომ გავლენა მოეპოვებინა მეუღლეზე. მათ უნდა შესძლებოდათ თუნაც სექსის დროს გონება საღად მოაზროვნე შეენარჩუნებინათ. მზის ტაძრის კო-

დექსი შეუბლალავი იყო. ვინც ტაძარს ტოვებდა წინა ღამით განსაკუთრებული ნარკოტიკით აბრუებდნენ შემდგომ პიპნოზის მეშვეობით უნერგავდნენ მის მისიას საერო ცხოვრებაში. ეს მისია ძირითადად ტაძრის საიდუმლოებების დაცვას ემსახურებოდა. მედეაც ამ ტაძრის აღზრდილი იყო და ტაძრის რელიგიური დოგმა ცხოველმყოფელი იყო. ერთ-ერთ ასეთი დოგმათაგან იყო მოძღვრება „მუცლითმკრებელი“-ს შესახებ. მისი მთავარი შინაარსი იმაში მდგომარეობდა რომ დედას უნდა შესძლებოდა შვილებისთვის დედის სამშობლო, დედულეთი შეეყვარებინა, ან თუ ქმარი გახდებოდა მისი სამშობლოს მტერი, დედა-მეუღლეს უფლება ფქონდა მოეკლა საკუთარი შვილი, რათა დედის კეთილშობილი გენი სხვისი სამეფოს დიდებას არ მოხმარებოდა. მე ფრიად ზოგადად გიამბეთ ამ ადათის შესახებ და სხვა დოგმების შესახებ უფრო დაწვრილებით ჩემს ახალ წიგნში უფრო დეტალურად გაეცნობით. რაც შეეხება აიეტს იგი ამავე დროს მთვარის ტაძრის ქურუმი იყო. მთვარის ტაძარი ეს მამაკაცთა სალოცავს წარმოადგენდა. „მზე“ ცხელ გულს, ხოლო „მთვარე“ ცივ გონებას განასახიერებდა. ამიტომ მამრთა ტაძარი „ცივი გონებით“ მოაზროვნეთა საკრებულოს წარმოადგენდა. აქ ქურუმთა ძირითად საქმიანობას ქვეყნის მართვა, კანონების და წესების ჩამოყალიბება – დამკვიდრება წარმოადგენდა. აქვე წყდებოდა ქვეყნის საგარეო და საშინაო საქმეები. „მთვარის ტაძარი“ სახელმწიფო მართველობის ერთერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს წარმოადგენდა. აქ ყმანვილებს ასწავლიდნენ საბრძოლო ტაქტიკას, უცხო გარემოში ადგილის დამკვიდრებას, ასწავლიდნენ ხელობას, ლიტერატურას, ქცევის წესებს საზოგადოებაში და სხვა დარგებს. დიდი ყურადღება ეთმობოდა მედიცინის შესწავლას, თუმცა მზის ტაძარშიც დიდ ყურადღებას უთმობდნენ მედი-

ცინის შესწავლას. „მთვარის ტაძარს“ ექვემდებარებოდა სამხედრო საჭურველის მწარმოებელი ყველა მჭედელი და მერმე. მედეას „ღვანლი“, თუ შეიძლება ასე ითქვას, ბერძენთა სასიკეთოთ შეიძლება აიხსნას არა მხოლოდ იაზონისადმი სიყვარულით, არამედ კოლხთა სამეფოს ინტერესების გაფართოვებით, მე მხედველობაში მაქვს პოლიტიკური ინტერესები. მედეას შეეძლო იაზონი თავის გავლენის ქვეშ მოექცია და საბერძნეთის ერთპიროვნული მმართველი გამხდარიყო, მაგრამ ირკვევა რომ მედეას განსაკუთრებული უნარის „ლოკალიზაცია“ მზის ტაძრის სხვა ქურუმის გადაბირებით მოახერხეს ბერძნებმა. აქაც ღალატი, სქართველოს ისტორიის თანმდევი სინდრომი, ხოლო რაც შეეხება იმ საშინელ ბრალდებას რომელიც მედეას წაუყენეს, ეს ფაქტი შეიძლება ასე გავიგოთ რომ, ბერძნებს სურდათ კოლხეთში გავლენის მოსაპოვებლად მედეას შვილების გამოყენება როგორც კოლხეთის მომავალი მეფეების სტატუსით გავლენის მოპოვების მიზნით და მედეამ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა საკუთარ შვილებს. ან კოლხებმა მოინდომეს ბავშვების გამოყენება საბერძნეთსში გავლენის მოპოვების მიზნით. ყოველ შემთხვევაში გაიწირა მედეა, რადგან ის უცხო ქვეყნის შვილი იყო, შესაბამისად მისთვის რაიმე ბრალდების წაყენება და შესაბამისად „მტკიცებულებების“ მოპოვება არ გაუჭირდებოდათ „არგონავტებს“. ეხლა გადავიდეთ უფრო ადრეული, აიეტამდე პერიოდში. მე მხედველობაში მაქვს არ მხოლოდ საქართველო... .

– ბატონო ზესა ის რაც თქვენ ბრძანეთ მედეასთან დაკავშირებით, რაიმე დამადასტურებელი საბუთი გაქვთ?

– მაქვს. ამ საბუთს ბერძნული ლეგენდები, თქმულებები და ეპოსი მაძლევს. თუ როგორ ამაზე საუბარი მორს წაგვიყვანს. ცოტა შეისვენოთ ჩემო ბატონო, უარს ნუ მეტყვით, ჩაიზე მინდა დაგპატიჟოთ.

– სიამოვნებით.

პროფესორი და უურნალისტი სასტუმრო ოთახში გავიდნენ, დიასახლის დიდი რუდუნებით გაეწყო სუფრა, ჩაი მიართვა და მესამე კაცად მიუჯდა სუფრას.

სიჩუმე ზესამ დაარღვია.

– ყმანვილო, მოგწონთ ჩაი? იგი ჩემი რეცეპტითაა დამზადებული.

– დიახ, ეს ნამდვილი ჩაი არ უნდა იყოს.

– გეთანხმებით, ეს დეკას, ასკილის და ანწლის ნაზავია. ამ ნაყენის საშუალებით ორგანიზმი თავისუფლდება იმ სიბინძურისგან რაც საკვების მიღების შედეგად რჩება ორგანიზმში. ეს საოცარი სითხე წმენდს ორგანიზმს და თუ სადმე ანთებითი პროცესი მიმდინარეობს ებრძვის მას.

– ამის უკვდავების წყალი ყოფილა.

– ხო, უკვდავების ერთ-ერთ წყალთაგანია.

– ბატონო ზესა, როგორ გგონიათ, ბერძნებმა თავიანთი პრომეთე მაინც და მაინც კავკასიონზე რატომ მიაჯაჭვეს?

– საოცარი კითხვაა, ბერძნებმა პრომეთე და ქართველებმა ამირანი, ისინი ერთ და იგივე „პიროვნებაა“, თუმცა რომელია უფრო ადრეული მეისტორიე ამის შესახებ არაფერს ამბობობს. ხოლოდ იმას დავსძენ რომ, პრომეთე, იგივე ამირანი ეს უზენაესი მიწიერი გონია, დიადი შემეცნება და კაცობრიობის მსჯავრი. ლეგენდის მიხედვით ამირანი-პრომეთე კავკასიონზე მიაჯაჭვეს ხოლო არწივი კორტინის მას რათა ძალა დაკარგოს და ვერ შესძლოს აწყვეტა. იგი ყველა მჭედელს ემუქრება შურისძიებით. რატომ მიაჯაჭვეს ამირანი – პრომეთე ლმერთებმა მაინც და მაინც კავკასიონზე? თან აქ ლაპარაკია სამხრეთ კავკასიაზე. ჩვენ ვუწყით რომ მეორედ მოსვლისას უზენაესი ქართულ ენაზე გაასამართლებს ადამიანებს. ხედავთ

რამდენი დამთხვევაა? ამირანი და პრომეთე ეს ქართული ფენომენია. საქართველო კავკასიონზეა მიჯაჭვული, „მჭედლები“ გარეშე ძალაა, გარეშე იდეოლოგია, გარეშე ცივილიზაცია რმელიც ერს განვითარების საშვალებას არ აძლევს. ღვთის შვილია ამირანიც და პრომეთეც და ის უკვდავია. „არწივი“ ის ძალაა და ის მტერი რომელიც საქართველოს ჰკორტნის და ძალის მოკრების საშუალებას არ აძლევს. ის მალე განთავისუფლდება უფლის ბრძანებით. შვილთა სიმრავლე, აი ხსნა ერის, ერთიანი იდეოლოგია, მრწამსი და ზნეობა ეს არის უკვდავება. მეორედ მოსვლა საქართველოდან დაიწყება 3300 წელს. ქართული ამბანი 33 ასოსგან შედგება, იესო ქრისტე 33 წლის ასკში ეცვა ჯვარს, ქართული ანბანი იწყება „ანით“ და 33-ე ასო არის „ჰოე“. დღე მეორეთ მოსვლის არის ჯვარცმის დღე. „ჰოე“ მესამე თაობის „ანია“ შვილო.

- ისე დამაჯერებლად საუბრობთ ბატონო ზესა რომ არს კი ვიცი შემდეგი შეკითხვა რა დაგისვათ.
- შეკითხვა საჭირო არ არის. გეთუვით, ქართული ნუსხა-ხუცური ეს გალაქტიკის რუქაა, „მხედრული“ მიწი-ერი გენეტიკური კოდი.
- ბატონო ზესა, ზემოთ განხილულ თემებთან დაკაშირებით მინდა გყითხოთ...
- შვილო ნუ გეწყინება, თუ შეიძლება ხვალისთვის გადავდოთ საუბარი?
- დიახ, რა საკვირველია.
- მაშ ასე, ხვალ ორი საათისთვის გელით. შევთანხმდით?
- ხვალამდე ბატონო პროფესორო
დღე მეორე
- ბატონო პროფესორო მინდა უფრო თანმიმდევრული ვიყო. გუშინ დრო არ გვეყო აიეტამდე პერიოდთან დაკავშირებით გვესაუბრა.

– მეფე აიეტამდე მეფობდა სოლომონ კოლხი, იგი საკმაოდ გამჭრიახი და მოქნილი პოლიტიკოსი იყო. მას მემკვიდრეობით სახელმწიფო მართვის უსერიოზულესი ბერკეტი „კერიის დასი“ ერგო. ეს ინსტიტუტი ერთგვარ დაზვერვის და კონტრდაზვერვის სამსახურს წარმოადგენდა. მათ დაქვემდებარებაში იყო განვრთნილ მეომართა ლეგიონები. ამ ლეგიონის თვითონეული წევრი იარაღის ხმარების უებრო ოსტატი გახლდათ. მეომართა ამ ლეგიონს „ფასკუნჯთა ლეგიონი“ ერქვა. აქ ძირითადად უპატრონო ბავშვები აჰყავდათ. მათ ასწავლიდნენ უცხო ენებს, საზოგადოებაში მოქცევის წესებს, მანდილოსნებთან არშიყს. ინტენსიურად ცდილობდნენ ყოველ „ფასკუნჯელში“ არტისტიზმის ნიჭის აღმოჩენას და განვითარებას. რაც ყველაზე მთავარია ასწავლიდნენ ალქიმიას და მედიცინას, რადგან ალქიმიკოსი და ექიმი საზოგადოებაში ალტერნატივის გარეშე იყო. „მკურნალი არ შეიძლება ბოროტი იყოს“ – შესანიშნავი ლოგიკა არა? გოგონებსაც აერთიანებდა „ფასკუნჯელთა ლეგიონი“. მათ როგორც – დიდგვაროვან ასულებს ისე ამზადებდნენ. ასწავლიდნენ პარფიუმერიის ხელოვნებას, იმისთვის რომ გოგონები და ვაჟები სირცხვილის ქიმერისგან განთავისუფლებულიყვნენ მათ ერთი აბანო ჰქონდათ. ისინი ერთად ბანაობდნენ. მათ შორის არ არსებობდა გრძნობა „სიყვარული“, რადგან ნებისმიერ გოგონას უფლება ჰქონდა ინტიმური ურთიერტობა ჰქონოდა ნებისმიერ ვაჟთან და პირიქით. ეს მეთოდი ახალგაზრდებში „სიყვარულის ფენომენს“ თრგუნავდა და ვნება მხოლოდ მოთხოვნილების საგანს წარმოადგენდა. ყველა ფასკუნჯელი მარტოსული იყო, მათ ასწავლიდნენ დამოუკიდებლობას, მარტოობას და მეწყვილესთან ერთად მუშაობას. გოგონები უებრო მკვლელები, მზვერავები და ამავე დროს საზოგადოების ჩინებული წევრები იყვნენ. ხშირად დიდგვაროვანთა

მეულლები და უფრო ხშირად მათი ქვრივები იყვნენ. „ფასკუნჯელები“ მხოლოდ მეფეს ემორჩილებოდნენ და ლიდერი მათივე წრიდან არჩეული პირი იყო რომელიც მეფის კარზე მრჩევლის ან ექიმის თანამდებობა ეკავა. რაც შეეხება „კერის დასს“ ეს განსაკუთრებული ინსტიტუტი იყო და მისი წევრობა არათუ საზოგადოებას არამედ ოჯახის წევრებსაც არ უნდა სცოდნოდათ. დასი წევრები იყვნენ დიდგვაროვნები, გლეხები და ხელოსნები. დასმი ყველა თანასწორუფლებიანი იყო. დასის ლიდერის „მთვარის ტაძრის“ ქურუმი წარმოადგენდა, ყველაზე ჭკვიანი და გამოცდილი ადამიანი.

– ბატონო პროფესორო არსებობდა თუ არა კავშირები ქართულ ტომებს შორის და რა სახის კავშირებს ეყრდნობოდნენ მაშინდელი მეფეები და მთავრები?

– მაშინდელი საქართველო ქართული ტომების ერთობას წარმოადგენდა, თუმცა ომებიც არცთუ იშვიათად ჰქონდათ, მათ ურთიერთობას ენობრივი ბარიერის არ არსებობა წარმოადგენდა. გარკვეულ ერთობას ნამდვილად აღწევდნენ ქართველი ტომები. მეფე სოლომონის მამა, მეფე სამსონი ყოველნაირად ცდილობდა თავისი პოლიტიკა წათესაურ-ტომობრივ კავშირებზე აეგო. აღებ-მიცემობა იმ დროინდელ კოლხეთში საკმაოდ აქტიურად ვითარდებოდა და რაც მთავარია მეფე სამსონი ყველა პირობას უქმნიდა ხელოსნებს რომ კოლხეთში დამკვიდრებულიყვნენ, კერძოდ, ხელოსნის გადასახადი ბევრად ნაკლები იყო ვიდრე ვაჭრის, და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, მეფე სამსონი ქურდებს და ყაჩალებს არ აპატიმრებდა, მათ ადგილზე კლავდნენ. ზემოთ თქმული-დან გამომდინარე მეფე სამსონმა მაშინდელ მსოფლიოში უპრეცედენტო საინვესტიციო გარემო შექმნა კოლხეთში. სამსონის ეპოქაში შეოქმნა დიოსკურიას ობსერვატორია, სააქიმო სკოლა. ფართო გასაქანი მიეცა ხელოსნობას,

მაშინდელ მსოფლიოში კოლხეთი ერთერთ მაღალი კულტურის დიპლომატიურ სახელმწიფოს წარმოადგენდა.

– ბატონი ზესა, თქვენ გისმენთ და სიამაყით ვივსები, ვინ მეფობდა მეფე სამსონამდე?

– ეს იყო „რკინის კაცი“ მეფეთ-მეფე ფარნავაზი. მან დაარსა, განავითარა და სახელმწიფო დონის ინსტიტუტ-ად აქცია „კერის დასი“. ან შემოიღო კანონი რელიგიური შემწყნარებლობის შესახებ. ასევე კოლხეთში სამეცნიერო – საგანმანათლებლო დონის ამაღლების მიზნით მაშინდელი ფილოსოფოსებს, მეცნიერებს, ხელოვნების მოღვაწეთა მოზიდვისთვის შექმნა „მწიგნობართა კრებული“, რომელიც მაშინდელ მეცნიერებათა აკადემიას წრმოადგენდა. ფარნავაზი განსაკუთრებით უცხო ენათა მცოდნებს სწყალობდა. მათ საუკეთესო ნაწილს ელჩ-დესპანებად, თარჯიმნებად და გზათმცოდნებად ამზადებდნენ. რათა სხვა ერების, ქვეყნების კულტურული მემკვიდრეობა, ცხოვრების წესი და სახელმწიფო მოწყობის სისტემა შეესწავლათ, აქედან საუკეთესო კოლხეთში დაენერგათ და განევითარებინათ. ასევე კოლხეთში მცხოვრები უცხო ტომის და მოდგმის ხალხის ზნე ჩვეულებების შესხებ იმფორმაციის მოგროვება და მეფისთვის მოხსენება. ამ იმფორმაციებზე დაყრდნობით მეფეს და სახელმწიფო მმართველობის მაღალ ეშელონებს შესაძლებლობა პქონოდათ წარმოადგენა შექმნოდათ მაშინდელი მსოფლიოს განვითარების ტენდენციებზე, რაც გავლენას ახდენდა ეკონომიური, პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული გეგმების შემუშავებასა და განხორციელებაზე.

– გამოდის რომ, მაშინდელი საქართველო არაფრით ჩამოუვარდებოდა მსოფლიოში სხვა დიდ სახელმწიფოებს. გრანდიოზულია. მაპატიეთ რომ გაგაწყვეტინეთ.

– ფარნავაზამდე კოლხეთში მეფობდა ლეგენდარული მეფე იროდეონი.

ამ პიროვნებას უდიდესი წვლილი მუძღვის ქართულ ტომთა გაერთიანების საქმეში როდესაც ქართველ გვირგვინოსანთა ერთობა იქმნებოდა. ამ ინსტიტუტს საბოლოო ჯამში ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისთვის უნდა შეეწყო ხელი, ხოლო ამის საწინდარი პირველ პირველ რიგში სამხედრო-სტრატეგიული თანამშრომლობის კონცეფცია წარმოადგენდა. ეს არის ის ყველაფერი რისი თხრობაც მინდოდა.

- და აიეტის შემდგომი პერიოდი?
- აიღთ ისტორიის წიგნი და იქ წაიკითხავთ პასუხს თქვენს შეკითხვაზე.
 - სად არის დაკრძალული თამარ მეფე?
 - შვიდმნათობის ერთერთ ტაძარში. საქართველოში ასეთი ტაძარი შვიდია. რაც შეეხება საფლავს, იგი აკლდამას წარმოადგენს და იქ უნიკალური ბიბლიოთეკა და თამარ მეფის ანდერძი ინახება.
 - რას ნიშნავს ბაზალეთის ტბის ფენომენი?
 - ამ შეკითხვაზე პასუხი ალბათ სამღვდელოებაში უნდა ეძიოთ.
 - თქვენ რას გვეტყვით?
 - ბაზალეთის ტბა ხელოვნური ტბაა. იგი გვირაბს კეტავს. ამ გვირაბს ქვესკნელში მიჰყევხარ.
 - და ეს რას ნიშნავს?
 - გეტყვი მხოლოდ ერთს, სამხრეთ კავკასის ქვეშ სიცარიელის დიდი სივრცეა და იქ არის ის რაზედაც საუბარი დღეს არ შეიძლება. ასევე დაამატებ რომ ქართული მიწა არ შეიძლება მიიტაცო, რადგან ის წმინდაა. იგი უცხო ტომმა არ შეიძლება იყიდოს. შეიძლება იცხოვროს მაგრამ ყიდვა არასოდეს. ასეთივე მიწაა ისრაელი. დედამიწის ამ კუთხეებში თუ ადგილობრივთა ენერგეტიკას უცხო ტომთა ენერგეტიკა გაუტოლდა მაშინ ეს კაცობრიობას ძვირიდ დაუჯდება, ძალიან ძვირი, საქართველო უფლის დედ-

ულეთია, ისრაელის მიწა კი უფლის მიერ აღთქმული მიწა და ღვთის შობის ადგილი. დაიმახსოვრეთ ეს.

ბატონმა ზესა გაჩუმდა, ერთი გამომცდელად შეხედა კორესპონდნტს, ამოიოხრა და განაგრძო.

– მთელი სამხრეთ კავკასია ნავთობზე და გოგირდნყ-ალბადის ბალიშზე ზის, ხოლო კავკასიონის ქვეშ სიცარი-ელე ჰაერის დიდ „საცავს“ წარმოადგენს ... საქართველო დედამიწის ჭიპია ხოლო ისრაელი დედამიწის „დე-ენ-ემი“. მეტის თქმა ჯერ არ შემიძლია. ჯერ ამის დრო არ დამდგარა.

– როდის დადგება ამის დრო?

– ისტორია თავად გაგცემთ ამ შეკითხვაზე პასუხს და პასუხი საზარელი იქნება ,ძალიან საზარელი. იცოდეთ შვიდი ბეჭედი გაბნეულია საქართველოში, ისრაელში და რუსეთში. ბოლო ბეჭედი ეგეოსი ზღვაში წმინდა ადგილას სადაც ჯერ დედაკაც ფეხი არ დაუდგამს.

– ანუ ...

– ხო შვილო „ანუ“.

– ამ თემასთან დაკავშირებით ...

– თემა დასრულდა.სხვაშეკითხვაზე გადავიდეთ.

– გთხოვთ ბატონო პროფესორო მიპასუხოთ ,ქვესკნე-ლი მართლა არსებობს?

– დიახ.

– და რას წარმოადგენს იგი?

– ????????????????????????

– ბატონო ზესა, გთხოვთ.

– ჩვენ არაფერი გვითქვამს დიდ გამყინვარებაზე, ხომ არ ვცდები?

– დიახ, მაგრამ ჩვენ არაფერი გითქვამს ქვესკნელზე.

– „დიდი გამყინვარება“ დედამიწაზე არ ყოფილა. საერ-თოთ არანაერ გამყინვარებას ადგილი არ ჰქონია.

– მაშინ როგორ გადაშენდნენ დინოზავრები ... ?

– ეს უზარმაზარი ასტეროიდის წყალობით მოხდა. ის დღესაც არსებობს აფრიკაში. დიდი წითელი მთა. მისი დაცემის შედეგად დედამიწის ღერძი გადაიხარა და ბრუნვის სიჩქარემ საგრძნოლად იმატა, რასაც ატმოსფეროში მნიშვნელოვანი ცვლილევები და საერთოდ დედამიწაზე კლიმატი შეიცვალა. ამ ასტეროიდმა დედამიწაზე ახალი ვირუსები შემოიტანა და ასევე მოხდა დედამიწის ენერგეტიკის მკვეთრი ცვლილება. ამ ყველაფერმა ერთად ანტიკური ცხოველების განვითარების ხაზი შეცვალა, ხოლო ზოგიერთმა პოპულაციამ არსებობა შეწყვიტა, გადაშენდა. თქვენ სათაფლიაში შეგიძლიათ დინოზავრის ნაკვალევის გარდა სხვა ანტიკური ცხოველების ნაფეხურებსაც ნახავთ, ეს აფრიკიდან „ემიგრირებული“ ცხოველების მიგრაციაა ევროპის, აზიის ან სხვა მიმართულებით, ალბათ. ასტეროიდის წყალობით აფრიკა და სამხრეთ ამერიკა ერთმანეთს დაშორდა და ადგილი ოკეანემ დაიკავა. მოხდა სხვა გრანდიოზული ტექტონიკური ძვრები ...

– ჯანდაბს გამყინვარება, საქართველოს დაუბრუნდეთ.

– კი ბატონი.

– რას წარმოადგენს „ქვესკნელი“?

– მე უაღრესად მნირი იმფორმაცია გამაჩნია. ვიცით რომ იქ ერთგვარი სავანეა, ჩაკეტილი სისტემა, სადაც ნებისმიერი ცოცხალ ორგანიზმს შეუძლია იცხოვროს და განვითარდეს.

– სულ ეს არის?

– დიახ.

– ბატონო ზესა, მე ვიცი, როცა ამ ინტერვიუს წარვადგენ რედაქციაში, რედაქცია არა ადეკვატური იქნება.

– ქვესკნელი თავად გაიხსნება როცა ამის დრო მოვა და იქ მხოლოდ რჩეულნი ჩავლენ.

– ბატონო ზესა, გთხოვთ ნუ მიბრაზდებით ...

– შვილო, ჯორდანო ბრუნო ინკვიზიციამ კოცონზე დაწ-

ვა, მისი უკანასკნელი სიტყვები იყო „ის მაინც ბრუნავს“, ჩემი თქვენთან შეხვედრის უკანასკნელი სიტყვებია „ეს ყველაფერი სიმართლეა“. კარგად ბრძანდებოდეთ ახალ-გაზრდა.

- ბატონო ზესა, მინდა გკითხოთ...
- გასასვლელ კარი თქვენს ზურგს უკანაა ბატონო.

ცორილი შვილს

ბედნიერი ვარ შენით, შენ უკვე უურნალისტი ხარ, მე კი უძლეველ ბომონთან, მიწასთან მებრძოლი გლეხი. შენი ვალია ემსახურო ჭეშმარიტებას, ნუ დაღონდები თუ სიმართლის გზაზე მდგომს უმეცარი არ გაღიარებს, უებრო წარსულის არ მქონე ვერც ღირსეულ მომავალს მოიმკი, ფულის გარდა არის კიდევ სინდისი, მას ვერ შეიძენ. ნუ აეტორლიალები „ძლიერთა ამა სოფლისათა“ კაცებს, რამეთუ მათი ძლიერება სხვათა სისუსტის ან დაჩაგვრის ხარჯზეა გამზიურებული. ნურც მიეყიდები, რადგან ნაყიდს ყავლი გაზდის და სანაგვეზეა შემდეგ მისი „ასპარეზი“. დაიმახსოვრე ზნეობა უნდა იყოს შენი არსის დედაბოძი და ჭეშმარიტება შეუმუსრავი გალავანი, რადგან არ არსებობს იმაზე დიდი საუნჯე კაცთათვის ვიდრე იყოს სიმართლის მსახური. წარმატება შრომით მოდის და იღბალი კი შემთხვევითობა.

დამილოცნიხარ შვილო
მამა

მოცლის ზამს

(საუბარი მოძღვართან)

- გამარჯობათ.
- ლმერთმა გაგიმარჯოს, როგორ ხარ გიორგი?
- რა მიჭირს, ვარ, ისე რა, მოცლის დრო გქონიათ მამა ლაზარე, მლოცველი არ სჩანს ტაძარში.
- სცდები, როგორც შენ სთქვი „მოცლის დროს“ ხატები ალავლენენ ლოცვას.
- ხატოვანი სიტყვა გყვარებიათ მამაო.
- შენ რომ სანთელს ანთებ, ხატს შესთხოვ მფარველობას, დალოცვას, კურთხევას ისინი იწყებენ ლოცვას შენთვის, უფალს ავედრებენ შენს თავს, ყოველი მლოცველისთვის და ადამიანებისთვის ლოცულობენ ხატები, უბრალოდ ჩვენ არ გვესმის მათი ხმა, ამიტომ ჩვენ ცოდვილთ მოგვივლინეს ლოცვები, სახარება რომ იქნება ამით მაინც შევძლოთ წარწყმედისგან თავის დაცვა. შენ როგორ გვონია ხატი რა არის?
- წმინდანთა გამოსახულება და თვითონეულს თავის დატვირთვა აქვს ...
- ხატი კარებია, სიმართლის და სიწმინდის გზის დასაწყისი, შენი ანთებული სანთლები თავის დროზე გზის მანათობლად მოგევლინება და თუ შენი ლოცვა წრფელია არც გზის გაკვლევა გაგიჭირდება ჭეშმარიტებისკენ.
- მამაო ჯერ ნუ გამისტუმრებ მიუსავლეთში.
- მამა ლაზარეს გაელიმა, თავი მძიმედ ჩაქინდრა, ერთ ხანს იფიქრა და ბრძანა:
- მიუსავლეთი არაფერ შუაშია, როცა ლოცულობ მარტო სიტყვებს არ ამბობ გიორგი, თუ შენი გული ლია არ არის და გონება წრფელი გრძნობით ვერ ალიქვამს ლოცვის ნათელს, მერწმუნე ეს სიცარიელის ხატვას ჰგავს, სიცარიელის ხატვა კი უიმედო ხელოვნებაა იცოდე.

- ალბათ ასეა...
- ასეა დამიჯერე. სიმართლე, ჭეშმარიტება და სიყვარული ,ეს არის ყველაფერი რაც ადამიანის ამქვეყნიურიძების საგანია, სამწუხაროდ ცოტა თუ ხვდება ამას.
- რატომ? სამივე ადამიანების მუდმივი ზრუნვის საგანია ...
- შენ თუ იცი ამ სიტყვების მნიშვნელობა?
- ბუნებრივია ვიცი.
- კარგი, მე გეტყვი და თუ შენც ასე ფიქრობ ხომ კარგი. ჭეშმარიტება – მამა ღმერთია, სიყვარული ძე ღმერთი, სიმართლე – შენი გზაა უფლის წინაშე. ამიტომაც უჭირთ ადამიანებს იცხოვრონ სიმართლით, ჭეშმარიტება ცხვირნინ აქვთ და თავს არიდებენ, ერთადერთი სიყვარულია რომელსაც ეტროფიან და მისიც ბინიერების მორევში ჩათრევა სურთ.
- ძალიან მკაცრად სჯით მამაო ...
- მკაცრად? გიორგი დაფიქრდი. ადამიანი ალსარებას აბარებს და სცრულებს, ისტორიას მიყვება არა ისე როგორც სინამდვილეში მოხდა არამედ ისე როგორც თვითონ სურს რომ დაინახოს. გეკითხები რატომ ხდება ეს? ადამიანებმა საკუთარი სიმართლე გამოიგონეს, ამით თითქოს თავიანთ ნამოქმედარის, ჩადენილი საქციელის გამართლება სურთ. მე შეიძლება მომატყუო, მაგრამ ღმერთს ხომ ვერ მოატყუებ? აქაც სცოდავენ ადამიანები, ალსარების სიცრუესთან დაკავშირება დიდი ცოდვაა გიორგი.
- კი მაგრამ მაშინ რისთვის აბარებენ ალსარებას?
- იმისთვის რომ საკუთარი სიმართლე დაიჯერონ და ჭეშმარიტების ტვირთი მოიხსნან მხრებიდან.
- გკითხოთ მინდა, რწმენაში ეჭვი თუ გაგჩენიათ როდისმე?
- მოძღვარი დაფიქრდა. ხატებისკენ გაიხედა, ერთ ხანს

მუდარის თვალებით უცქერდა ხატს, შემდეგ ჩემსკენ მოტრიალდა და მითხრა:

– გიორგი ამ წუთის სოფელში საცთური ძალიან ბევრია, იცოდე ადამიანის სულის აბჯარი ქრისტიანობაა, ფარი ლოცვა და ხმალი რწმენაში სიმტკიცე, შენი დროშა დედის მანდილია, ციხე სიმაგრე კი ტაძარი, ღმერთი შენი ერთგული მოკავშირეა და წმინდანთა დასი შენი ლაშქარი. როგორ გვინაია, თუ ამხელა მადლით აღიჭურვები ეჭვისთვის ადგილი დარჩება?

– ძნელი წარმოსადგენია ეს ყველაფერი, უბრალოდ ამის აღთქმა ძნელი.

– მერწმუნე ასეა.

– მჯერა, მაგრამ ცხოვრება მეტად რთულია და დაუნდობელი.

– იცი ლინკოლნმა რა თქვა „თითქმის ყველა კაცს აქვს უნარი გაუძლოს გაჭირვებას, მაგრამ თუ გინდა კაცის ნამდვილი ხასიათი გაიგო ძალაუფლება უნდა მისცე“, ძალაუფლებას მჟავის თვისება აქვს, ოქროს აპრიალებს და ბრწყინვალებას ანიჭებს ხოლო რკინას უანგავს და ალპობს. ადამიანიც ასეა.

– კარგი ნათქვამია, დავიმახსოვრებ. გკითხოთ მინდა, რატომ არის რომ ადამიანები ხშირად ივიწყებენ სიკეთეს და თუ ახსოვთ ბოროტებით გადაუხდიათ სამაგიერო?

– სრულიად ვერ დაგეთანხმები, მაგრამ გეტყვი, უფალმა კეთროვანები განკურნა და მათგან მხოლოდ ერთმა გადაუხადა მადლობა, კაცობრიობის ცოდვები იკისრა უფალმა და ჯვარს აცვეს. კაცს თუ ვალის გადახდა მოსთხოვე, შეიძლება ეწყინოს და დაივიწყოს რომ გაჭირვების ჟამს ხელი გაუმართე. თუ კაცს დაუმსახურებლად დიდი სიკეთე გაუკეთე შეიძლება ვალდებულად ჩაგთვალოს და შენს მიერ მინიჭებულ სიკეთეს როგორც ღირსეული ისე მიიღებს. თუ მტრად გადაგეკიდა მხოლოდ იმიტომ რომ

სამაგიერო სიკეთის გადახდა არ შეუძლია და ამ დეფიციტს ბოლმით ავსებს. თუ კაცი სასესხებლად მოვიდა, აჩუქე მას ფული, იმდენი რამდენიც არ დაგაზარალებს და დაივინყე. ამ გზით არც მოყვარეს დაკარგავ და არც მტერს შეიძენ. იცოდე გაზაფხული მოვა მერცხლის გარეშე მაგრამ მერცხალი არ მოვა გაზაფხულის გარეშე.

- ბევრ საფიქრალს მიტოვებთ მამაო.
- ნუ გეწყინება, ხვალ მოდი მავე დროს და ვისაუბროთ, ახლა მრევლი მოვა და ლოცვად უნდა მოვემზადო.

მოცლის ჭამს 2

(საუბარი მოძღვართან)

- ბატონ გიორგის ჩემი თავმდაბალი სალამი.
- გამარჯობათ მამაო ლაზარე, კაცო გუშინ ისეთი რამე მითხარი მთელი დღე გონება არეული დავდიოდი.
- განსაკუთრებული არაფერი მითქვამს ...
- არაა, ესე არ არის, უპრალოდ პირველად მქონდა ესეთი საუბარი სასულიერო პირთან.
- რაღაც უხასიათოდ მეჩვენები, რა მოგივიდა?
- მამაო ეხლა გაზეთში წავიკითხე, ერთ მამაკაცს თავისი მეგობარი კაცი „ცოლად“ მოუყვანია და ამ ფაქტს თავისუფლების შარავანდებით უპირებენ შემოსვას.
- გიორგი, თავისუფლება რა არის იცი?
- იყო თავის უფალი, შენი მოქმედებას, შენი ცხოვრების წესს თავად საზღვრავდე ...
- მოიცა, შენ თქვი თავის უფალი, ესე იგი საკუთარი თავის ღმერთი?
- არა, მე ეს არ მიგულისხმია, არჩევანის, ცხოვრების წესის, ქცევის თავისუფლება მქონდა მხედველობაში...

– სცდები, ტყვე ტყვეობიდან განთავისუფლებაზე ოცნებობს, პატიმარი ციხიდან განთავისუფლებას ნატრობს, გალიაში ჩასმული ცხოველს ლალი ნავარდი ესიზმრება, რამდენი ჩამოვთვალო? ეს ყველაფერი იძულებითი ფენომენია და მისგან თავის დაღწევას განთავისუფლება ჰქვია. თვით ჰაერიც არ არის თავისუფალი, რადგან დედამიწა იზიდავს მას, მაშ რას ნიშნავს თავისუფლება? რისგან განთავისუფლებით გვსურს მოვიპოვოთ სანუკვარი თავისუფლება?

– ბრძენთ უთქვამთ „ადამიანი თავისუფალი იბადებაო“ და ...

– ჩვილი დედაზეა დამოკიდებული და თავისუფალი როგორ იბადება?

– მამაო ესე ბევრ მაგალითს მოვიყვანთ ...

– ადამიანი ადამიანობისგან განთავისუფლების შედეგად მოპოვებულ თავისუფლებაზე ოცნებობს გიორგი. იმას რასაც სურთ რომ შეაგუონ საზოგადოება ადამიანის ზომბირებას გულისხმობს. ის რაზედაც შენ გწყდება გული, ეგ პირველი ნაბიჯებია ადამიანის ცნობიერების გადაგვარებისკენ გადადგმული.

– მამაო ნება მიბოძე არ დაგეთანხმო, ესეთი ერთეული შემთხვევება და ეს არ ნიშნავს რომ საზოგადოება ზომბირებაზე გზაზე დგას.

– კარგი, იყოს ნება შენი, პირველი საწყისი ადამიანი გადაგვარებისა არის საზოგადოების ლიბერალური დამოკიდებულება ყოველგვარ ულვთოზე. მერწმუნე საზოგადოება ადამიანობისგან განთავისუფლების სენითაა დაავადებული ...

– ბოლომდე დაჯერება მიჭირს მამაო, ერთეულთა ნამოქმედარის გამო დანარჩენის დანაშეულება უსამართლობა იქნებოდა მგონი.

– ყოველდღიურობას შეხედე გიორგი, ვიცი რომ კითხ-

ვა გიყვარს, რას წერენ უურნალ-გაზეთებში, რითია გა-ჯერებული მედეა სივრცე, როგორი ადამიანების ცხ-ოვრების წესის მიმართ ახდენენ საზოგადოებრივი აზრის შეწყნარების საგანად. ის გვიტევს გიორგი, აბსულიტუ-რი ბოროტება ძალას იკრებს ჩემო მეგობარო. აქ ჩვენს ტაძარში ახალგაზრდობის მოსვლა გულით მახარებს გი-ორგი, იმიტომ რომ მხოლოდ ეკლესია, მხოლოდ რჯულის კანონია მათი მხსნელი, მიხარია როცა ჩემთან სასაუ-ბროდ მოიწენ, ბედნიერი ვარ როცა ვლოცავ მათ, ბედნ-იერი ვარ როცა უფალს ვავედრებ ჩვენი ტაძრის მრევლს, გიორგი ყოველი სასულიერო პირი ერთგვარი ზვარაკია საკუთარი სამწყსოს სულიერი ბედნიერებისთვის შენირ-ული უფლის სამსხვერპლოზე. ამიტომ გვებრძვიან ჩვენ ასე დუშმორეულნი, ამიტომ ცდილობენ ქრისტიანობის და ეკლესიის განეიტრალებას. ეკლესია უკანასკნელი ზღუდეა ბოროტების დასამარცხებლად. ჩვენი სიძლიერე საზოგადოების რწმენაზეა დამოკიდებული, საზოგადიება ჩვენ ლვთისმსახურთ კი არ გვიცავს, არამედ საკუთარ თავს იცავს ჩვენი მეშვეობით.

- მამა ლაზარე ამ სენსაც მოვერევით...
- ხო მოვერევით ... ალბათ მოვერევით, იცი გიორ-გი ყველაზე ძნელი რა არის? როცა ეუბნები, მიუთითებ მანკიერებაზე და მაინც უკეთურებას სჩადიან, თითქოს ჯიბრზე აკეთებდნენ იმ უგნურებას რისგანაც თავადვე იტანჯებიან. შემდეგ მოდიან შენდობას და დალოცვასა მთხოვენ, ეკლესიიდან გადიან და იგივეს იმეორებენ ...
- თქვენ ხომ ეუბნებით და თუ ის არ ისმენს რა თქვენი ბრალია?
- ესე არ არის, ნებისმიერი მოძღვარი ვალდებულია მრევლზე იზრუნოს, თვითოვეული ადამიანისთვის ილო-ცოს ...
- მოძღვარი გაჩუმდა, შემდეგ მდუმარედ შემომხედა

ნაღვლიანი თვალებით და მითხრა.

– გიორგი წელან თავისუფლებაზე მკითხე და მინდა გი-პასუხო, პიროვნული თავისუფლება ფრდობითი მცნებაა და თუ ის ზნეობის ჩარჩოებს შორდება აღვირახსნილობის აღლუმად მოევლინება საზოგადოებას.

შემდეგ წამოდგა მხარზე ხელი დამადო და მოთხრა:

– ლოცვის საათია, თუ შესძლებ კიდევ მოდი ამ თემაზე და სხვაზეც ვისაუბროთ.

პირველი გადამწერა და ტაძრისკენ წავიდა.

მოცლის ჟამს 3 (საუბარი მოძღვართან)

- დაღლილი სახე გაქვთ მამაო ლაზარე ...
- ხო, ახალი ტაძარი შენდება, თითქოს ყველაფერი წესრიგშია ...
- სად შენდება ტაძარი მამაო?
- ვარკეთილში. შენ რა მოგივიდა? უხასიათობა გაწე-რია სახეზე.
- გუშინ თუ უყურეთ იმ გადაცემას მამაო?
- ვიცი რასაც გულისხმობ, უყურე და ... იცი, დამოუ-კიდებლობა არც არავის მოუპოვებია და ვერც ვერა-ვის შეუნარჩუნებია ოფლისა და სისხლის დაუღვრელად დღემდე.
- მართალს ბრძანებ მამაო, მაგრამ ძნელია როცა ორივე მხარეს შენი მიწის შვილები ასე სამკვდრო-სასი-ცოცხლოდ ებრძვიან ერთმანეთს.
- შაჳ აბასმა ბრძანა „ისე მარდად და ძალუმად არავის მოუქნევს ქართველი ხმალს როგორც თვისტომსო“.
- ეგ ღუპავს საქართველოს.

– ერთხელ ოტია იოსელიანმა პრძანა: გამოუცდელობით, თავგასულობით რომ ჭკუის სწავლა შეიძლებოდეს, რაც ჩვენს ქვეყანას გადახდენია, პრძენი კი არა, სულელი იქნებაო სანთლით საძებარი“.

– სასწაული კაცი ხარ მამა ლაზარე.

– რატომ კაცო?

– ღვთის მსახური კაცი ერისკაცთა გამონათქვამებით მმოძღვრავ.

– შენ კაცი წირვაზე ძალით თუ მოგიყვანს ... ყოველი ნამდვილი ერისკაცი ღვთის ნების გამომხატველია, უბრალოდ ხალხისთვის უფრო გასაგებ ენაზე გადმოსცემს ღვთის სიტყვას, თუმცა მომრავლდნენ ერში კაცუნები, რომლებიც ბრძენთ ასწავლიან და მოძღვრავენ მათთავე სიბრძნით, ძნელია ამას შეეგუო, მაგრამ ბრძენთა დაცინვა უტიფართა ბუნებრივ პრიველეგიას წარმოადგენს სამწეხაროდ.

– კაცნი ვართ, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ახალ ახალი წესები და კანონები გვხვდება, ქცევის, მოქცევის, აზროვნების გამზადებული დოგმები. წინათ რაც სირცხვილად ითვლებოდა და საზოგადოებისთვის მიუღებელი იყო დღეს საჯარო აღლუმით მოემართება და იმკვიდრებს ადგილს საზოგადოებრივ რეალობაში, ყველაფრისადმი ლიბერალური დამოკიდებულება რყვნის თაობას ...

– გიორგი რად გიკვირს ეგ? მაცხოვარმა პრძანა „ოფლითა თქვენითა მოიპოვეთ პური თქვენი არსობისაო“. ჩვენ კი საკუთარი კუჭის გასაძლომი „პურიც“ კი ვერ მოგვყავს საკუთარ მინაზე. სხვას ვემათხოვრებით ან ვყიდულობთ სტომაქის გასავსებს გიორგი. თუ ჩვენ ვერ შევქმნით „პური ჩვენი არსობისა“-ს ჩვენვე მინაზე „ვეფხისტყაოსანს“ დავწერთ კი არა, წამკითხველიც აღარ გვეყოლება იცოდე.

– შველას რაში ხედავ მამაო?

— გიორგი ჩვენი სატკივარი მარტო სხვათა ნამოქმ-ედარით არ განისაზღვრება, ჩვენი სატკივარის წამალი თვითონ ჩვენშია, ჩვენს გულში და გონებაში. მედლეხვა-ლიებით და მცონარობით მოგვდის ის რომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე, სწორ გზაზე არ არსებულ ქვას უნდა წამოვკრათ ფეხი, შემდეგ ამ ქვის ზომასა და ადგილმონაცვლეობაზე ვთხზავთ მონოლოგებს. სიმართლის მთქმელ კაცს გაურ-ბივართ ფარისეველთა და სულნაბილულთა შიშის თუ რიდის გამო. კი, ეს არის რომ შინაგანად თანაუგრძნობთ ერის კაცთ და ეგ არის. სიმართლის მებაირალე თუ წაიქ-ცა ან წაბორძიკდა ხელს არ შევაშველებთ „იქნებ თვითონ წამოდგესო ფეხზე“ ამას ვნატრულობთ. მოღალატები და ფარისეველნი თავანეულნი დააბიჯებენ, ჩვენში რიხით ნათქვამი ტყუილი სჯობს სიმართლეს, ან წათქვამია „რაც მეტია კანონი და წესი, მით მეტია კანონის დამრღვევვი და უწესო ...“

მამა ლაზარე გაჩუმდა, წვერზე ჩამოისვა ხელი. ტაძ-რის ეზოს გახედა, ამოიოხრა.

— გამოსავალს რაში ხედავ მამაო? იქნებ რაიმე სხვა საშუალებებია მოსანახი მამაო ლაზარე?

— გეტყვი გიორგი, უზნეო ადამიანი იმ კაცს მომა-გონებს მშობლები რომ დახოცა და სასამართლოს ობლო-ბის გამო შეწყალებასა სთხოვს. ჩვენ საკუთარ წარსულს აბუჩად ვიგდებთ და თუ ვინმე ჩვენს ისტორიას აბუჩადვე აიგდებს გულისწყვეტით ვსაუბრობთ ამაზე. საქრთვე-ლოს ისტორია ქართული სისხლითაა დაწერილი და ჩვენ ფარისეველთ დაუთმეთ მელნით გადასაწერად გიორგი. ბალიდან და სკოლიდან უნდა დაიწყოს თაობის სწორედ აღზრდა. ბავშვი საკუთარი ერის ისტორიის და მიწა-წყ-ლის სიყვარულით უნდა გაიზარდოს რადგან, წინაღამდეგ შემთხვევაში მათი მომავალი ბრძისთვის დანთებულ სან-თელს დაემსგავსება იცოდე. ეკლესიაა თაობის სულიერი

აღმზრდელი, ქართული მადლი ეკლესიაშია დაცული მხოლოდ. თუ რაიმეში მარცხდება საზოგადოება ან ქვეყანა უხვსიტყვაობით ვცდილობთ გამართლების ძიებას, მაგრამ გვავიწყდება რომ დამარცხება ყოველთვის დამარცხებაა.

– მამაო უიმედობა იგრძნობა თქვენს სიტყვებში, თითქოს უნდა შევეგუოთ ამ რეალობას.

მამა ლაზარეს გაელიმა და ბრძანა.

– ზეცის მპყრობელი, ქათამზე დაბლა დაშვებულა არნივი, მაგრამ ზეცის დამპყრობი ქათამი ჯერ არ დაბადებულა დასაბამიდან. ტაძარში გამომყევი გიორგი შენ შეკითხვაზე პასუხს იქ გაგცემ.

მოცლის ჟამს 4 (საუბარი მოძღვარობა)

- გიორგი, მართალია შენზე რაც მითხრეს?
- რაო, რა გითხრეს მამა ლაზარე?
- ცოლს შორდებაო, ოცი წლის ოჯახს ანგრევსო, ასე მითხრეს.
- მართალია ...
- მიზეზი რა არის?
- ჩემი უმუშევრობა მამაო, ჩემი ორნლიანი უმუშევრობა.
- მეუღლე მუშაობს?
- კი, ახლა ის გახდა ოჯახში შემომტანი და ხმასაც აუნია, ხალხის წინაშე საფულიდან ფულს იღებს და ისე მაძლევს რომ სხვებს დაანახოს თავისი უპირატესობა, სხვა კიდევ ბევრი რამ მამაო...
- გიორგი, შენ ნერვებს აპყოლილხარ და უფსკრულ-

ში იმზირები, იცოდე უფსკრულიც გიყურებს და ლამობს როდის გშთანგთქავს ...

– ვიცი რაც უნდა მითხრა მამაო ...

– იცი? გიორგი ამ ცოდვილ დედამიწაზე ჯერ არ შობილა ქალი რომ თუნდაც ერთხელ „ნეტა ამაზე არ მექორნინაო“ ფიქრად არ გაევლოს კაცს.

– ჩვენი ურთიერთობის მანკიერი მხარე ეხლა გამოჩნდა მამა ლაზარე, თორემ პრობლემები ათი წელია რაც გვაქვს.

– მერე? შენ რა გააკეთე?

– არაფერი.

– გიორგი სიყვარული ბრმაა და მეგობრობას თვალს უხვევს, ხოლო ოჯახი და ქორწინება მეგობრობაზეა დაფუძნებული.

– ეტყობა ყავლი გამივიდა მამაო, ამას წინათ დამცინა „ოჯახს მე ვუნახავ და კიდევ უმაღურიაო“, თუ ქალი ქმარს დასცინის იქ სიყვარულზე საუბარი უადგილოა მამაო ლაზარე.

– სცდები, იქნებ შენ გეჩვენება დაცინვად და შეურაწყოფად? იქნებ ბედნიერების წყურვილმა მწყურვალე დაგტოვა? იქნებ მიზეზი შენშია და სხვაგან ეძებ? დაფიქრებულხარ ამაზე?

– დავფიქრებულვარ მამაო, ეტყობა სიყვარულიც და მეგობრობაც ისეთივე პროდუქტია როგორც სხვა დანარჩენი, ალბათ მასაც გააჩნია ვარგისიანობის ვადა.

– სამწუხაროა რომ ასე სჯი. შენ საკუთარი შიშის გეშინია გიორგი. ადამიანები სხვადასხვა გვარად სწყვეტენ პრობლემებს, ხოლო მათ შორის ჭკვიანები თავიდან იცილებენ მათ. ქალებს განსაკუთრებული უნარი აქვთ, ისინი ყველაფერს ამჩნევენ გარდა იმისა რაც ცხვირწინ აქვთ, და ...

– ხვალ სასამართლოში მივდივარ მამაო, ყველაფერი

რაც შემიქმნია ჩემს შვილებს ვუტოვებ, ჩემს სახლს მათ სახელზე ვაფორმებ და მე ჩემს ძმასთან გადავდივარ საცხოვრებლად ...

— გიორგი ოჯახი რომ სალხინებელი იყოს ადამიანები არც ჯვარ დაიწერდნენ და არც ერთმანეთს შეფიცავდნენ ერთგულებას. ნუ წახვალ სასამართლოში. გული გატკინეს? განა ის რა გულია ერთხელ მაინც სიყვარულს თუ არ უტკენია მისთვის?

— ერთხელ, როცა პირველ ბავშვზე ფეხმძიმე, ჩემი მეუღლე სამშობიაროში წავიყვანე, ვიგრძენი რომ ჩემთვის უბედნიერესი ხანა იწყებოდა, რომ ვიღაცისთვის აუცილებელი ვიყავი ამ ცხოვრებაში, ბავშვი რომ დაიბადა ყველა მილოცავდა, არ მახსოვს რას მეუბნებოდნენ, ალბათ ბევრ კარგს გვისურვებოდნენ მე, ჩემს მეუღლეს და ჩემს ახლად შეძენილ შვილს, ეს ის წუთები იყო როცა სიტყვები არაფერს ამბობდნენ, მხოლოდ გრძნობები უგზოუკვლოდ ენარცხებოდნენ გულის კედლებს, მე ჩემი ბედნიერების შემყურე თავს ვერ ვერეოდი რომ არ მეყვირა, ასე იყო მეორე ბავშვზეც ... მერე ... მე ჩემი დაპირებები ჩემს მეოცნებე მეუღლეს რეალობად უქციე ... ახლა ყველაფერი დაირღვა. ალბათ ბევრს ვლაპარაკობ მამაო არა?

- შენი მეუღლე სად არის გიორგი?
- აგერ, იქ დგას ახლა შემოვიდა ტაძრის ეზოში.
- შეიძლება მივიდე?
- ხო მამაო, შეიძლება.

მამა ლაზარე წამოდგა, მხარზე ხელი დამადო, ერთი შემომხედა და ჩემი მეუღლისკენ გაემართა. ერთად დაბრუნდნენ, ჩემს გვერდით, სკამზე ჩამოჯდა ნანა. მდუმარემ შემომხედა, თითქოს მსაყვედურობდა.

— მომისმინეთ ნანა და გიორგი, ბედნიერების არ დანახვის სურვილი სიბრმავეზე უარესია, მე არ ვიცი რითი

დაიწყო თქვენი უთანხმოება, მაგრამ გეტყვით, ვინც სიყვარულის განადგურებას უწყობს ხელს, ღვთის წინაშე დიდ ცოდვაში დგამს ფეხს. ასეთი ადამიანის ცხოვრება უშინაარსო და უგუნურობის მორევს ემსგავსება და ის არა თუ ცხოვრობს, არამედ ნელნელა კვდება მოყვასის წინაშე. თუ ვერ გამთლიანდი ვითარცა ერთსულ და ერთხორც, ძნელია სიყვარულით ესაუბრო მეუღლეს, არა იმიტომ რომ მოქარგულ სიტყვებს დაუწყებ ძებნას, არამედ ნათქვამი გაზეთის სტატიებს უფრო დაემსგავსება ვიდრე გულიდან ამოფრქვეულ ჭეშმარიტებას. უარყავით სიბნელე თქვენს სულში. ვინც გიყვარს მისი ხედრიც უნდა გაიზიაროთ.

მამა ლაზარე წამოდგა. ხელი ჩაგვკიდა ორთავეს და დაგვლოცა:

– გლოცავთ ნანა და გიორგი ღვთის წინაშე, ვითარცა ერთ სულ და ერთ ხორც, რამეთუ ქორწინება თქვენი, შვილი თქვენი და ოჯახი თქვენი იკურთხა უფლის წინაშე უფლისავე ნებით და ...

მამა ლაზარე ლოცვას განაგრძობდა. ნანამ კრძალვით შემომხედა, თავშალი მხრებზე ჩამუცურდა, წყლიანი, მუდარით აღსავსე თვალებით მიმზერდა, თითის წვერებზე აიწია და ყურში ჩამჩურჩულა „შენ რომ გიყვარს ისეთი კატლეტები შეგიწვი, დედაშენი რომ აკეთებს ისე“.

– აქ რატომ მოხვედი ნანა? – ჩურჩულითვე ვკითხე მეუღლეს.

– როცა გიჭირს ყოველთვის აქ მოდიხარ, მეც გამიჭირდა და მოვედი.

მამა ლაზარემ პირჯვარი გადაგვწერა. გაიღიმა
– მამა ლაზარე, ჩვენ წავალთ თქვენი ნებართვით.
– რა საკვირველია. ვარდი გფენიათ გზაზე, უფალმა გაკურთხოთ.

ჩემს მეუღლეს ანგარიშმიუცემლად ხელი გადავხვიე.

ნანამ შემომხედა და სლუკუნით მითხრა

– საზიზლარო, იცოდე მესამეს გოგოს გაგიჩენ, აი ნახე
თუ არა.

მე ქუჩაში ვეხვეოდი ჩემს ცოლს და არ მრცხვენოდა,
არა მრცხვენოდა საკუთარი თავის და არავისი.

მოცლის ჟამს 5 (საუბარი მოძღვართან)

– კრიზისიო ამბობ, იცი რას ნიშნავს ეს სიტყვა? კრიზისი ბერძნულად „სასჯელს“ და „სამართალსა“ ნიშნავს, „.... ამასთვის არა აღსდგნენ ულმერთონი სასჯელსა...“ ან „.... წყალობასა და სამართალსა გიქებდე შენ უფალო...“ ეს სიტყვები ფსალმუნებიდან არის, „.... უამმან დაწყებად სასჯელისა პირველად სახლისაგან ღმრთისა იწყოს...“ ამბობს პერტრე მოციქული. თუ კი სასჯელს და სამართალს კრიზისით შევცვლით ნახე რა გამოდის „კრიზისის დაწყების უამი უფლის სახლიდან დაიწყებაო“. ეს იმ დროს მოასწავებს როცა კაცობრიობა უარყოფს უფალს და მის სამსჯავროს და კაცობრიობა ცოდვათა მორევში ჩაიძირება. უფლის სახლის უგულებელყოფით, ღმრთის კანონებისგან განდგომა და ცოდვათა მოუნანიებლობა დაღუპავს ადამის მოდგმას. დღევანდელი მსოფლიოს მმართველთა გადაუჭრელ პრობლემას დღეს ხალხის უფლისადმი რწმენა და ღვთისმოშიშობა წარმოადგენს. ამიტომ ებრძვიან ეკლესიას, ამიტომ არ ეპუებიდან და მკრეხელობენ, რადგან იციან ადამიანს თუ რწმენა

წართვი მისი ცნობიერების მართვა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს.

– ნამეტანი კატეგორიული ხარ მამაო ლაზარე, თუ ვინმეს არ სწამს ღმერთი და ათეისტია ეს მხოლოდ მისი პრობლემაა და არ ღირდეს იქნებ საზოგადოების ასე მკაფრად განსჯა.

– მსოფლიო კრიზისი რწმენის დეფიციტითაა გამოწვეული გიორგი. ადამიანი შემომქმედია თავისი ბუნებით და თუ შემოქმედით უნარს წართმევდა განვითარების საშუალებას არ მისცემ და ბოროტების ქვეშემრდომად აქცევ მაშინ დადგება „ამასთვის არა აღდგნენ უღმერთონი სასჯელას...“ გაიგე?

– ვერა მამაო.

– უფლის სასჯელი და სამსჯავრო ეს უფლის ნებას უკავშირდება, ხოლო კრიზისი ახალი თემაა და მაცდურის სალხინებელს წარმოადგენს. „სასჯელი“ – დანაშაულის გამო მიეზღვება კაცთა მოდგმას, ხოლო „კრიზისი“ კაცთა მოდგმის უღვთობისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია, რათა „ბრძოლა არსებობისათვის“ გადაიქცეს ადამიანთა ერთადერთ საზრუნავად.

– გასაგებია მამაო ლაზარე, მაგრამ მსოფლიო კრიზისი მე მგონი თქვენს ნათქვამს მაინცდა მაინც არ შეესაბამება და რომ ...

– გიორგი, ჯერ არ ყოფილა რომ მსოფლიო კრიზისების დროს, ეს იქნება პოლიტიკური, ეკონომიკური თუ ფინანსური, მსხვილი ფინანსური ინსტიტუტები დაზარალებულიყვნენ. დღის წესრიგშია მხოლოდ „ბატონის“, „ვასალის“ და „მონის“ ფენომენი. ეს სამი იდეოლოგიური და თავისი არსით ადამიანური უღვთობით შეემნილი საზოგადოებრივი სუბსტანციის განსაზღვრას და მის განვითარებას ემსახურება გიორგი. კრიზისი სახელმწიფო მაღალ ეშელონებსაც აძლევს ხელს, რათა საკუთარი მოვალეობები და

დანაპირებები უგულებელყონ, რათა საკუთარი მოსახლეობას უფრო კაბალური პირობები წაუყენონ. ყოველი კრიზისი მართვადია გიორგი, ყოველი კრიზისის დაწყებას და დამთავრებას პოლიტიკური, იდეოლოგიური და ფინანსური სარჩული უდევს უპირატესად ...

– დავქცეულვართ და ეგ არი

– ... ნახე, რას ამბობს ფსალმუნი „... წყალობასა და სიმართლეს გიქებ შენ უფალო...“, შევცვალოთ სამართალი კრიზისით, რას მივიღებთ? „წყალობასა და კრიზის გიქებ შენ უფალო...“, რა გამოვიდა? ლვთის გმობა. როცა ადამიანი სცოდავს ის ცოდვისთვის ისჯება, ან ინანიებს და მხოლოდ ამ შემთხვევაში მიუტევებს უფალი, აქ ყველაფერი გასაგებია. არის უზენაესი მსაჯული, უფალის სამართალი. „კრიზისის“ შემთხვევაში არ არსებობს მსაჯული, არის მხოლოდ მაცდურის ნება, საზოგადოებრივი აზრის ახლებურად ფორმირება, მსოფლიო იდეოლოგიის და ფასულობების გადაფასება და ახლებურად წარმოჩენა. გიფიქრია, ვის სჭირდება ეს „კრიზისები?“ იმათ ვინც ფულს მართავს, რადგან ეს ფენომენი მართავს „ადამიანთა კეთილდღეობას“, უფალი და მისი სამსჯავრო კი ავინწყდებათ, ასეა ჩემო კეთილო ადამიანო, სამწუხარო სიმართლე.

– დამაფიქრებელია მამაო თქვენი სიტყვები, ფრიად დამაფიქრებელი ...

– გიორგი, როგორ ფიქრობ რად ცდილობენ რელიგიური დღესასწაულების წარმოდგენებად გადაქცევას? ,ან იქნებ მითხრა რად ცდილობენ რომ ადამიანებს ნაკლები თავისუფალი დრო ჰქონდეთ საკუთარი თვითგამორკვევისთვის?

– არ მიფიქრია ამ თემაზე მამაო.

– ხვალ შევხვდეთ ერთმანეთს გიორგი, დილის მსახურების შემდეგ დარჩი და ვისაუბროთ, მე მიყვარს შენ-

თან მასლაათი მეგობარო ...

- შევთანხმდით მამაო.
 - მწუხრის ლოცვის დრო დადგა, შენ აუცილებლად უნდა დაესწრო ლოცვას გიორგი ...
 - დიახ მამაო.
- მამა ლაზარე მძიმედ წამოდგა, მხარზე ხელი დამადო ერთი შემომხედა და ტაძრისკენ დაიძრა.

მოცლის ზამს 6 (საუბარი მოძღვარობა)

- მობრძანდი გიორგი, კეთილი იყოს შენი ფეხი ჩენს კელიაში.
- გამარჯობა მამა ლაზარე ... მამაო რატომლაც მეგონა, რომ ყველა მოძლვარს კელისს კედლებზე მხოლოდ წმინდანთა ხატები ექნებოდა გამოფენილი, აქ კი მწერლები პოეტები ...
- გიორგი ამ ხალხის ამაგით და ძალისხმებით, მათი ნიჭიერების და შემოქმედების წყალობით აღზევდა ეროვნული ღირებულებები და ერისკაცობის ხელთუქმნელ ფასეულობებს მიეცა დასაბამი ...
- სახელოვან ადამიანთა მთელი დასია ...
- მათი უპირველესი დამსახურებაა, რომ ადამიანებს ზნეობრივი თავისუფლების საზღვრების დადგენის და ეროვნული ფასეულობების განვითარების საშუალება მისცეს. გიორგი ამ ხალხის გული სიყვარულით იყო სავსე, წმინდა მამები და ერისკაცები მარტო ცუდისა და კარგის გარჩევას კი არ გვასწავლიდნენ, არამედ უფრო ცუდის და უკეთესის გარჩევის სიბრძნესაც გვაზიარებდნენ შვილო ...

- გეთანხმები მამაო, მაგრამ მაშინ სხვა ეპოქა იყო, სიყვარულით სავსე გულითო ამბობთ, ხო, ალბათ ასეა, მაგრამ დღეს ჩვენი საზოგადოების წინაშე სხვა მოთხოვნებს აყენებს რეალობა ...
- სცდები, თუ საქმეს, მეტადრე საქვეყნოს სიყვარულისგან გაცარიელებული გულით აკეთებ, გული უამრავ სიბილნეს შობს ადამიანის გონებაში.
- მამაო ლაზარე, სიყვარულით გაკეთებული საქმე კი კარგია, მაგრამ არსებობს სამსახურეობრივი მოვალეობები, ვალდებულებები ...
- შენ ამბობ, რომ ცდილობ სამსახურში და საზოგადოებაში სასურველი პირი გახდე ხომ?
- დიახ მამაო, ნათქვამია „საზოგადოებრივი აზრი შენი პირვების მუნჯი რეკომენდაციაა“.
- და ეს სიამაყის საშუალებას გაძლევს, ასეა?
- დიახ მამაო და მე ...
- ბედნიერი ხარ ...
- ვარ მამაო.
- ბედნიერება იმას ნიშნავს, იცოდე რა არის შენთვის ხელმისაწვდომი.
- ეგ სხვა თემაა მამაო.
- არ არის სხვა თემა შვილო, ბრძენსა და ბრიყვს შორის არსს ხალხის უკეთ ცნობა განსაზღვრავს.
- ალბათ ასეა, მაგრამ მე მიმართია, ადამიანის ჭეშმარიტი დანიშნულება მისი შესაძლებლობების მაქსიმალურად სწორად გამოყენებაში და მიზანსწრაფვაშია და რომ ...
- გიორგი, „ჭეშმარიტი დანიშნულებაო“ ამბობ, ჭეშმარიტება დღეს ფარდობითი მცნებაა, რაგან მისი სახით დაფარულმა ბოროტებამ უფრო მეტი ზიანი მოუტანა კაცობრიობას ვიდრე სიკეთემ სთესა კეთილი. მრავალთა მბრძანებლობის ოცნებას საკუთარი „მე“-ს მბრძანებელი იყო სჯობია.

– მამაო დღეს ბოროტება და უკეთურება უფრო მეტს გვასწავლის ვიდრე სიკეთე.

– ხოოოო, შენ გინდა სთქვა, რომ ცხოვრება ვაჭრობაა და ვაჭრობის საგანი საზოგადოებრივი მდგომარეობის მოპოვება?

– დიახ ასეა, სამწუხაროდ ასეა.

მამა ლაზარე წამოდგა, პატარა სარკმელი გამოაღო, ტაძარს შეხედა, პირჯვარი გადაიწერა, სივრცეს გაჰყურებდა მდუმარედ, დინჯად მობრუნდა და ილია ჭავჭავაძის სურათს მიაპყრო მზერა. ისევ ჩემსკენ მობრუნდა, მხარზე ხელი დამადო და დუნედ მკითხა:

– ხილს ხომ არ ინებებ გიორგი?

– მადლობთ მამაო, ნუ შეწუხდები მამაო.

– გიორგი ამბიცია გიპყრობს უხედავ, მლიქვნელი წარმატებული ადამიანის თანმხვედრია ამ ცხოვრებაში, მლიქვნელობა, წაქცეული, გაბოროტებული, უზნეო და უღვრთო ადამიანების სტრატეგიაა რომ ფეხზე წამოდგეს. გეშინოდეს მათი, რადგან მათ საკუთარი მიზნის მისაღწევად შეუძლიათ შეიცოდონ და შეგაცოდონ საკუთარი თავი, ეს კი ყველაზე ამაზზრზენი სიმძლალეა.

– მართალი ბრძანებთ მამაო ...

– მშიშარას ნუ დაუმეგობრდები, რადგან ის მტერზე საშიშია რადგან ენდობი ...

– გავითვალისწინებ მამაო, იმედით ვცოცხლობ, უკეთე-სი მომავლის იმედით, თქვენთან საუბარი ჩემთვის ...

– იმედი სინამდვილის მაგივრობას სწევს ხშირად და მრუდე გზის ხიბლი სძლევს ხოლმე ადამიანს.

– გეთანხმები მამაო, ვცდილობ ჩემი ნაბიჯები სწორედ გადავდგა, საცთური ბევრია, ვცდილობ თავი ავარიდო.

– ბოროტებას ნუ ჩაიდენ გიორგი, ნურც თავის მართლებას მოჰყვები, რადგან ბოროტების მქნელი სასჯელს აცენილი მინახავს მრავალი, მაგრამ მიუტევებლობის ში-

შისგან თავდალწეული არასოდეს.

– ხვალ აღსარებისთვის მინდა მოვიდე მამაო ,ჩემი ცოდვათა ჩამონათვალი არ მცირდება, ეტყობა ზნედაცე-მული ვარ მამაო.

მამაოს გაელიმა, მამა ლაზარე ადამიანური სითბოს ნა-თელით აკიაფებული თვალებით მიმზერდა.

– გიორგი ოქროს დრონი მაშინ იყო როცა ოქრო მხ-ოლოდ ლითონი იყო და სხვა არაფერი, როცა ოქროს ფასი დაედო ადამიანი გაუფასურდა. ადამიანთა მადლიერება ხშირად იმ ქალს ჰყავს მთელ სამყაროს რომ აჩუქებ და ლამაზად შეფუთვას რომ მოგთხოვს. ტაძარში გამომყევი გიორგი, მწუხრის ლოცვა იწყება, მრევლი მელოდება შვი-ლო ჩემო.

ე

– მარტივად მინდოდა მეცხოვრა და არ გამოვიდა, სიშ-ლეგე მიტაცებდა, გონებას მტაცებდა, მიყვარდა და მძუ-ლდა, ვეტრფოდი და ვმრუშოვდი. სხვისი მოკვდინებაც მწადდა და სიკვდილის მსხვერპლიც მსურდა ვყოფილი-ყავი. მე თავად ვერ შევიცანი საკუთარი თავი. რატომ? ვგონებ იმიტომ რომ ილუზიას „ადამიანები ურთიერთ სიკეთისთვის“ ვერ გავექცი. ოცნება და რეალობა მთრ-გუნავ, პრაგმატულ მონსტრად მექცა. ის არ მიღიმო-და, ან იქნებ მიცინოდა და მე დუჟმორეულს დაცინვად მეჩვენებოდა მხოლოდ. მე მინდოდა ... და ყველაფერი ქრებოდა, სიკეთე მინდოდა და ბოროტება გამომდიო-და, ან იქნებ სიკეთე სიკეთობდა და მე ვერ აღვიქვამდი ბოროტებასთან მის საზღვარს. ერთისთვის სიკეთე მეო-რესთვის ბოროტებას ნიშნავდა, ერთს სიხარული მეორის

მწუხარებას მამცნობდა, ერთისთვის ხელის გაწვდენა მეორესთვის ხელის კვრად იხილებოდა, ამბიცია მქონდა რომ შემეძლო ... ის რაღაც, რომლის სახელიც მე თავად არ ვიცი. ბევრჯერ დაუნამიათ ჩემთვის ცილი, პირისპირ ვდგარვარ სიმართლესთან და სხვათა ბოლმამ სიცრუის მარწუხებში მომაქცია. დავიღალე, რაღაც ახალი მინდოდა ... მომავლისკენ კარებს ვეძებდი და კედელს ვეხეთქებოდი. ეკლესიაში მივედი მოძღვართან, ვკითხე „რატომ ხდება ადამიანს ზედ რომ გადაყვები, ფეხზე დააყენებ და ცრემლს მოსწმენდ, ყველაფერს ივიწყებს და გვერდიდან გეცლება?“ იცით რა მითხრა? „ბიჭო უფალი ამბობდა ერთმანეთი გიყვარდეთ, პატივი ეცით მშობლებს და მოყვას, მავნებლები ნუ იქნებითო და ჯვარს აცვეს, შენ კი რაზე გაქვს პრეტეზზია? იმაზე რომ ვიღაცას დაეხმარე და არ დაგიფასა? უფალმა ამ ცხოვრების ცოდვები აიღო თავის თავზე, მამამ შვილს ჯვართამაღლების უფლება მისცა ჩვენთვის, შენ კი ვიღაცას ხელი გაუწოდე და პატივისცემას ითხოვ? ის რომ რაღაცის გაკეთება ხელგენიფება და შეგიძლია ფეხზე დააყენონ ვინმე ან მშიერს ლუკმა მიაწოდო, იქნებ გგონია რომ ეს შესაძლებლობები შენი შექმნილია ან შენი მოპოვებული ხომ არ გგონია? თუ ძლიერი ხარ ღვთის ნებით ხარ, შეიშვნე ეს წყალობა და ღმერთს ნუ სცოდავ“.

დავდუმდი, სათქმელი მომისპონ წმინდა მამამ. ეკლესიიდან გამოსვლას ვაპირებდი და უცებ მანვე შემაჩერა „იცი შვილო ამ ხატების მნიშვნელობა? თვითეული მათგანი კარია ჭეშმარიტების, სიყვარულის გზის დასაწყისია, სიყვარული კი ღმერთია. თუ არ გიყვარს ჭეშმარიტებას ვერ პპოვებ და ვერც ჭეშმარიტების გზაზე დადგები. სიყვარულით შეაღე ჭეშმარიტების კარი, ის არავისთვის არაა დახურული, ის ყოველთვის ღიაა, უბრალოდ ნაბიჯი გადადგი. უფალი ამბობს „ჩემსკენ გადმოდგი ერთი ნაბი-

ჯი და მე შენსკენ ათ ნაბიჯს გადმოვდგამო“ გიფიქრია შენს ერთ ნაბიჯზე?“ პასუხს ვერ ვაძლევდი წმინდა მამას, დაბნეული ვიდექი მის წინაშე. შემდეგ ძლივს ამოვილულ-ლულე „მომიტევე მამაო რამეთუ ვცოდე ...“ წმინდა მამამ გამიღიმა, სიკეთე იფრქვეოდა მისგან შემდეგ დამლოცა და მითხრა „ხვალ წირვა, დილით 9 საათზე დაიწყება და მოდი ტაძარში“ – უმალ უარი უთხარი „მამაო ხვალ არ მცალია შეხვედრა მაქვს, მერე რომ მოვიდე? მამაომ გაიღიმა, შემდეგ თავი გაიქნია თითქოს დანანებით და მითხრა“ რატომ გიკვირს ამა სოფლი სიავე შენს თავს, თუ კი სიყვარულისთვის და ჭეშმარიტებისთვის დრო არ გაქვს?“.

კითხვა დუსვი ჩემს თავს „რა არს ჭეშმარითება?“ ჭეშ-მარიტება იარსებებს სიყვარულის გარეშე, სიყვარული ჭეშმარიტების გარეშე ვერა, ჭეშმარიტება ჯვარცმული სიყვარულია და მისი გარდამოხსნა და აღდგომაც ჭეშ-მარიტების წებითა ხდება მხოლოდ.

კვიპრიანე და იუსტინა (რითაშული პროზა)

ანტიოქიის ურნწყულ მიწაზე, კართაგენელი ჭაბუკი ვინმე, მეფე ტრეაიანეს ზეობის ხანას, მოგვი ცნობილი კვიპრიანე ცხოვრობდა ოდესა.

წარმართ მშობელთა, წარმართულად აღზრდად დიადი აპოლონის ტაძარს მიჰვარეს მსახურად იგი, სიბრძნის ეშმაკისა სწავლად განწესებულს ოლიმპოს მთაზე, წყვდი-ადის თავადს საბრძანისად რომ უქცევია, იქ აზიარეს სი-ბრძნეს ქურუმთა მსახურებისთვის და იქ არგოში დაჰყო შემდგომ ეშმაკთა იდუმალ სიბრძნის დასაუფლებლად

და ჰერას ტაძარს, მოღვაწეობით სწავლად ჰყო მრავალ მზაკვარ ხელოვნებასაც.

ტავროპოლისში არტიმედეს მსახურად დაჲყო, ლაკედემონშიც დაიდო ბინა, მემფის ამაღლდა ჯადო-ქრობაში, ქალდეველებმა შეასწავლეს ვარსკვლავთ აღ-რიცხვა.

პირი იბრუნა ანტიოქიას სულნაწყმედილმა და ჯოჯოხეთის თავადის მეგობარმა და ერთგულმა მონამ „აი ახალი იამბრე, ვინაც ყოველთვის მზადაა მორჩილებისთვის და ჩვენი მეგობრობის წრფელად ღირსია“ – ეს სთქვა თავადმა და ასე იქცა კვიპრიანე მოგვად დიადი და ჯადოქარი და უებრო სულთ წარმნყედელი.

იმ უამს ანტიოქიას სახლობდა ქალწული ერთი იუსტინა. წარმართ მშობელთა შვილი კეთილი. დიაკონ პრაილისგან საცხონებელ სიტყვის მსმენელმა ჭეშმარიტ რჯულზე მოაქცია მშობელნი თვისი, თავადაც გახდა ქრისტიანი, მცნებებს უფლისას ასრულებდა ქრისტეს ლოცვებით, უბიწობით და ქალწულობით, მარხვით და თავშეკავებით თავისი თავი ქრისტეს რჯულის მსახურადა ჰყო.

მდიდარ მშობელთა ნებიერმა ვაჟმა აღლადოსმა ეკლესიაში მიმავალი იუსტინე რომ დაინახა, განცვითრდა კაცი მშვენიერების უებროს თვალნათლივ ხილვით. და შუამავალთ ხელი დარია, ცოლად გაყოლა მოსთხოვა ქალწულს „მე ქრისტეს სასძლო, მე მას ვმსახურებ და ჩემს სინმინდეს მისთვის ვიმარხავ. ის იცავს ჩემს სულს, სხეულსაც ჩემსას ყოველი ჯურის სიბილწისაგან“ – პასუხად შუამავლებს ასე მიჰევარა.

და აღენთო მეტი ვნებით აღლადოსი ეშმაკის ნდომით, ცდა მოტაცების გულში გაივლო, და ... დამარცხდა, ქალის ყვირილზე მეზობლები ჯარად შეიკვრნენ და მგლის ხახიდან გამოიხსნეს ასული წრფელი.

ბოლო იმედი კვიპრიანეა, შეწევნა სთხოვა მოგვს და

ჯადოქარს და გასამრჯელოს უხვად შეჰპირდა... და აღ-ლადოსი იმედის სხივით გამოისტუმრა. თვითონ თავისი ხელოვნების წიგნი აღიღო და უწმინდური სული ერთი იხმო თავისთან. „ეგ სამსახური ძნელი არ არის, მრავალ-ჯერ მიძრავს მე ქალაქები, დამირღვევია მათი ზღუდენი, სისხლით მომირწყავს მათი ქუჩები და ბევრი უბიწო გად-მიგდია სიძვის უფსკურლში. აი ეს თასი მიეც იმ ჭაბუკს, ასხუროს და ასხუროს ამით იუსტინას სახლს და თავად ნახავ ჩემი სიტყვები რომ აღსრულდება“. და ესეცა ჰქმნა, ეს საწყაული ჭაბუკს გადასცა და დაარიგა. ქალწულის სახლში სიძვის ეშმაკი ხორციელ ვნების ბასრი ისრებით ქალწულის გული სიძვით მოეწყლა, ხოლო სხეული გულისთქმის ნებით უწმინდურ მონად გადაექცია.

და იქმნა ბრძოლა, ბასრი ისებით დაკოდილი ქალწულს გონება ვნების წიაღში თან მიათრევდა, სხეული ხურდა, უცნაური გულისთქმის ჩარხი და ვნების ცეცხლის გენიის აღი მღელვარე ქალწულს, შინაგან მებრძოლს, მის წმინდა გულთქმას ავინწროვებდა.

და მიხვდა ქალი, მასში ეს ბრძოლა ეშმაკისაგან რატომ აღიძრა. მუხლად დაცემულ გარდისახა პირჯვარი უფლის და აღიძრა მხურვალე ლოცვად, ღმერთს შეევედრა და ვნება გაჰქრა. სხეულში კვლავ სიმშვიდემ დაისადგურა.

კვიპრიანემ გამოჰკითხა მარცხის მიზეზი და ეშმაკმაც უხალისოდ ანდო სიმართლე: მიტომ ვერ ვძლიერ რომ მე მასზე რაღაც ნიშანი ვიხილე თვალით, მან შიში დამცა და სასწრაფოდ გამოვერიდე.

აღელვდა მოგვი, დახმარებად ეშმაკს მძვინვარეს სთხოვა შეწევნა. ძლევამოსილი სულთამღრევი ეკვეთა ქალწულს და იუსტინამ უმეტესი ღვაწლი იტვირთა, ძაძით იმოსა, მოთმინებით, მარხვით, პურითა და წყლით დააოსა სხეულის ვნება.

იგიც დამარცხდა და მოგვთა-მოგვთან შერცხვენილმა

იბრუნა პირი.

და ჰაა მოიხმო უძლეველი თავადთაგანი, წვრილად უამბო მისი მარცხი, სთხოვა შეწევნა.

და რა ეახლა ქალის სახით ის უფლის სასძლოს ტკბილ მოსაუბრე, ტკბილად ხმოვანი მდაბალის ქცევით, როგორც ქალი – ქალს საუბარი ითხოვა კრძალვით.

– ყოველი ქალი რაც შობილა ქვეყანას ოდეს, კურთხეულია უფლის მიერ დედობა მისთვის, იყო მეუღლე, მეოჯახე მანდილოსანი ეს განაჩენი წმინდა არის დასაბამიდან. და თვით უფალი მიწიერი დედით შობილი მარჯვენითა ზის მამის მიერ ქვეყნის გამგებლად. ოჯახი შეჰქმნა, ეგ კურთხევა უფლიდან მოდის, მემკვიდრე შეჰქმენ და სიჭარმაგეს სიყმაწვილეს ეზიარები. და შენ იმარხავ შენს სიწმინდეს შენთვის ეულად? ოჯახი შეჰქმენ, გაამრავლე მოდგმა კეთილი, შენი სიწმინდე გაუმრავლე შთამომავლობას ...

და იუსტინამ ხმაკეთილად, მშვიდად მიუგო:

– უბიწოდ მცხოვრებთათვის ჯილდო დიდი და გამოუთქმელია და საკვირველია ადამიანთა უზრუნველობა ამოდენა განძის, ანგელოსური სიწმინდის მიმართ.

და იცნო ქალწულმა მაცდუნებელი, ცბიერი, პირჯვარი გარდაისახა და გული თავის სასიძოსადმი, ქრისტესადმი ლოცვად მიმართა. და ეშმაკიც გაუჩინარდა.

მრავალ მზაკვრობას მიმართეს, სად არ დაუგეს ხაფანგი, ერთგული ქალწულისადმი ყველგან უძლურნი აღმოჩნდნენ. განბილებულა მოგვთა – მოგვი, სევდამ დარია ხელი ჯადოქარს, მრავალჯერ სცადა, მაინც დამარცხდა, დამწუხრებული ბინას დაბრუნდა.

და ბრძოლად აღდგა ჯადოქარი თავის მოყვარე, განსაცდელს უვლენს იუსტინას ყოველ ნათესავს, მეზობელს, ნაცნობს, ვითარცა მართალ იობს თავად ეშმაკი, კვიპრინაე წყლულით ჰგვემდა ყოველთა მსახურს, საქო-

ნელს ჰკულავდა და მწუხარებით აღავსებდა ოჯახებს ყოველს. თვით იუსტინე სარეცელზე სწევს, დედა შვილს სტირის. წინასწარმეტყველ დავითის სიტყვით „არა მოვკვდე, არამედ ვცხონდე და განვსთქუნე მე საქმენი უფლისანი“ იუსტინე ანუგეშებდა.

ოდეს ქალაქში ხმა დაირხა, აღლადოსის სიყვარულისთვის ვისჯებითო, აღელვდა ხალხი, ჯიქურ მიეჭრნენ იუსტინეს წმინდა სავანეს „გაპყევი ცოლად და აგვაშორე ეს სატანჯველი, შენი კერპობა ჩვენი ქალაქის განსაცდელია“. მართალი ქალი ამშვიდებდა მოქალაქეებს „მალე შეწყდება ყველა ავი რაც თავს დაგატყდათ და კვიპრიანე სრული მარცხით უკუ იქცევა“ და ლოცვად აღსდგა, შეავედრა უფალს ქალაქი, განსაცდელიც უმალ გაჰქრა, უმალ გაშორდა.

თვით უძლეველი, მოგვთა-მოგვი საცინად იგდეს, ახლო მეგობართ გაურბოდა სულშერცხვენილი. და რწმენამ იწყო რყევა გაუსაძლისი. თავად დარწმუნდა, რომ ჯვარს და ქრისტეს ძალას ვერაფრით სძლევდა, და უთხრა ბნელეთის თავადს – „ჰო ყოველთა დამღუპველო, მაც-დუნებელო, წყარო ყოველთა სიბილნეთა და უწმინდურობის, მე ეხლა ვიცან შენი სახე დაუძლურების. ჰაა, განმე-შორე წყეულო ოდეს მე ქრისტიანებს მინდა ვთხოვო რომ შემიწყალონ ...

ეკვეთა ეშმა ყოფილ მეგობარს, გვემა დაუწყო, აღრჩობდა საწყალს, კვიპრიანე შემწეობას ვერსად ხედავდა და უეცრად პირ ჯვარი გადაისახა და შეუძახა „იუსტინეს ღმერთო შემეწიე“. ეშმაკი გასხლტა, განერიდა. სული მოითქვა კვიპრიანემ, მხნეობა დაუბრუნდა, პირჯვარს იწერდა და ბოროტებას შუპოვრად ეურჩებოდა. ქრისტეს სახელით ნირ წამხდარი მისგან ნაგვემს ახლოს მისვლას ვერ უბედავდა „ვერ იხსნი შენს თავს ჩემგან ოდესმე, ვერც შენი ღმერთი დაგიფარავს ჩემი მსჯავრისგან“ – ეს

სთქვა ეშმაკმა, ერთი ლომებრ დაიღრიალა და განეშორა.

წელში გასწორდა კვიპრიანე, გონზე მოეგო, ყოველი წიგნი გრძნეულობის ხელში აიღო და რა ეახლა ეპისკო-ფოს ანთიმოზს ფეხთჩაუვარდა, რომ აღასრულოს მასზე ნათლობის წმინდა საიდუმლო, ევედრებოდა. ეპისკოფოსი დაფიქრდა, მის წინა მდგომი კვიპრიანე, გრძნეულობით ყოვლად საშიში ევედრებოდა. და სთქვა „შენ წარმართებ-ში ცოდვით მრავლით გამოიჩინა და ქრისტიანებს თავი ანებე ...

მუხლმოდრეკილი სტირის გრძნელი, ცრემლით უყვება თავისა ცოდვებს და აღიარა დანაშაული, თავისი წიგნები დასაწვავად ფეხთით დაუდო. და რა იხილა ანთიმოზმა მისი სიმდაბლე ქრისტიანულად დამოძღვრა იგი და ნათ-ლობის მზადებისთვის ბრძანება გასცა, ხოლო წიგნები ერთმორწმუნეთა თვალწინა დასწვა.

ეკლესიაში მეორე დღეს კვიპრიანე მივიდა თავად, და სინანულით, თვისი ცოდვის გამო სტიროდა მლოცველთა შორის, ღვთის სიტყვას მორწმუნეთგან ხარბად ისმენ-და. „კათაკმეველნო აღიღეთ ფეხი და დასტოვეთ ტაძარი წმინდა“ – სთქვა დიოკონმა.

– ქრისტეს მონა ვარ, ნუ გამაგდებ ჰქმენი წყალობა – შეევედრა კვიპრიანე.

– უნათლავი ხარ, გარეთ გადი – ბრძანა დიაკონმა.

– ქრისტე ღმერთი ჩემი, ის ცოცხალია, რომ გამოვეხ-სენ ეშმაკისგან, რომ იუსტინე წმინდად დაიცვა, მე შემი-წყალა მისი ღვაწლია, სანამ არ გავხდები ქრისტიანი ნუ გამაგდებ მე ამ ტაძრიდან...

და დიაკონმა ეპისკოფოს აწვდინა ცნობა და მან კვი-პრიანე დაუყოვნებლივ მოანათვლინა.

ამ ამბის მცნობმა იუსტინამ ღმერთი ადიდა, გალხაკთა მიმართ საბოძვარი გასცა სიმდაბლით და ეკლესიას შესაწ-ირი თავად შესწირა. ერთი წლის თავზე კვიპრიანე მღვდ-

ლად აკურთხეს და ეპისკოფოსად დაადგინეს მალვე მოძღვარი. წმინდა ცხოვრებით ბევრ წმინდანსაც გაუტოლდა და წმინდა ცხოვრებით წარმართებიც მოაქცია ჭეშმარით გზაზე. იუსტინა დედათ მონასტრის იღუმენად დაადგინა და ქვეყანაში წარმართობამ დაიწყო კლება ,ქრისტეს დიდება ვრცელდებოდა უკიდეგანოთ.

კბილებს აღრჭენდა კვიპრიანეს საქმეთა გამო და ეშ-მაკმა წარმართები ერთავად აღძრა, რომ აღმოსავლეთის მმართველთან დაესმინათ კვიპრიანე და აოტდნენ უსჯულონი და მიეახლენ მმართველ ევტოლმის. კვიპრიანეს და იუსტინას სიკვდილით დასჯას მოითხოვდნენ მმართველისგან გონდაკარგულნი. „კერპთ თაყვან ეცი“ ამაოდ გაისარჯნენ კერპთმეხოტბენნი, „დიდება უფალს“ ჰელა-ლადებდნენ ქრისტიანები. „მდუღარე ქვაბში ჩაჰყარეთო“ ბრძანა მმართველმა, ღმერთის დიდებას განაგრძობდნენ მონამეები და ვერ ავნო ამ წამებამ მათი სხეული. კერპთა ქურუმმა ათანასემ ღმერთ ასკლეპიოსის სახელით ცეცხლში შესვლა და ქრისტიანთა შერცხვენა მოიწადინა, ის ცეცხლს შეეხო და მყის განშორდა სული, შედრკა მმართველი და ნიკომიდაში მმარველ კლავდიუს გაუგზავნა ტყვე ქრისტიანნი, და კლავდიუსმა თავკვეთა ბრძანა. მონამეების დასჯის შემყურე ვინმე თეოქტისტე შეუვარდა კვიპრიანეს, ეამბორა და თავი ქრისტიანად გამოაცხადა.

და მიაპარეს სამმა მონამემ უფალს უკვდავი სული, ექვსი დღე აღარ აღირსეს საფლავი, ბოლო საუფლო. მხოლოდ მწირებმა იდუმალ რომს გადასვენეს წმინდანნი, იქ წმინდა ქალბატონს რუფინეს მისცეს და მან პატივით დაფლა წმინდა მონამეთ კვიპრიანესი, იუსტინას და თეოქტისტეს მრავალ ტანჯული სხეული. მათ საფლავებზე კურნებები აღესრულება, ვინც რწმენით მიდის მადლი უფლისა გადმოდინდება.

და მათი ლოცვით ღმერთმა ჩვენი ხორციელი და სუ-

ლიერი სნეულებანის განკურნოს.

სავედრებელი ლოცვა მღუდელმოწამისა კვიპრიანე კართაგენელისა მიმართ,

ჯადოქრობის საწინააღმდეგოდ

ჰოი წმიდაო, სათნო-მყოფელო ღუთისაო, მღუ-დელ-მოწამეო კვიპრიანე, მსწრაფლ-შემწეო და მლოცველო ყოველთა შენდამი მოლტოლვილთათვის, მიითვალე ჩუენ ულირსთაგან სადიდებელი ესე, ევედრე უფალსა ღმერთსა ჩუენსა, რათა მოგვმადლოს ჩუენ, უძლურებათა შინა განმტკიცებად, მწუხარებათა შინა ნუგეშისცემად, და მოგვანიჭოს ჩუენ ყოველი სარგებელი ცხოურებისა ჩუენისათვის აღავლინე უფლისა მიმართ მრავალ-ძალი ლოცვად შენი, რათა დაგვიცვას ჩუენ ყოველთაგან შეცოდებათა, გვასწაოს ჩუენ ჭეშმარიტი სინანული, გვიხსნას ჩუენ ტყვეობისაგან ეშმაკთა და ბოროტთა სულთა მანქანებათაგან და ყოველთა მაჭირვებელთა ჩუენთაგან. გვეყავნ ჩუენ მცველად შეურყევლად, ყოველთა ხილულთა და უხილავთა მტერთაგან, მოგვანიჭე ჩუენ განსაცდელსა შინა მოთმინებად და ჟამსა სიკუდილისა ჩუენისასა შეწევნად მოგვივლინე მანამებელთა ჩუენთაგან, რომელნი შეგვემთხვივნეს ჰაერთა შინა საზვერეთასა, რათა შენს მიერ ძლვანებულნი, მივიწივნეთ ზეციურსა იერუსალემსა, და ცათა სასუფეველსა შინა ღირს ვიქმნეთ ყოველთა წმიდათა თანა დიდებად.

ექსპრესი

... ვით აიაზმა კურთხეულ გრაალს სატუჩე ნაპრალს მძივად მოჰყვება სიცოცხლეს უხმოთ, უხმეთ ბალლობას, საწუთროს საზომს ვერ შეაჩერებთ, თვალების მიღმა იმალებიან სევდის აჩრდილნი ილაჯაყრილნი, ილოცეთ ერთად დაუზარელად, ილოცეთ სულის გადარჩენისთვის.

...და აქ თბილისი ლაცავდა შვილებს, უცხო მიწაზე მუხლგამართულებს, იქნებ რაღაცა სულ უმნიშვნელო ... დაგრჩა ... წალებაც არ გიფიქრია, თბილისის მიწა გულთანა გქონდეს, აქ ხომ უფალის დედულეთია ...

ვერ დასმულ კითხვას არა თქმული პასუხი უსწრებს, ელოდი მთავარს, თვალსაწიერს მიენდე და გაუჩინარდი, მზემ კი აკრიფა თბილი სხივი წარსულ ნაკვალევს, გული კანკალებს, მიხვალ? ეტყვი გულის სიმართლეს? სველი ქუჩები არ ინახავს წარსულ ნაკვალევს.

სიხარული ეპოქის დეფიციტია, სიხარული რწმენას და სხვისი ბედნიერების გაზიარებას მოაქვს. შევეცადოთ საკუთარი ბედნიერებაც დავინახოთ და სევდა გაქრება, სევდა არ რჩება იმ ადამიანებთან ვინც საკუთარი ბედნიერების ფასი იცის

თრთოლვა ვნება დაცლილს, მინდა ფეხზე დავდგე, იქნება ახლა მაინც გავექცე საკუთარ ჩრდილს, ნიღაბი ყოვლის მცველი სახიდან ავიდღლიზო, ცრემლის ნაკადული ვარდებს დავაწვიმო, სურნელი უცნაური შენამდე მოვაფრქვიო, იქნებ ... და იცი ... გულში მომეხვიო

ალავერდი დღეგრძელობას, მერიქიფევ, ყანწი ღვინით

შევსილი, სიმარტოვეს ადგილი არ დაუტოვოთ, სიცოცხლის გზას გაგრძელება მარადის, ამაღლდებით, ავივსებით სიკეთით და გვადლეგრძელე სიყვარულო მარადის.

თუ ვერ გამთლიანდი მეუღლესთან ვითარცა ერთსულ ძნელია სიყვარულით ესაუბრო მეუღლეს, არ იმიტომ რომ მოქარგულ სიტყვებს დაუწყებ ძებნას, არამედ ნათქვამი გაზეთის სტატიას უფრო დაემსგავსება ვიდრე გულიდან ამოხეთქილ ჭეშმარიტებას.

ამაყი მარტობაა სუფევს ოცნებებში, ქალი თუნდაც ერთი ტრფობის ქარაგმებში...

ფერდაკარგული ეს თეთრი თოვლი ბედნიერებას შენით ულიმის

ჩვენ საოცნებო ქალებს ისე ვეპყრობით როგორც კაცობრიობა საკუთარ ღმერთებს. ისინი ჩვენგან არაფერს შეინირავენ, სანამ ჩვენ არ შეგვინირავენ და ჩვენც სიამოვნებით ვთანხმდებით ამას.

ალბათ ეს ის წუთებია როცა სიტყვები არაფერს ამბობენ და გრძნობები გულის კედლებს უგზო უკვალოდ ენარცხებიან... ის წუთებია როცა შენ ბედნიერებას უყურებდა თავს ვერ ერევი რომ არ გამოხატო

ქალები ფიქრობენ ფიქრებზე, რომ საფიქრალი დაუტოვონ მარადისობას

ოდესმე? რანი არიან მშვენიერნი,
ტანით კენარნი, სიტყვითა ტფილნი,
გამოხედვით მზისა მთგურველნი,
ვინამ მოსთვალოს დედაკაცთა ტვირთი ყოველი,
დღეს რომ არაკად გადაიქცა, მოსაგონარი ...
აკვნის დამრწებთა ნააკენარი ალაგი შლამით ...
ყოფიერების მოტივებით სამყურა ხარობს.

მანდილოსანის სიდიადე თაროზე დავდეთ,
ლიმილმჩენ ბოროტს დედაბოძის კოცონზე ვათბობთ...
ზღაპრიდან მოვა თქვენი წიქარა?

რომელ კარს გაჰყლეჯს ან საითკენ გასწევს მისანი?
იქნებ გზა იცით, ჩვენც გვითხარით ნუ დაგვზარდებით,
ხელით გვაჩვენიეთ და სირბილით უკან მოგყვებით.

პიროვნული თავისუფლება ფარდობითი ცნებაა, თუ
ის ზნეობისა ჩარჩოებს შორდება აღვირახსნილობის აღ-
ლუმად მოევლინება საზოგადოებას

ხატავს რექვიემი დაცემულ ამადეოს
ღმერთო დამინდეო
შესთხოვს ამადეო
ნაცნობ სილუეტებს ფუნჯი დავადევნოთ
ცისფერი უყვარდა ... იცით ... ამადეოს ...
შენთვის კაშკაშა ვასკვლავი მოვწუვიტეო,
ფერთა ჰარმონია ... ხატავს ამადო,
მთვარეულ ლანდებს ფერები გაუფანტავთ
საღებავს ქუჩები სხვაფრად მოუხატავს
ათინამ ... პალიტრა ფეხთით დაგიდეო
ზევსმა დაგიბარა „ცა შენ მოხატეო“
მინერვამ მოგაკითხა
..... გლვიძავს ამადეო?

საღამოს დროს, ველს მშვიდობიანს,
მზე რომ დააფრქვევს სხივთა ათინათს,
სამოთხის გზინკენ მიმავალ ბილიკს,
მწუხრის ანგელოსი ჩრდილით რომ მოსავს,

ჩვენ ბედისწერის ეთერში გაკრთის
მშობელ სანახებს გვირილა მოსავს,
ხმა არსაიდან წყნარი და მშვიდი,
იცი? სადღაც იქ იმედი გვმოსავს,
წმინდანთა დასი, და ლოცვა დედის,
ხვალის იმედად გავცექერით ბილიკს,
ალბათ გზის ბოლოს იმედს შევხვდევით
მიუსამძიმრებთ იმედს ლიმილით.

ულერს სიმფონია, მლერის მგოსანი
ქვაში ნოტები ვენერას ქარგავს
ნუ შეაჩერებ თუ ცის მისანი
ცისარტყყლის ფერით ოცნებას ხატავს
ზღვის მრისხანება ნაპირებს ხრაპავს
გულში ლოდინი ჩუმად ხმიანი
პასუხის ღირსი არა ვარ, ფიქრობ?
მერე არ იყოს... თურმე გვიანი

იქნებ მოსაგონრად, სანთლის ნაღვენთს დავცექერ, იმე-
დად და ხატად ფიქრში მოკიაფეს, სანთელი თუ ქრება,
ნიავს მიაქვს კვამლი, იქნებ ოცნება? იქნებ ნატვრა სუ-
ლის? იქნებ არაფერი? იქნებ ცისკენ მიჰქრის სიყვარუ-
ლით მთვრალი, იქნებ იმედია? ... ნიავს მიაქვს კვამლი ...
სანთლის ალალ შუქს კი გაჰყოლია ხანი...

სარკეში ჩავიხედე, წლები მიცექერიან
ხანი გამივლია, წუთები მიჰქრიან
ის რაღას სანუკვარი გულში რომ ბორგავს
„დედა შემოგევლოს“ ტკბილ ლოცვას რომ ჰგავს.

სადღაც გამიგია ან ყური მომიკრავს,
დედა თუ გყავს გვერდში
ბავშვობა გრძელდებაო,
გული არ ბერდებაო,
ისევ ხარ დედის ხელში
... მე უკვე დავბერდი
... „დედა გენაცვალოს“ მირონად იღვრება სულში

ნუთუ კაცობას „კაცურობით“ სჭირდება დაცვა?
ქალის მანდილი წმინდა ჯვარცმის კურთხევით გაცვდა?
ნუთუ უანგისგან დააოსა ჯავარდანს ვადა?
იქნება ქეთევანს, ვახტანგას და დავითს
იქნებ გიორგის, ფარსმანს, ერეკლეს
ამოენურათ დიდების ვადა?
იქნება ვცდებით?
სწორ გზასა ვცდებით?
შვილებს ვერა ვზრდით კარგ ქართველებად?
სწორედ ასეა, ნუ გამინერებით
ლიბერალური გვჭირს ჩვენ თვითგვემა

ქალი ვაზია,
უნდა ეფერო,
უნდა ჩაიკრა გულში ---- ხანდახან თუ არ გასხალი
ეკალი იცის გულში.

სარჩევი

მოცულები.....	3
იყო და... იყო (ზღაპარი).....	5
ფყვეში (საუბარი საკუთარ თავთან №2).....	23
კახელები.....	25
შემსრულებელი.....	32
ჯალათი.....	43
... და მაინც ეს სიმართლეა	47
ცერილიშვილს.....	66
მოცლის ზამს (საუბარი მოძღვართან).....	67
მოცლის ზამს 2 (საუბარი მოძღვართან).....	70
მოცლის ზამს 3 (საუბარი მოძღვართან).....	73
მოცლის ზამს 4 (საუბარი მოძღვართან).....	76
მოცლის ზამს 5 (საუბარი მოძღვართან).....	80
მოცლის ზამს 6 (საუბარი მოძღვართან).....	83
მე.....	86
კვიპრიანე და იუსტინე (რითმული პროზა).....	88
ექსპრესმეტი.....	96

